

კანონისებრი და დელიქტური პაღდეგულები

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო საქმეებზე

2019, №11

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Civil Cases
(in Georgian)

2019, №11

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Zivilsachen
(in der georgischen Sprache)

2019, №11

Решения Верховного Суда Грузии
по гражданским делам
(на грузинском языке)

2019, №11

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი

ბიორგი ჭყონიკა

ტექნიკური რედაქტორი

მარიკა მაღალაშვილი

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 299 04 18;
www.supremecourt.ge

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

საკიეხელი

1. უსაფუძვლო გამდიდრება

ვითომ-კრედიტორისგან მოთხოვნის საფუძვლები	4; 23
არაუფლებამოსილი პირის მიერ საგნის უსასყიდლოდ განკარგვის შედეგები	38

2. დელიქტური ვალდებულებები

სარჩოს გადაანგარიშება	55; 63
დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურება	73; 83
მიყენებული ზიანის ოდენობა	107
სოლიდარული პასუხისმგებლობა მიყენებული ზიანისთვის	126
სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება	145

1. უსაფუძვლო გამდიდრება

პირობა-კრედიტორისგან მოთხოვნის საფუძვლები

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-533-509-2016

26 ოქტომბერი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტილად აღიარება და გადაცემული ქონების დაბრუნება

აღწერილობითი ნაწილი:

1. დ. მ-ემ (შემდეგში: მოსარჩელე) სარჩელი აღძრა გ. ჭ-ისა (შემდეგში: პირველი მოპასუხე) და შ. ქ-ის (შემდეგში: მეორე მოპასუხე) მიმართ, რომლითაც მოითხოვა:

2. ა) პირველი მოპასუხისათვის 9000 ლარის გადახდის დაკისრება [საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ-ის) 477-ე მუხლი];

3. ბ) მასსა და პირველ მოპასუხეს შორის გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტილად აღიარება და საიჯარო ქონების უკან დაბრუნება;

4. გ) პირველი და მეორე მოპასუხისათვის საიჯარო ქირის გადაუხდელი თანხის – 30 000 ლარის დაკისრება [სსკ-ის 581-ე მუხლი].

5. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილებით სარჩელი ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ფულადი ვალდებულების შესრულების, იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტილად აღიარებისა და ქირის გადახდის ვალდებულების შესრულების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

6. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი წარადგინა მოსარჩელემ, რომელმაც მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება „ა“ და „ბ“ მოთხოვნების ნაწილში მთლიანად (იხ., ამ განჩინების პპ: 2, 3), ხოლო „გ“ მოთხოვნა შეამცირა და

საიჯარი ქირის გადაუხდელი თანხის სახით ნაცვლად 30 000 ლარი-სა, მოითხოვა 15 000 ლარის პირველი და მეორე მოპასუხისათვის დაკისრება (იხ., ამ განჩინების პ: 4).

7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 14 აპრილის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა მოცემულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილება, რომლითაც უარყოფილი იქნა სარჩელი ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ფულადი ვალდებულების შესრულების, იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტილად აღიარებისა და ქირის გადახდის ვალდებულების შესრულების შესახებ.

8. მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლომ დადგინილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

9. 25.04.2006წ.-ს მოსარჩელესა და ე. ც-ეს (შემდეგში: გამყიდველი) შორის გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მოსარჩელემ შეიძინა მანგანუმის სარეცხი მინი ქარხანა 150 კვ.მ. საერთო ფართით და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 150 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, მდებარე, ქ. ჭიათურაში, ჭ-ის ქუჩა №28-ში (ამჟამად, გ. ა-ის ქუჩა). ამავე ხელშეკრულების საფუძველზე, მოსარჩელემ შეიძინა დაზგა-დანადგარები: მადნის სამტყვრევი დანადგარი №108 – ერთი ცალი; კლასიფიკატორი – 1400 მმ-იანი ერთი ცალი; ტრანსფორმატორი 11 მეტრი სიგრძის; ტრანსფორმატორი 8 მეტრი სიგრძის – ერთი ცალი; ტრანსფორმატორი 4 მეტრი სიგრძის ორი ცალი.

10. 21.03.2008წ.-ს მოსარჩელესა და პირველ მოპასუხეს შორის გაფორმდა უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მოსარჩელემ პირველ მოპასუხეს მიჰყიდა ქ. ჭიათურაში, გ. ა-ის ქუჩაზე, მდებარე, მიწის ნაკვეთი ფართით 150 კვ.მ. მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით – მანგანუმის სარეცხი მინი ქარხნით, საერთო ფართით 150 კვ.მ.

11. ნასყიდობის ხელშეკრულების მე-4 პუნქტის მიხედვით, ნასყიდობის საგანი გაიყიდა 9000 ლარად. მყიდველი დარეგისტრირდა უძრავი ქონების მესაკუთრედ.

12. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელე სადავოდ ხდიდა მასსა და პირველ მოპასუხეს შორის 21.03.2008წ.-ს გაფორმებული ნასყიდობის საფასურის გადახდას.

13. სააპელაციო პალატამ გაიზიარა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოება მასზედ, რომ პირველ მოპასუხეს გადახდილი ჰქონდა 21.03.2008წ. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნასყიდობის ფასი.

14. 21.03.2008წ. ნასყიდობის ხელშეკრულების მე-5 პუნქტის თანახმად, „მყიდველმა გამყიდველს ნასყიდობის ფასი სრულად გადაუხადა ამ ხელშეკრულების სანოტარო წესით დამონმებისთანავე, ხოლო მყიდველი ვალდებულია მიიღოს ნასყიდობის ფასი“.

15. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ თავად ნასყიდობის ხელშეკრულებით დასტურდებოდა სადავოდ ქცეული გარემოება ნასყიდობის ფასის გადახდის თაობაზე, რაც მყიდველის ვალდებულების შესრულებაზე მიუთითებდა.

16. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა აგრეთვე, 2013 წლის 10 ივლისის ზეპირი გასაუბრების ოქმზე და მიიჩნია, რომ გასაუბრების ოქმში დაფიქსირებული პირველი მოპასუხის განმარტებების შინაარსიდან გამომდინარე, არ დასტურდებოდა ნასყიდობის ხელშეკრულების შინაარსის გამაქარწყლებელი გარემოება ნასყიდობის საფასურის გადახდასთან დაკავშირებით.

17. იმავდროულად, მხედველობაში იქნა მიღებული ის გარემოება, რომ ნასყიდობის ხელშეკრულება შედგენილი იყო 21.03.2008წ.-ს, ხოლო მყიდველი საჯარო რეესტრში ნასყიდობის საგანზე მესაკუთრედ დარეგისტრირებულია 14.04.2008წ.-დან. მაშასადამე, ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებისა და საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის დროიდან ზეპირ გასაუბრებამდე გასული იყო 5 წელზე მეტი დრო და ამ დროის განმავლობაში გამყიდველს ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შესახებ პრეტენზია არ წარუდგენია, ამ ვალდებულების შეუსრულებლობის გამო უძრავი ქონების დაბრუნებაც არ მოუთხოვია. ასეთ ვითარებაში, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კრედიტორის მოქმედება, რომელიც დაუყოვნებლივ არ მიმართავს ზომებს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, ხელშეკრულების შესაბამის ჩანაწერთან ერთად, ასევე იძლევა იმ დასკვნის საფუძველს, რომ ვალდებულება შესრულებულია.

18. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელე ვერ ადასტურებდა 21.03.2008წ. ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხის გადახდის ვალდებულების არსებობის ფაქტს.

19. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმის მასალებით არ დასტურდებოდა მხარეთა შორის საიჯარო სახელშეკრულებო ვალდებულებითი ურთიერთობის და შესაბამისად, ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების არსებობის ფაქტი [სსკ-ის 327-ე მუხლი]. მოსარჩელეს წარმოდგენილი არ ჰქონდა მასსა და მოპასუხეებს შორის საიჯარო სახელშეკრულებო ურთიერთობის არსებობის და ვალდებულების წარმოშობის დამადასტურებელი

რაიმე მტკიცებულება. ხოლო მონმეთა ჩვენებებით მხარეთა შორის იჯარის სახელშეკრულებო ურთიერთობის არსებობა, ხელშეკრულების არსებითი პირობებზე შეთანხმება არ დგინდებოდა. ასეთ ვითარებაში, მხოლოდ მოსარჩელის ახსნა-განმარტება, რომელსაც სადავოდ ხდიდა მეორე მხარე და, ამასთან, არ დასტურდებოდა კანონმდებლობით გათვალისწინებული და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებით, საფუძვლად ვერ დაედებოდა სადავო ფაქტობრივი გარემოების დადგენილად მიჩნევას.

20. სახელშეკრულებო ურთიერთობის არარსებობის პირობებში, მოთხოვნა ამ ხელშეკრულების შეწყვეტის, გადაცემული დანადგარების დაბრუნებისა და ქირის გადახდის ვალდებულების შესრულების შესახებ, დაუსაბუთებლად იქნა მიჩნეული.

21. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელი მართლზომიერად იქნა უარყოფილი საიჯარო ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნების (საიჯარო ქირის გადახდევინება, იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტილად აღიარება და გადაცემული ქონების დაბრუნება) ნაწილში [სსკ-ის 581-ე მუხლი].

22. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 14 აპრილის განჩინება ნაწილობრივ გაასაჩივრა კასატორმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებულ ნაწილში განჩინების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება „ბ“ მოთხოვნის ნაწილში (იხ., ამ განჩინების პპ: 6, 24; – საკასაციო საჩივრის მოთხოვნა), რომელიც შეეხება მოსარჩელეს და პირველ მოპასუხეს შორის გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტილად აღიარებას და საიჯარო ქონების უკან დაბრუნებას.

23. კასატორი აღნიშნავს, რომ მოწინააღმდეგე მხარეთა მოქმედებამ იგი სავალალო მდგომარეობაში ჩააგდო, ხოლო სასამართლომ ნასყიდობის ფასის გადახდა დადასტურებულად ჩათვალა, რაც არასწორად იყო დაფიქსირებული სანოტარო აქტში და ამის გამო, ნოტარიუსს წაუყენეს ბრალი.

24. კასატორმა მიუთითა მოწინააღმდეგე პირველი მოპასუხის გამოკითხვის ოქმზე, სადაც იგი აღიარებს, რომ ნასყიდობის თანხა არ გადაუხდია, თუმცა, გაუგებრად პასუხობს წილის თანხა გადაიხდა თუ უძრავი ნივთის ნასყიდობის საფასური, ასევე, დაზუსტებით არ იცის სანარმოს 50%-იანი წილის მფლობელია თუ 100%-იანის, რადგან მას მეორე მოპასუხე მართავდა.

25. კასატორი მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინება დაუსაბუთებელია, რადგან სააპელაციო სასამართლომ საერთოდ არ იმსჯელა სააპელაციო საჩივარში მითითებულ დარღვევებზე, კერძოდ, სადავო დაზგა-დანადგარების მოწინააღმდეგე მხარესთან არსებობის ფაქტზე, არც უდავოდ დადგენილ და არც სადავო ფაქ-

ტობრივ გარემოებებში სასამართლოს არ მიუთითებია. ამასთან, აღნიშნული ნივთების დაყადაღების შესახებ განჩინება მიიღო სასამართლომ, ხოლო აღმასრულებელმა არაერთხელ მიუთითა, რომ კასატორის დაზგა-დანადგარები მოწინააღმდეგე მხარის მფლობელობაშია.

26. კასატორი აღნიშნავს, რომ დასახელებული დაზგა-დანადგარების გადატანის ფაქტთან დაკავშირებით მოსამზადებელ სხდომაზე დაიკითხნენ მოწმეები ისე, რომ აღნიშნულის თაობაზე მხარეს შუამდგომლობით არ მიუმართავს სასამართლოსათვის. აგრეთვე კასატორი მიუთითებს პროცესუალური ნორმების დარღვევაზე, ვინაიდან, ჯერ მხარეთა განმარტებები არ იყო მოსმენილი.

27. კასატორმა აღნიშნა, რომ არცერთი ინსტანციის სასამართლომ ყურადღება არ გაამახვილა დაყადაღებულ სადავო დაზგა-დანადგარებზე, მაშინ, როცა სწორედ ამ ნივთებზე დაიდო საიჯარო ხელშეკრულება ზეპირად.

28. ამასთან, მოწინააღმდეგე მხარემ დაადასტურა, რომ აღნიშნული სადავო ნივთები არ წარმოადგენდა ნასყიდობის ხელშეკრულების საგანს, ხოლო მოწმეებმა დაადასტურეს მათი სხვა ადგილას გადატანის ფაქტი.

29. კასატორმა დამატებით აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლომ ეჭვქვეშ დააყენა იჯარის ხელშეკრულების დადების ფაქტი და განმარტა, რომ მისი არსებობა უნდა დასტურდებოდეს ხელშეკრულების არსებით პირობებზე მხარეთა შეთანხმებით. აღნიშნულ მსჯელობას არ ეთანხმება კასატორი, ვინაიდან, თავის დროზე, მხარეები შეთანხმდნენ არსებით პირობებზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, სადავო ნივთებს კასატორი არ დატოვებდა მოწინააღმდეგე მხარესთან.

30. კასატორის განმარტებით, ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე და სსსკ-ის 249-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე სააპელაციო სასამართლოს უნდა გაეუქმებინა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, თუმცა, სარეზოლუციო ნაწილში საერთოდ არ მიუთითა, დააკმაყოფილა თუ არა დაზგა-დანადგარების დაბრუნების თაობაზე მოთხოვნა.

31. იმავდროულად, კასატორის უთითებს, გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საპროცესო სამართლებრივ საფუძველზე, როგორცაა სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვა სასამართლოს არაკანონიერი შემადგენლობის მიერ [სსსკ-ის 394-ე მუხლის „ა“ პუნქტი].

სამოტივაციო ნაწილი:

32. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-

თა პალატის 2016 წლის 18 ივლისის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სსსკ-ის 396-ე მუხლით და 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამონმებლად, ხოლო 2017 წლის 25 დეკემბერს საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებლად სსსკ-ის 391-ე მუხლის „ე“ პუნქტის საფუძველზე.

33. საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემონმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

34. სსსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია (შედავება).

35. მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილადაა ცნობილი დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

36. 25.04.2006წ.-ს მოსარჩელესა და ე. ც-ს (შემდეგში: გამყიდველი) შორის გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მოსარჩელემ შეიძინა მანგანუმის სარეცხი მინი ქარხანა 150 კვ.მ. საერთო ფართით და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 150 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, მდებარე, ქ. ჭიათურაში, ჭ-ის ქუჩა №28-ში (ამჟამად, გ. ა-ის ქუჩა). ამავე ხელშეკრულების საფუძველზე, მოსარჩელემ შეიძინა დაზგა-დანადგარები: მადნის სამტკრევი დანადგარი №108 – ერთი ცალი; კლასიფიკატორი – 1400 მმ-იანი ერთი ცალი; ტრანსფორმატორი 11 მეტრი სიგრძის; ტრანსფორმატორი 8 მეტრი სიგრძის – ერთი ცალი; ტრანსფორმატორი 4 მეტრი სიგრძის ორი ცალი.

37. 21.03.2008წ.-ს მოსარჩელესა და პირველ მოპასუხეს შორის გაფორმდა უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მოსარჩელემ პირველ მოპასუხეს მიჰყიდა ქ. ჭიათურაში, გ. ა-ის ქუჩაზე, მდებარე, მიწის ნაკვეთი ფართით 150 კვ.მ. მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით – მანგანუმის სარეცხი მინი ქარხნით, საერთო ფართით 150 კვ.მ.

38. ნასყიდობის ხელშეკრულების მე-4 პუნქტის მიხედვით, ნასყიდობის საგანი გაიყიდა 9000 ლარად. მყიდველი დარეგისტრირდა უძრავი ქონების მესაკუთრედ.

39. განსახილველ შემთხვევაში, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით, კასატორი მოითხოვს გასაჩივრებული განჩინების ნაწილობრივ გაუქმებას და სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებას „ბ“ მოთხოვნის ნაწილში [მასსა და პირველ მოპასუხეს შორის გა-

ფორმებული იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტილად აღიარება და საიჯარო ქონების უკან დაბრუნება].

40. საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს ამ განჩინების პ-25-ში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებას. იმავედროულად, აღნიშნავს, რომ 2008 წლის 21 მარტს კასატორმა პირველ მოპასუხეს სანოტარო წესით დამონმებული წერილობითი ნასყიდობის ხელშეკრულებით საკუთრებაში გადასცა გამყიდველისაგან 2006 წლის 25 აპრილს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე შეძენილი მხოლოდ მანგანუმის სარეცხი მინი ქარხანა (ამ განჩინების პ-36).

41. კასატორი აღნიშნავს, რომ მას პირველი მოპასუხისათვის 2008 წლის 21 მარტს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე საკუთრებაში არ გადაუცია 2006 წლის 25 აპრილს გამყიდველისაგან შეძენილი: მადნის სამტვრევი დანადგარი №108 – ერთი ცალი; კლასიფიკატორი – 1400 მმ-ნი ერთი ცალი; ტრანსპორტიორი – 11 მეტრის სიგრძის; ტრანსპორტიორი 8 მეტრი სიგრძის – ერთი ცალი; ტრანსპორტიორი 4 მეტრი სიგრძის ორი ცალი.

42. კასატორი მიუთითებს, რომ მოპასუხეებს ზეპირი ფორმით დადებული იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე სარგებლობაში გადასცა აღნიშნული ნივთები. პირველი მოპასუხე არის შპს „ყ.“-ის 100% წილის მფლობელი და იმავედროულად მესაკუთრე.

43. დადგენილია, რომ საიჯარო ურთიერთობის იჯარის ვადა განსაზღვრული არ იყო. მხარეები ზეპირადვე შეთანხმდნენ საიჯარო ქირის ოდენობაზე, კერძოდ კასატორს გადაუხდიდნენ შპს-ს მოგებიდან 25%-ს.

44. აღსანიშნავია, რომ კასატორის შეუთანხმებლად, მოიჯარებმა დაზგა-დანადგარები (იჯარის საგანი) გადაიტანეს სხვა ადგილას და არანაირი საიჯარო ქირა მოიჯარისათვის არ გადაუხდიათ, შესაბამისად კასატორის მოთხოვნას წარმოადგენს მოპასუხეებისაგან (მონინალმდევე მხარე) იჯარით გადაცემული დაზგა-დანადგარების, კერძოდ, მადნის სამტვრევი დანადგარი №108 – ერთი ცალი; კლასიფიკატორი – 1400 მმ-ნი ერთი ცალი; ტრანსპორტიორი – 11 მეტრის სიგრძის; ტრანსპორტიორი 8 მეტრი სიგრძის – ერთი ცალი; ტრანსპორტიორი 4 მეტრი სიგრძის ორი ცალის უკან დაბრუნება.

45. საკასაციო პალატა დადგენილად მიიჩნევს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლის 2014 წლის 7 აპრილის განჩინებით ყადაღა დაედო პირველი მოპასუხის საკუთრებაში არსებულ შემდეგ მოძრავ ნივთებს: მადნის სამტვრევი დანადგარი №108 – ერთი ცალი; კლასიფიკატორი – 1400 მმ-ნი ერთი ცალი; ტრანსპორტიორი – 11 მეტრის სიგრძის;

ტრანსპორტიორი 8 მეტრი სიგრძის – ერთი ცალი; ტრანსპორტიორი 4 მეტრი სიგრძის ორი ცალი. 2014 წლის 14 მარტს პირველმა მოპასუხემ განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და მიუთითა, „იმის გათვალისწინებით, რომ სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინებაში მითითებული ნივთები არ წარმოადგენს ჩემს საკუთრებას, ვგეგმავ აღნიშნული განჩინების გასაჩივრებას, რისთვისაც მესაჭიროება საქმის მასალების გაცნობა“.

46. გარდა ამისა, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ საჩივარში, პირველმა მოპასუხემ აღნიშნა: „მოსარჩელე თავად მიუთითებს, რომ დასახელებული ნივთები წარმოადგენს მის საკუთრებას, შესაბამისად სასამართლოს მიერ მითითებული გარემოება იმის თაობაზე, რომ თითქოსდა ეს ნივთები წარმოადგენენ ჩემს (მოპასუხის) საკუთრებას, არ შეესაბამება სინამდვილეს. გარდა ამისა, დამატებით მოგახსენებთ, რომ მოსარჩელის მიერ მითითებული გარემოება იმის თაობაზე, თითქოსდა განჩინებაში მითითებული ნივთები იჯარით მქონდა გადმოცემული, არ შეესაბამება სინამდვილეს და უფრო მეტიც, აღნიშნულის დამადასტურებელი არანაირი მტკიცებულება არ წარმოუდგენია მოსარჩელეს“.

47. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმის მასალებში განთავსებულია 2014 წლის 16 აპრილს შედგენილი მოვალის ქონების აღწერისა და დაყადაღების შესახებ აქტი, რომლითაც ყადაღა დაედო პირველი მოპასუხის საკუთრებაში არსებულ შემდეგ მოძრავ ნივთებს – მადნის სამტკრევი დანადგარი №108 – ერთი ცალი; კლასიფიკატორი – 1400 მმ-ნი ერთი ცალი; ტრანსპორტიორი 4 მეტრი სიგრძის ერთი ცალი. საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ აღნიშნული აქტის საფუძველზე 2014 წლის 23 აპრილს განახორციელა ყადაღის რეგისტრაცია და მიუთითა მისი გასაჩივრების წესი. აღნიშნული აქტი არ გასაჩივრებულა მოპასუხის მიერ კანონით დადგენილი წესით.

48. პირველმა მოპასუხემ 2014 წლის 14 ნოემბერს სასამართლოში წარდგენილ შესაგებელში დაადასტურა, რომ მოსარჩელისაგან შეიძინა მხოლოდ მანგანუმის სარეცხი მინი ქარხანა 150 კვ.მ საერთო ფართი და არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების 150 კვ.მ მიწის ნაკვეთი მდებარე ქ. ჭიათურაში, ჭ-ის ქ.№28-ში; (მოპასუხის პოზიცია სარჩელის მე-2 ფაქტობრივ გარემოებასთან მიმართებით). მანვე აღნიშნა, რომ მოსარჩელეს მისთვის არანაირი დაზგა-დანადგარები იჯარით არ გადაუცია და არც არანაირი ხელშეკრულება არ გაფორმებულა. ამის დამადასტურებელი არანაირი მტკიცებულება არ არსებობს და ეს გარემოება ემყარება მხოლოდ და მხოლოდ

მოსარჩელის განმარტებას. (მოპასუხის პოზიცია სარჩელის მე-3 ფაქტობრივ გარემოებასთან მიმართებით).

49. საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ პირველმა მოპასუხემ შესაგებელთან ერთად არათუ წარმოადგინა რაიმე მტკიცებულება, არამედ საერთოდ არ მიუთითებია, რა სამართლებრივი საფუძვლით აღმოჩნდა მის მფლობელობაში (საკუთრებაში) დაყადაღებული სადავო ნივთები.

50. საკასაციო სასამართლომ არაერთ საქმეში განმარტა, რომ სასამართლოს უპირველესი ამოცანაა, დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა (ნორმები), რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რისი მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად განხილული ნორმა (ან ნორმები) შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემონიშნავს სასამართლოს ვალდებულებაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს, ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა, რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი წინამძღვრის (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა გამორიცხავს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას (იხ. სუსგ №ას-1529-1443-2012, 09.12.2013წ.; სუსგ საქმე №ას-973-1208-04).

51. მოცემულ შემთხვევაში, მართალია, მოსარჩელე მიუთითებს, რომ მასა და მოპასუხეებს შორის არსებობდა იჯარის სახელშეკრულებო ურთიერთობა, თუმცა ეს არ გამორიცხავს პარალელურად კანონისმიერი მოთხოვნის საფუძვლის არსებობას, მით უფრო, იმის გათვალისწინებით, რომ მოთხოვნა წაყენა მეორე მოპასუხესაც, რომელიც, თავის მხრივ, სახელშეკრულებო ურთიერთობაში არ იმყოფებოდა მოსარჩელესთან.

52. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოთხოვნის რამდენიმე საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, სასამართლო უფლებამოსილია, შეამოწმოს ყველა გასათვალისწინებელი მოთხოვნის საფუძველი, თუ ერთ-ერთი მათგანი საერთოდ (ან სრულყოფილად) ვერ მიუახლოვდება მოსარჩელის მიერ დასახულ და სასურველ შე-

დეგს.

53. განსახილველ შემთხვევაში, იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელე პირველი მოპასუხისაგან მოითხოვს იჯარით გადაცემული ქონების დაბრუნებას ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის საფუძველით, უნდა შემომდეს, ხომ არ გამომდინარეობს მოსარჩელის მიერ დასახული სამართლებრივი შედეგი კანონისმიერი მოთხოვნის საფუძველებიდან, კერძოდ, მართალია, მოსარჩელე მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად სსკ-ის 581-ე, 558-ე მუხლებს მიიჩნევს, მაგრამ მოსარჩელის მიერ მითითებული მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველები სავალდებულო არაა სასამართლოსათვის.

54. მოსარჩელე შესაძლებელია, ცდებოდეს კიდეც სადავო ურთიერთობის სამართლებრივ შეფასებაში, რაც არამცთუ არ ზღუდავს სასამართლოს, არამედ, პირიქით, სწორედ სასამართლოა ვალდებული, სამართლებრივად სწორად შეაფასოს სადავო ურთიერთობა და მოძებნოს მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი.

55. მოთხოვნის საფუძვლის (საფუძველების) ძიებისას, სასამართლოსათვის ამოსავალია ის კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას. სწორედ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები და გარემოებები განსაზღვრავენ მისი მოთხოვნის შინაარსს. სასამართლომ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, უნდა გაარკვიოს, თუ საიდან გამომდინარეობს მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, კერძოდ, სახელშეკრულებო შეთანხმებებიდან თუ სხვა ვალდებულებითი ურთიერთობებიდან.

56. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორმა წარმოადგინა ნაწილობრივ დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია (შედავება) სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების მიმართ (სსკ-ის 407.2 მუხლი), რომელთა შეფასებაც, მხარეთა ახსნა-განმარტებებისა და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების მხედველობაში მიღებით, საკასაციო პალატას აძლევს შესაძლებლობას, მხარეთა შორის არსებული დავა კანონისმიერი მოთხოვნის მომწესრიგებელი ნორმით გადაწყვიტოს.

57. მხედველობაშია სსკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილი, კერძოდ, პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია მოსთხოვოს ვითომ კრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ ვალდებულება გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში.

58. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ განსაზღვრული სამართლებრივი მიზნის შესაძლო მიღწევისას, როდესაც ერთი მოთხოვნა განსხვავებული სამართლებრივი საფუძველით წარმოიშობა, არსებობს მოთხოვნის საფუძველთა კონკურენცია. მოთხოვნის საფუძველთა კონკურენციის დროს მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი მოცემულია კანონის იმ ნორმებში, რომელთა თანახმად ერთ პირს მეორისაგან შეუძლია განსაზღვრული მოქმედების შესრულება ან ასეთი მოქმედებისაგან თავის შეკავება. ერთი და იგივე მოთხოვნის განხორციელება სხვადასხვა სამართლებრივი საშუალებით არის შესაძლებელი. ამ დროს, უფლებამოსილ პირს ეკუთვნის თეორიულად ერთმანეთის თანაბარი, ერთი და იგივე ინტერესის დაცვისათვის გამიზნული ალტერნატიული სამართლებრივი საშუალებების ერთობლიობა. მოთხოვნათა კონკურენციისაგან განსხვავებით, სადაც მოსარჩელის უფლებამოსილებათა მოთხოვნათა შორის არჩევა, მოთხოვნის საფუძველთა კონკურენციის დროს, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთაგან ერთ-ერთის გამოყენება სასამართლოს უფლებამოსილება და ვალდებულებაა. (იხ. დამატებით: ლ. ჭანტურია“, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი“, თბ., 2011 წ., გვ.132; ჰ. ბიოლინგი/პ. ლუტრინგჰაუსი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძველების სისტემური ანალიზი“, თბილისი-ბრემენი, 2004-2009 წ., გვ.14; ქ. ქოჩაშვილი., „მოთხოვნის საფუძველთა კონკურენცია უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვისას“, თბ., 2012წ, გვ.280; ს. ჩაჩავა., „მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძველების კონკურენცია კერძო სამართალში“, სად.ნაშრ., თსუ, 2010, გვ.39; ს. ჰენშელი., „სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდიკა“, თბ., 2009, გვ.84;).

59. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველები გარკვეული ლოგიკური რიგითობის მიხედვით უნდა შემოწმდეს. კანონი ამ რიგითობას არ აწესებს. მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველების შემოწმების რიგითობა უნდა განისაზღვროს მიზანშეწონილობის მიხედვით და უნდა გამომდინარეობდეს კანონის სისტემიდან. სარჩელთა კონკურენცია, რომელიც მდგომარეობს მოთხოვნის რამდენიმე საფუძველის ერთდროულად ფორმირებაში, მოიცავს სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო, სახელშეკრულებო და სავინდიკაციო, სავინდიკაციო და დელიქტურ, დელიქტურ და კონდიქციურ, კონდიქციურ და სავინდიკაციო სარჩელთა კონკურენციას. მესაკუთრის მიერ ნივთზე საკუთრების (მფლობელობის) დაკარგვისას, მისი კანონით დაცული ინტერესების დაცვა შესაძლოა, როგორც სანივთო (სავინდიკაციო), ისე ვალდებულებით – სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო.

რულებო (დელიქტური) ან კონდიქციური სარჩელებით. თითოეული მათგანი მიმართულია უფლებამოსილი პირისათვის ქონების დაბრუნებისაკენ და უფლების დარღვევამდე არსებული მდგომარეობის აღდგენისაკენ.

60. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ყოველი კონკრეტული სამოქალაქო საქმის გადანყვეტა სასამართლოში, დაკავშირებულია გარკვეული ფაქტების დადგენასთან. ფაქტების დადგენის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ სასამართლო იხილავს და ნყვეტს მხარეთა შორის წარმოშობილ დავებს, რომლებიც სამართლით რეგულირებული ურთიერთობებიდან წარმოიშობიან. სამართლებრივი ურთიერთობა კი, როგორც ეს ცნობილია, შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტების საფუძველზე. სწორედ მტკიცების ტვირთსა და მის სწორ განაწილებაზე დამოკიდებული დასაბუთებული და კანონიერი გადანყვეტილების მიღება.

61. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზება უმეტესწილად დამოკიდებულია და გულისხმობს სასამართლოს მიერ დასაბუთებული, მტკიცებულებათა შეჯერების საფუძველზე მიღებული გადანყვეტილების მიღებას. მტკიცების ტვირთის როლი განსაკუთრებით ვლინდება სამოქალაქო სამართალწარმოებაში, სადაც მხარეთა ნების ავტონომიას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. შესაძლებელია მხარის მოთხოვნა საფუძვლიანი იყოს, მაგრამ შეუძლებელია მხარემ მიიღოს თავისი სასარგებლო გადანყვეტილება, თუ ვერ დაამტკიცებს თავის სასარგებლო გარემოებებს საპროცესო სამართლით დადგენილი წესით. ამიტომაც, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს მტკიცების ტვირთის სწორი განაწილება მოდავე მხარეებს შორის.

62. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მიხედვით მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადანყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი. ამავე კოდექსის მე-4 მუხლის მიხედვით სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული

შესაგებლები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

63. მტკიცების ტვირთზე მითითებას აკეთებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის მიხედვითაც თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მოსარჩელემ უნდა ამტკიცოს ის გარემოებები, რომლებზედაც დაფუძნებულია სასარჩელო მოთხოვნა, ხოლო მოპასუხემ გარემოებები, რომლებსაც მისი შესაგებელი ემყარება.

64. მტკიცების ტვირთი – ესაა სამოქალაქო სამართალწარმოებაში საქმის სწორედ გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცების მოვალეობის დაკისრება მხარეებზე, რომლის შესრულება უზრუნველყოფილია მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით არახელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანით იმ მხარის მიმართ, რომელმაც ეს მოვალეობა არ (ვერ) შეასრულა. მხარეთა მტკიცებითი საქმიანობის საბოლოო მიზანი – ესაა სასამართლოს დარწმუნება საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობაში. სასამართლოს დაურწმუნებლობა კი, მხარისათვის არახელსაყრელ შედეგს იწვევს.

65. მტკიცების ტვირთი დამოკიდებულია არა მხარის როლზე პროცესში, არამედ მოთხოვნის საფუძველზე. ის ვინც ითხოვს ვალდებულების შესრულებას, უნდა დაამტკიცოს მოთხოვნის საფუძვლის არსებობა არა მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ითხოვს თავისი მოთხოვნის შესრულებას, ან აღიარებას, არამედ მაშინაც, როდესაც იგი თავს იცავს მონინალმდეგე მხარის ნეგატიური აღიარებითი სარჩელისაგან (მოთხოვნისაგან).

66. მტკიცების ტვირთისაგან უნდა გავმიჯნოთ ფაქტების მითითების ტვირთი, როგორც მხარის ფაქტობრივი მოვალეობა. მხარეები სსკ-ის მე-4 მუხლის თანახმად სრულიად თავისუფალნი არიან მიუთითონ ნებისმიერ ფაქტზე. ეს მათი უფლებაა, მაგრამ მათ მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება, ე.ი. იმის დადგენა და გარკვევა, თუ რამდენად ასაბუთებენ ეს ფაქტები იურიდიულად მხარეთა მოთხოვნებს და შესაგებელს – ეს უკვე სასამართლის პრეროგატივაა. ამასთან, საკმარისი არ არის, რომ მხარემ ზოგადად გამოთქვას მოსაზრება საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებაზე, მაგალითად, განაცხადოს, რომ იგი მთლიანად უარყოფს მეორე მხარის მიერ მოხსენიებულ საქმის ფაქტობრივ გარემოებებს. მხარის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები კონკრეტულად და დეტალურად უნდა ჩამოყა-

ლიბდეს და ეხებოდეს საქმის გადანყვევებისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოებას. მხარეთა მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებები უნდა იყოს დასაბუთებული და ეხებოდეს იმ გარემოებებს, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვს დავასთან.

67. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კრიტერიუმი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს სასამართლო იმისათვის, რომ სწორად განსაზღვროს მხარეთა მიერ მითითებული ფაქტებიდან, თუ რომელი ამართლებს სამართლებრივად მხარეთა მოთხოვნებს (შესაგებელს) და რომელი არა, ესაა – სარჩელის საგანი (მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსი), მოპასუხის შესაგებელი და შესაბამისი მატერიალურ სამართლებრივი ნორმა.

68. იურიდიულ ლიტერატურაში ფართოდა გავრცელებული შეხედულებაა, რომ დამტკიცებას არ საჭიროებენ ე.წ. პრეზუმირებული ანუ ნავარაუდები ფაქტები. პრეზუმფიცია წარმოადგენს ვარაუდს ამა თუ იმ ფაქტის არსებობის შესახებ. პრეზუმფიციების მემკვიდრეობით კანონმდებელი ანაწილებს მტკიცების ტვირთს მხარეთა შორის და იგი არის მტკიცების ტვირთის გამოხატვის ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილი და ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმა.

69. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მტკიცების საგანში შემავალი გარემოებებიდან ერთი ნაწილი უნდა დაამტკიცოს მოსარჩელემ, მეორე ნაწილი კი – მოპასუხემ. ამასთან ერთად, დამტკიცების ტვირთის განაწილების საფუძველზე, მოსარჩელე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოპასუხემ უნდა დაამტკიცოს და პირიქით, მოპასუხე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს. მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილების ინსტიტუტი მიუთითებს არა მარტო იმაზე, თუ რომელმა მხარემ რა ფაქტები უნდა დაადგინოს, არამედ იმაზეც, თუ რომელი ფაქტების დადგენის მოვალეობისაგან თავისუფლდება ესა თუ ის მხარე. შესაბამისად, მოსარჩელემ, როგორც წესი, უნდა დაამტკიცოს ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის წარმოშობის საფუძველს, ხოლო მოპასუხემ კი – ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს (იხ. ჰაინ ბიოლინგი, ლადო ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე გადანყვევებთან მიღების მეთოდოლოგია, თბ., 2003, გვ.64).

70. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამართალწარმოებაში პრეზუმციების არსებობა იმითაა განპირობებული, რომ ფაქტების გარკვეული ნაწილი მტკიცებას არ საჭიროებს. სამოქალაქო პროცესში მონაწილეობს ორი ერთმანეთისადმი დაპირისპირებული მხარე – მოსარჩელე და მოპასუხე. შესაბამისად, ერთი ნაწილი მტკი-

ცების საგანში შემავალი ფაქტებისა ივარაუდება მოსარჩელის სასარგებლოდ, ხოლო დანარჩენი ნაწილი – მოპასუხის სასარგებლოდ. ის, რაც მოსარჩელის სასარგებლოდ ივარაუდება უნდა გააქარწყლოს მოპასუხემ, ხოლო ის, რაც მოპასუხის სასარგებლოდ ივარაუდება პირიქით, უნდა გააქარწყლოს მოსარჩელემ. ეს იმას ნიშნავს, რომ პრეზუმფციები სასამართლოში მტკიცების მოვალეობისაგან კი არ ათავისუფლებს მხარეს, არამედ წარმოადგენს მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების წესს. მოსარჩელე ვალდებულია დაამტკიცოს მტკიცების საგანში შემავალი გარკვეული ფაქტების ნაწილი, ხოლო ამ ფაქტების მეორე ნაწილი ვალდებულია დაამტკიცოს მოპასუხემ. ნორმები, რომლებიც შეიცავს პრეზუმფციებს, წარმოადგენენ კანონის პირდაპირ მითითებას იმის შესახებ, რომელმა მხარემ კონკრეტულად რა ფაქტები უნდა დაამტკიცოს სამოქალაქო პროცესში.

71. ამა თუ იმ ფაქტის დამტკიცების ტვირთისაგან გათავისუფლება წარმოადგენს არა მიზეზს, არამედ ამ ტვირთის განაწილების შედეგს, ანუ პრეზუმფციების მეშვეობით კანონმდებელი ანაწილებს დამტკიცების ტვირთს მხარეთა შორის და მტკიცების ტვირთის გამომხატვის სხვა ფორმებს შორის, რომელსაც იცნობს მატერიალური სამართალი, პრეზუმფციები ყველაზე სრულყოფილი და პრაქტიკულად ხელმისაწვდომი ფორმაა (იხ. თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2005, გვ. 230).

72. თუ რომელი მხარისათვის უფრო ადვილია დაამტკიცოს ესა თუ ის ფაქტი, აგრეთვე რომელი ფაქტების დამტკიცების საფუძველზე წარმოიშობა ვარაუდი (პრეზუმფცია) გადანყვეტილებისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა ფაქტების არსებობის შესახებ, განსაზღვრულია კანონით, ხოლო ზოგიერთ შემთხვევებში კი, სასამართლო პრაქტიკით.

73. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსკ-ის 158-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ივარაუდება, რომ ნივთის მფლობელი არის მისი მესაკუთრე. აღნიშნული ნორმის დანაწესი ვრცელდება მხოლოდ მოძრავ ნივთებზე, ასევე, ფულსა და ფასიან ქაღალდებზე.

74. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სსკ-ის 158-ე მუხლით გათვალისწინებულია კანონისმიერი ვარაუდი (*praesumptio juris*), რომლის უარყოფაც საწინააღმდეგოს დამტკიცებით არის შესაძლებელი, რაც ამსუბუქებს ნივთის მფლობელის მტკიცების ტვირთს და ზეგავლენას ახდენს მხარეებს შორის არსებულ მატერიალურ-სამართლებრივ ურთიერთობაზე. ნივთის მფლობელმა უნდა დაამტკიცოს ნივთზე მფლობელობის მოპოვების ფაქტობრივი გარემოებები და არა საკუთრების წარმოშობისათვის აუცილებელი გარე-

მოებები, მაგალითად, გამსხვიებლის უფლებამოსილება. შესაბამისად, პრეზუმფციის უარყოფა უნდა მოხდეს მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე.

75. სსკ-ის 158-ე მუხლის დანაწესი შეიცავს არა მტკიცების წესს, არამედ მხარეებს შორის მტკიცების ტვირთის განაწილების წესს. იგი ინვევს მხარეებს შორის მტკიცების ტვირთის ცვლილებას, რადგან მფლობელმა უნდა დაამტკიცოს პრეზუმფციის ბაზისი (მფლობელობა) და არა სამართლის ნორმის ფაქტობრივი შემადგენლობა, რომელიც ინვევს სამართლებრივ შედეგებს. აღნიშნული ნორმა გამოიყენება იმ მოთხოვნის საფუძველების მიმართ, რომლის წინაპირობაც არის საკუთრების უფლება, ასევე დელიქტური და უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების გამოყენების შემთხვევებში (იხ. ლევან თოთლაძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, მუხლი 158, ველი 6., თბილისი, 2018).

76. სსკ-ის 158-ე მუხლით გათვალისწინებული პრეზუმფცია ეფუძნება მფლობელობისა და საკუთრების მოპოვების ერთობლიობას. მაშასადამე, ივარაუდება არა ნივთის მფლობელის საკუთრება, არამედ ის, რომ ნივთის მფლობელმა პირდაპირი მფლობელობის წარმოშობის მომენტში მოიპოვა ნივთზე საკუთრება და ნივთზე საკუთრების უფლებას იგი მფლობელობის პერიოდის განმავლობაში ახორციელებდა. აქედან გამომდინარე, სსკ-ის 158-ე მუხლის დანაწესი არ გამოიყენება, თუ მფლობელი მიუთითებს, რომ მან თავდაპირველად მხოლოდ ნივთზე მფლობელობა მოიპოვა, მაგალითად, როგორც დამქირავებელმა და მხოლოდ ამის შემდეგ, სხვა გარემოებების საფუძველზე გახდა იგი ნივთის მესაკუთრე. ამ შემთხვევაში, დამქირავებლის მიერ ნივთზე პირდაპირი მფლობელობის წარმოშობას არ გამოუწვევია ნივთზე საკუთრების უფლების მოპოვება და შემდგომში საკუთრების მოპოვების წინაპირობები შესაბამისი მტკიცებულებებით უნდა დაამტკიცოს. (იხ. ლევან თოთლაძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, მუხლი 158, ველი 6. 9., თბილისი, 2018).

77. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მფლობელობის საფუძველზე მესაკუთრედ ყოფნის პრეზუმფცია შესაძლებელია მოწინააღმდეგე მხარემ (მოსარჩელემ) უარყოს იმ გარემოებების დამტკიცებით, რომ ნივთზე პირდაპირი მფლობელობის წარმოშობას არ გამოუწვევია საკუთრების მოპოვება.

78. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში უთითებს, რომ ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა პასუხობდეს მხარის მიერ სამართლებრივ და პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით წარმოდგენილი არგუმენტების ძირითად ასპექტებს

(იხ., გადანყვეტილება საქმეზე Ruiz Torija v. Spain, §§ 29-30). შესაბამისად, უფლება მოსმენაზე მოიცავს არა მხოლოდ სასამართლოს წინაშე არგუმენტების წარდგენის შესაძლებლობას, არამედ სასამართლოს ვალდებულებას, გადანყვეტილების დასაბუთებაში მიუთითოს მიზეზები, რომელთა საფუძველზეც გაიზიარა ან უარყო შესაბამისი არგუმენტები. სასამართლომ შეიძლება აუცილებლად არ მიიჩნიოს იმგვარ არგუმენტებზე პასუხის გაცემა, რომლებიც ამკარად არარელევანტური, დაუსაბუთებელი ან სხვაგვარად დაუშვებელია მსგავსი არგუმენტების მიმართ არსებული სამართლებრივი დებულებების ან მყარად დადგენილი სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე, თუმცა, ყველა გადანყვეტილება უნდა იყოს ნათელი და საქმეში მონაწილე მხარეებს შესაძლებლობას უნდა აძლევდეს გაიგონ, თუ რატომ გაითვალისწინა სასამართლომ მხოლოდ კონკრეტული გარემოებები და მტკიცებულებები (იხ., გადანყვეტილება საქმეზე Seryavin and Others v. Ukraine §§55-62). სასამართლოს აქვს ვალდებულება, სათანადოდ იმსჯელოს მხარეთა მიერ წარდგენილ დოკუმენტებზე, არგუმენტებსა და მტკიცებულებებზე (იხ. Kraska v. Switzerland, §30; Van de Hurk v. the Netherlands, § 59; Perez v. France, §80). ამასთან, მხარეებს უნდა ჰქონდეთ არა მხოლოდ იმის შესაძლებლობა, რომ იცოდნენ იმ მტკიცებულებათა შესახებ, რომლებიც მათ სჭირდებათ თავიანთი სარჩელის წარმატებისათვის, არამედ იცოდნენ და ჰქონდეთ კომენტარის გაკეთების საშუალება ყველა იმ მტკიცებულებასთან და მოსაზრებასთან დაკავშირებით, რომლებიც წარდგენილია სასამართლოს აზრის ფორმირებაზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით (იხ. Milatova and others v. The Czech republic §59; niderost-huber v. Switzerland, § 24; k.s. v. finland § 21; ასევე, სუსგ №ას-1191-1133-2014, 14 მაისი, 2015 წელი).

79. საკასაციო პალატა დამატებით განმარტავს, რომ მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის განმსაზღვრელია სარჩელში მითითებული ფაქტები და გარემოებები. სარჩელის ინდივიდუალიზაცია სარჩელის ელემენტების მეშვეობითაა შესაძლებელი.

80. სსსკ-ის მე-3, მე-4, 83-ე და 178-ე მუხლების ანალიზით შესაძლებელია, დავასკვნათ, რომ სარჩელი შედგება ორი ელემენტისგან: სარჩელის საგნისა და სარჩელის საფუძვლისგან. სარჩელის საგანია მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისადმი (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი), ხოლო სარჩელის საფუძველი – კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი).

81. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე თავიდანვე მოითხოვდა პირველი მოპასუხისაგან სადავო მოძრავი ნივთების დაბრუნებას. ეს მოთხოვნა მოსარჩელეს არ შეუცვლია. მას არც სარ-

ჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები არ შეუცვლია.

82. ამ გარემოებათა ანალიზის საფუძველზე მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის დადგენა და მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის მოძიება კი, სასამართლოს ვალდებულება იყო. სადავო ურთიერთობის შეფასებისას, ზემდგომი ინსტანციის სასამართლო არაა შებოჭილი ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს სამართლებრივი შეფასებებით, შესაბამისად, თუ ზემდგომი ინსტანციის სასამართლო გამოარკვევს, რომ ქვემდგომი სასამართლოს სამართლებრივი შეფასება არ გამომდინარეობს საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან, იგი ვალდებულია, ეს გარემოებები თავად შეაფასოს სამართლებრივად სწორად და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

83. საკასაციო პალატა კიდევ ერთხელ განმარტავს, რომ სადავო ურთიერთობის სამართლებრივი შეფასება სასამართლოს ვალდებულებაა, მიუხედავად იმისა, ედავებიან თუ არა ამ შეფასებას მხარეები. ეს იმას ნიშნავს, რომ არც სააპელაციო და არც საკასაციო სასამართლო არაა შებოჭილი სააპელაციო თუ საკასაციო საჩივარში მითითებული კანონის დარღვევებით და ისინი ამონმებენ გადაწყვეტილებას მატერიალურსამართლებრივი ნორმების სწორად გამოყენების თვალსაზრისით. თუ ასეთი შემონმების შედეგად სასამართლო იმ დასკვნას გამოიტანს, რომ საჩივრის მოთხოვნა გადაწყვეტილების გაუქმების ან შეცვლის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს, მაგრამ არა საჩივარში მითითებული, არამედ მატერიალურსამართლებრივი ნორმის (კანონის) სხვა დარღვევის გამო, სასამართლომ უნდა გამოიტანოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

84. იმ შემთხვევაში კი, თუ არასწორი სამართლებრივი შეფასების შედეგად, ანუ კანონის (სსსკ-ის 393.2 მუხლის) დარღვევით მიღებული გადაწყვეტილების ძალაში დატოვება შესაძლებელია სხვაგვარი სამართლებრივი შეფასებით, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია, თავისი განჩინებით ძალაში დატოვოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება ან ამ გადაწყვეტილების შეცვლით მიიღოს ახალი გადაწყვეტილება (სსსკ-ის 386-ე მუხლი). ასეთივე შესაძლებლობითაა აღჭურვილი საკასაციო სასამართლოც, კერძოდ, მას შეუძლია, არ გააუქმოს გადაწყვეტილება და ძალაში დატოვოს იგი (სსსკ-ის 410-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი) ან ახალი გადაწყვეტილებით დაადგინოს სხვა სამართლებრივი შედეგი (სსსკ-ის 411-ე მუხლი).

85. შესაბამისად, საკასაციო პალატა მხარეთა ახსნა-განმარტებებისა და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების (წერილობითი მტკიცებულებები, მოწმეთა ჩვენებები) საფუძველზე მიიჩნევს, კასატორმა (მოსარჩელემ) შეძლო მტკიცების ტვირთის რეალიზება, რომ სადავო მოძრავი ნივთების ნაწილი, კერძოდ, მადნის სამ-

ტვრევი დანადგარი №108 – ერთი ცალი; კლასიფიკატორი – 1400 მმ-იანი ერთი ცალი; ტრანსპორტიორი 4 მეტრი სიგრძის ერთი ცალი, წარმოადგენს კასატორის (მოსარჩელე) საკუთრებას, რომელიც იმყოფება პირველ მოპასუხესთან სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, რაც სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების ნაწილობრივ გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღებით საკასაციო საჩივრის და შესაბამისად, სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების საფუძველია.

86. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ პუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, რაც მისი გაუქმების აბსოლუტური საფუძველია, თუ გადაწყვეტილება არ არის საკმარისად დასაბუთებული, ხოლო სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად კი, საკასაციო სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები.

87. ვინაიდან საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილებულია მხოლოდ ნაწილობრივ, საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 300 ლარი მოსარჩელეს ჩაეთვალოს გადახდილად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა :

1. დ. მ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. ნაწილობრივ გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 14 აპრილის განჩინება;
3. დ. მ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს და გ. ჭ-ეს დაევალოს დაუბრუნოს დ. მ-ეს შემდეგი მოძრავი ნივთები: მადნის სამტვრევი დანადგარი 108 – ერთი ცალი; კლასიფიკატორი – 1400 მმ-იანი ერთი ცალი; ტრანსპორტიორი 4 მეტრი სიგრძის ერთი ცალი;
4. დანარჩენ ნაწილში უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 14 აპრილის განჩინება;
5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

პირობ-კრედიტორისგან მოთხოვნის საფუძვლები

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-528-501-2015

15 ნოემბერი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა
შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ბ. ალავეიძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. ლ.ლ. (შემდეგში: მოსარჩელე, აპელანტი ან კასატორი) არის მ.პ-ის (შემდეგში: მოსარჩელის შვილიშვილი ან მოპასუხის სიძე) ბე-ბია, ხოლო ლ.ს. (შემდეგში: მოპასუხე) ნ.ს-ის (შემდეგში: მოპასუხის შვილი) მამაა.

2. მოპასუხის შვილი და მოსარჩელის შვილიშვილი იმყოფებოდნენ რეგისტრირებულ ქორწინებაში, თუმცა, უთანხმოების გამო 2012 წლის აგვისტოდან ისინი ფაქტობრივად დაშორდნენ ერთმანეთს, ერთად აღარ ცხოვრობენ, მაგრამ დღემდე რეგისტრირებულ ქორწინებაში რჩებიან.

3. მოსარჩელემ კუთვნილი საცხოვრებელი ბინა თავის შვილიშვილსა და მის მეუღლეს (მოპასუხის შვილს) აჩუქა 2012 წლის 4 ივლისს და მეუღლეები ბინის თანამესაკუთრებად აღირიცხნენ (იხ. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან).

4. მოპასუხის შვილმა და სიძემ (მოსარჩელის შვილიშვილმა), 2012 წლის 26 ივლისს, მიკროსაფინანსო ორგანიზაციიდან აღებულ 5 000 აშშ დოლარიანი სესხის უზრუნველსაყოფად ბინა იპოთეკით დატვირთეს.

5. მოსარჩელის შვილიშვილმა 2012 წლის 21 ნოემბერს ბებიას (მოსარჩელეს) აჩუქა ამ განჩინების მე-3 პუნქტში დასახელებული ბინა და უძრავი ქონების თანამესაკუთრედ, მოპასუხის შვილთან ერთად, მოსარჩელეც.

6. ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, 2012 წლის 10 დეკემბერს, ბინა რ. ლ-ძემ შეიძინა.

7. ბინის გასხვისების დღესვე, 2012 წლის 10 დეკემბერს, მოსარჩელისაგან მოპასუხემ მიიღო – 25 615 აშშ დოლარი, ამ უკანასკნელის სიძის მიერ სხვადასხვა დროს წაღებული თანხის ანგარიშ-

ში, რაც მოპასუხებმ ხელწერილით დაადასტურა (იხ. მოპასუხის მიერ შედგენილი ხელწერილი).

8. მ. გ-მა (მოპასუხის სიძის დედა) შეადგინა იმ თანხის სია, რასაც მოპასუხე ითხოვდა:

- „ქორწილი – 7 500 ლარი;
- ციხე – 10 000 ლარი;
- ტანსაცმელი – 2 120 ლარი;
- პროფილაქტიკის – 800 ლარი;
- მანქანის – 5 570 აშშ დოლარი;
- სამაჯური – 33 გრამი“.

9. ამ განჩინების მე-7 პუნქტში აღნიშნული თანხა გამოთვლილია მოპასუხის მიერ შედგენილი გაანგარიშების (სიის) მიხედვით:

- „6 000 აშშ დოლარი – ციხე;
- 4 000 აშშ დოლარი – მოპარული;
- 3 760 აშშ დოლარი – ავტომანქანა (2 300+660+800);
- 2 500 აშშ დოლარი – ვალი;
- 2 000 აშშ დოლარი – ლეპტოპი;
- 7 500 ლარი – ქორწილი;
- 2 120 ლარი – ტანსაცმელი;
- 800 ლარი – ავტომანქანა;
- 1 716 ლარი – 33 გრ. ოქრო (1. გრ. 52 ლარი)
- 18 260 აშშ დოლარი;
- 12 136 ლარი – 7 355 აშშ დოლარი;
- 25 615 აშშ დოლარი“.

10. 25 615 აშშ დოლარიდან მოპასუხისადმი 3 484 აშშ დოლარისა (მოპასუხის შვილისა და მოსარჩელის შვილიშვილის ქორწილის სუფრის ხარჯი) და 6 000 აშშ დოლარის (ახალციხის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 28 თებერვლის განაჩენით მოპასუხის სიძისათვის სასჯელად დანიშნული ჯარიმის ნაწილი) ვალდებულებების არსებობის ფაქტი მოსარჩელემ დაადასტურა.

11. სარჩელის საფუძვლები

11.1. მოსარჩელემ 2013 წლის 4 ივლისს სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ და ამ უკანასკნელისათვის მოსარჩელის მიერ გადახდილი 25 615 აშშ დოლარის დაკისრება მოითხოვა. სასამართლოს 2013 წლის 22 ოქტომბრის სხდომაზე მოსარჩელემ სასარჩელო მოთხოვნა შეამცირა და, მის სასარგებლოდ, მოითხოვა მოპასუხისათვის 16 131 აშშ დოლარის დაკისრება, ამ გადაწყვეტილების მე-10 პუნქტში დასახელებული საფუძვლით;

11.2. მოსარჩელემ წინამდებარე გადაწყვეტილების 1-10 პუნქტებში მითითებულ გარემოებებზე დაყრდნობით განმარტა, რომ მან თანხა ყოველგვარი ვალდებულების გარეშე გადაიხადა და ის

მოპასუხემ შეცდომაში შეიყვანა. მოპასუხემ სადავო თანხა მოსარჩელისაგან სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მიიღო;

11.3. წინამდებარე გადაწყვეტილების მე-9 პუნქტში დასახელებულ სიაში მითითებულ „მოპარულ 4 000 აშშ დოლართან“ დაკავშირებით მოსარჩელემ განმარტა, რომ მოპასუხის მტყიცება, რომ 2012 წლის მარტისა და ივლისის თვეებში მოპასუხის სიძემ მოპასუხის შვილს ბანკომატიდან მოჰპარა 4 000 აშშ დოლარი, არ შეესაბამებოდა სინამდვილეს. აღნიშნული პერიოდისათვის მეუღლეები ერთად ცხოვრობდნენ და ქონება გაყოფილი არ ჰქონდათ, მეტიც, ისინი, როგორც რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირები, ერთმანეთის ქონების თანამესაკუთრეები იყვნენ. მოპასუხის სიძისათვის ცნობილი იყო მეუღლის საბანკო ბარათის კოდი. მოპასუხის მიერ წარდგენილი საბანკო ამონაწერი ადასტურებს, რომ ანაბარ „მ-ზე“ თანხა შეჰქონდა ორივე მეუღლეს. ანაბარი შეივსო საცხოვრებელი ბინის იპოთეკით დატვირთვის შემდეგ დარჩენილი თანხიდან, ამდენად, შეტანილი თანხა წარმოადგენდა ოჯახის საკუთრებას და მისი გახარჯვაც მხარეთა შეთანხმებით მოხდა. მოპასუხის შვილმა მხოლოდ სარჩელის აღძვრის შემდეგ მიმართა სს „ს.ბ.-ს“ იმ მოტივით, რომ არ ეთანხმებოდა განხორციელებულ საბანკო ოპერაციას და თითქოს მან იმ მომენტში აღმოაჩინა მის ბარათზე არსებული თანხის დანაკლისი, რაც არასწორია, ვინაიდან ეს ოპერაციები სარჩელის აღძვრამდე ერთი წლით ადრე განხორციელდა, ხოლო თანხის ყოველი განაღდებისას ბანკი შეტყობინებას უგზავნის კლიენტს. ამავდროულად, მოპასუხის შვილი სარგებლობდა ბარათით და შეიტყობდა, რა ოდენობის თანხა ჰქონდა ანგარიშზე. 2012 წლის 15 ოქტომბერს აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მოპასუხის შვილმა მიმართა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ პროკურატურას, თუმცა, საქმე არ აღიძრა დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო;

11.4. მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხე სიაში უთითებდა, რომ ამ უკანასკნელმა გადაიხადა 3 760 აშშ დოლარი მოსარჩელის შვილიშვილის ავტომანქანისათვის, კერძოდ, 2 300 აშშ დოლარი – თავიდან, ხოლო 660 და 800 აშშ დოლარი – შემდეგ, ასევე, 800 ლარი ავტომანქანის დაზიანების გამო, რაც არასწორი იყო. მოსარჩელის შვილიშვილმა ავტომანქანა „მიცუბიში პაჯერო“ შეიძინა ავტოსესხით, იმ დროისათვის იგი საქართველოს პარლამენტში მუშაობდა და, ხელფასის სახით, შემოსავალი ჰქონდა, რისი გათვალისწინებითაც დაუმტკიცდა სესხი. მანქანის ღირებულება შეადგენდა 5 560 აშშ დოლარს. თანამონაწილეობის მიზნით, მოპასუხის სიძემ შპს „ს. ა-ოს“ გადაუხადა 1 500 აშშ დოლარი, შემდეგ საკუთარი ხელფასიდან იხდიდა სესხს, ხოლო 2010 წლის ბოლოს მან ავტო-

მანქანა საერთოდ გაყიდა და მთლიანად დაფარა ვალი, საიდანაც მოპასუხის შვილმა გადაუხადა მხოლოდ 230 აშშ დოლარი. შესაბამისად, მოსარჩელის შვილიშვილის ყოფილ სიმამრს (მოპასუხეს) ავტომანქანის შეძენაში არანაირი მონაწილეობა არ მიუღია;

11.5. მოსარჩელე არ ეთანხმება მოპასუხის მიერ მტკიცებულების სახით წარდგენილ ხელნაწერ სიაში (იხ. ამ გადაწყვეტილების მე-9 პუნქტი) არსებულ მითითებას, რომ 2 500 აშშ დოლარი ისესხა მოსარჩელის მეორე შვილიშვილმა – ბ. პ-მა, რადგან აღნიშნული არ დასტურდებოდა;

11.6. მოსარჩელე არ ეთანხმება მოპასუხის მითითებას, რომ ამ უკანასკნელის შვილს მოსარჩელის შვილიშვილმა (სიძემ) „ლეპტოპი“ მოპარა და განმარტავს, რომ სადავო ნივთი გატყდა. ამასთან, გამორიცხულია, 2008 წელს შეძენილი „ლეპტოპის“ ფასი 2012 წლისათვის 2 000 აშშ დოლარი ყოფილიყო. ასევე გაურკვეველია, რომელი წლის და რა ფირმის „ლეპტოპი“ იყო, რომ სავარაუდო ღირებულება მაინც უნდა დადგენილიყო;

11.7. მოსარჩელემ მიუთითა, რომ მას მოპასუხემ უკანონოდ გადაახდევინა ამ უკანასკნელის შვილისათვის ქმრის (ანუ მოსარჩელის შვილიშვილის) მიერ გადაყრილი ტანსაცმლის ღირებულება – 2 120 ლარი. მოპასუხე პროკურატურისთვის მიწერილ წერილში აღნიშნავდა, რომ სიძემ მის შვილს 1 630 ლარის ღირებულების ტანსაცმელი გადაუყარა, რაც მოსარჩელის მიერ გადახდილ თანხაზე 490 ლარით მეტია. ფაქტობრივად, მოსარჩელის შვილიშვილმა ცოლს გადაუყარა რამდენიმე ნივთი, რისი ღირებულება 100 ლარიც კი არ იქნებოდა;

11.8. უსაფუძვლოა მოპასუხის მოთხოვნა ოქროს სამაჯურის დაბრუნების შესახებაც, რადგან ეს იყო საქორწინო საჩუქარი, რომელიც, როგორც გაირკვა, ცოლ-ქმარმა შეთანხმებით გაყიდა და ფული ერთობლივად დახარჯეს. მოპასუხემ კი მოსარჩელეს მისი ათმაგი ღირებულება გადაახდევინა იმ მოტივით, რომ 2009 წლის შემდეგ ოქროს ფასი გაიზარდა.

12. მოპასუხის შესაგებელი

12.1. მოპასუხემ მის წინააღმდეგ აღძრული სარჩელი არ ცნო და განმარტა:

12.1.1. მოსარჩელე ვალდებული იყო, აენაზღაურებინა საკუთარი შვილიშვილის ვალები, ვინაიდან მის ოჯახზე ეკონომიკური ზრუნვის ვალდებულება სწორედ მოსარჩელეს ჰქონდა აღებული. აღნიშნული იმითაც დასტურდებოდა, რომ ბებიაშვილი ბინა აჩუქა;

12.1.2. მოპასუხემ უარყო მოსარჩელის მითითება, რომ ეს უკანასკნელი თანხის გადახდისას მოპასუხემ შეცდომაში შეიყვანა. სი-

ნამდვილეში სადავო თანხის გადახდას წინ უძღოდა მხარეთა შორის რამდენიმეთვიანი მოლაპარაკება, რომელშიც მოსარჩელის ნდობით ალჭურვილი ადვოკატი – ი.გ. მონაწილეობდა.

13. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნები

13.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

13.2. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე თანხმა იყო მოპასუხისათვის გადაეხადა თანხა, რათა მათ ოჯახებს შორის არსებული გამწვავებული ურთიერთობა საბოლოოდ დასრულებულიყო; მოპასუხის შვილი მოსარჩელესთან ერთად თანასაკუთრებაში არსებული ბინის გაყიდვას იმიტომ დათანხმდა, რომ ალბებული თანხით მოსარჩელეს მოპასუხისათვის თანხის მიცემა შეძლებოდა; მოპასუხისათვის თანხის გადახდა მოსარჩელის გადაწყვეტილება იყო, რადგან მოპასუხის სიძის მშობლები განმარტავდნენ, რომ მათ მოპასუხისათვის თანხის გადახდის საშუალება არ ჰქონდათ. მიუხედავად იმისა, რომ საქმეში წარდგენილ სიებში მითითებულ თანხებს შორის სხვაობა არსებობს, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მხარეები საბოლოოდ 25 615 აშშ დოლარის გადახდაზე შეთანხმდნენ.

13.3. სასამართლოს შეფასებით უშუალოდ მოპასუხესა და მოსარჩელეს შორის რაიმე ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა არ ყოფილა, მაგრამ მათ შორის ფინანსურ საკითხებზე უთანხმოება წარმოიშვა მოსარჩელის შვილიშვილისა და მოპასუხის ქალიშვილის ოჯახური უთანხმოების გამო და მოსარჩელემ ივალდებულა ამ უთანხმოების დასრულების მიზნით, მოპასუხისათვის თანხის გადახდა; ამასთან, 25 615 აშშ დოლარის ნივთების შესახებ სინის დედანი მოსარჩელეს აქვს და ამ თანხის მიღების შესახებ ხელნერილიც ამ უკანასკნელის მოთხოვნით დანერა მოპასუხემ.

13.4. სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომი: სსკ) მე-4 და 102-ე მუხლებზე დაყრდნობით მიიჩნია, რომ მოსარჩელემ ვერ დაადასტურა სადავო თანხის მოპასუხისაგან დაბრუნების ვალდებულება.

13.5. სასამართლომ გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომი: სსკ) 316.1, 317.1 მუხლები, 976.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, 976.2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი და აღნიშნა, რომ უსაფუძვლო გამდიდრებად სამართლებრივი ურთიერთობის კვალიფიკაციისათვის ერთდროულად უნდა არსებობდეს რამდენიმე პირობა, კერძოდ: მიძლები უნდა გამდიდრდეს შესრულების ხარჯზე, რაც გამოიხატება ქონების შეძენაში ან დაზოგვაში; ქონების შეძენას

კანონიერი საფუძველი არ უნდა გააჩნდეს; მიმღების უკანონო გამდიდრებით ზიანი უნდა მიადგეს შემსრულებელს, რაც მისი ქონების შემცირებაში გამოიხატება. ამასთან, კიდევ რომ არსებობდეს უსაფუძვლო გამდიდრების შემთხვევა – ბათილი გარიგების თუ ნებისმიერი საფუძვლით ვალდებულების არარსებობა, გადაცემულის უკან დაბრუნების მოთხოვნა დაზარალებულს ვითომ კრედიტორისგან (მიმღები-შემძენი) არ შეუძლია, თუკი მიმღებს ჰქონდა ვარაუდის საფუძველი, რომ გადაცემა შემსრულებლის (დაზარალებული) სურვილი იყო.

14. სააპელაციო საჩივრის საფუძველები

14.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, რომელმაც მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა შემდეგ არგუმენტებზე მითითებით:

14.2. სასამართლომ ურთიერთსაწინააღმდეგო შინაარსის გარემოებები მიიჩნია დადგენილად და არ გაიზიარა მოწმე ი. გ-ის ჩვენება, რომ საბოლოო სია მოპასუხემ მოსარჩელეს ბინის ნასყიდობის წინ მიუტანა და თან დაემუქრა, რომ თუ თანხას არ გადაუხდოდა მას, მის შვილს ნასყიდობის ხელშეკრულებაზე ხელს არ მოაწერინებდა;

14.3. მოსარჩელის შვილიშვილის მანქანის შესაძენად მოპასუხეს თანხა არ გადაუხდია; არც მოსარჩელის შვილიშვილს მოუპარავს თანხა; არც მოსარჩელის მეორე შვილიშვილს აუღია სესხი მოპასუხისაგან; მანქანის შესაკეთებლად თანხა სადაზღვევო კომპანიამ გადაიხადა და არა – მოპასუხემ; „ლეკტოპი“ მოძველებული იყო და გატყდა; მოპასუხეს არ დაუდასტურებია, რომ ქორწილის სუფრის ხარჯის ნახევარი მისი გადასახდელი იყო, ამასთან, რესტორნის მიერ გაცემული ცნობით დასტურდებოდა, რომ საქორწინო სუფრის ღირებულებამ 11 000 ლარი შეადგინა; 2012 წლის ოქტომბერში პროკურატურისადმი მიწერილ წერილში მოპასუხე აღნიშნავდა, რომ მის ქალიშვილს სიძემ 1 630 ლარის ღირებულების ტანსაცმელი გადაუყარა, ხოლო მოპასუხემ მოსარჩელისაგან 2 120 ლარი მოითხოვა და მიიღო; 1 716 ლარად შეფასებული ოქროს სამაჯური მოპასუხემ სიძეს საქორწინო საჩუქრის სახით აჩუქა, რაც მოპასუხის შვილმა და სიძემ ერთად გაყიდეს და თანხაც ერთად დახარჯეს; შესაბამისად, მოპასუხემ იმაზე მეტი თანხა მოითხოვა, ვიდრე დახარჯა და ის არ იყო უფლებამოსილი, აღნიშნული თანხები მოეთხოვა.

15. სააპელაციო სასამართლოს განჩინება და დასკვნები

15.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-

თა პალატის 2015 წლის 24 თებერვლის განჩინებით აპელანტის სა-აპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა გა-საჩივრებული გადაწყვეტილება.

15.2. სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სამართლებრივი შეფასებები (სსსკ-ის 390.3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი), გამოიყენა სსკ-ის 976-ე, 361-ე მუხლები და განმარტა, რომ შესრულების უკუმოთხოვნის საფუძვლიანობის შემოწმებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება შემსრულებლისა და მიმღების სამართლებრივ ურთიერთმიმართებას. ყოველი შესრულება გულისხმობს ვალდებულების არსებობას, ხოლო თუ შესრულება გამომდინარეობს ზნეობრივი მოვალეობებიდან, დამოკიდებულია იმაზე, თუ რა უფლება-მოვალეობრივი კავშირი ჰქონდა შემსრულებელსა და მიმღებს შესრულების მიმართ. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მჭიდრო ნათესაური ურთიერთკავშირების დროს, ასევე მაშინ, როდესაც არსებობს გარკვეული კანონისმიერი ვალდებულებები.

15.3. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა, რომ ორივე მხარის სურვილს წარმოადგენდა მათ შორის არსებული ურთიერთმოთხოვნების საბოლოოდ გადაწყვეტა და აქედან გამომდინარე ურთიერთობების დასრულება.

15.4. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე აპელანტს უნდა გაეთვალისწინებინა, რომ არსებული ფაქტობრივი გარემოებები, როგორცაა მოპასუხის მიერ განეული ფინანსური ხარჯები და კონკრეტული მოთხოვნები, რომლებსაც საპირისპირო მოთხოვნის სახით უყენებდა მოსარჩელეს მოპასუხე, როგორც მოსარჩელის ყოფილი რძლის მამა, ამ უკანასკნელს უქმნიდა ვარაუდის საფუძველს, რომ მოსარჩელეს სურდა მოპასუხისათვის გადაეცა ხელწერილში მითითებული თანხა – 25 615 აშშ დოლარი, რაც გამორიცხავდა თანხის აპელანტისათვის დაბრუნების შესაძლებლობას.

16. საკასაციო საჩივრის საფუძვლები

16.1. სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

16.2. საკასაციო საჩივრით, ძირითად განჩინებასთან ერთად, გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოს განჩინება საქმეზე აუდიტის დასკვნის დართვასთან დაკავშირებით. კასატორის განმარტებით, საქალაქო სასამართლომ დაუსაბუთებლად უთხრა უარი მოსარჩელეს აუდიტის დასკვნის საქმეზე დართვაზე, იმ მოტივით, რომ შუ-

ამდგომლობის წერილობით ტექსტში არ იყო დასაბუთებული, თუ რა მიზნით სჭირდებოდა მოსარჩელეს ამ მტკიცებულების წარდგენა. მოსარჩელე სააპელაციო საჩივრითაც ასაჩივრებდა საქალაქო სასამართლოს აღნიშნულ განჩინებას, თუმცა, ამ პრეტენზიაზე სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია;

16.3. კასატორი თავის საკასაციო საჩივარში იმეორებს იმ პრეტენზიებს, რაც სარჩელსა და სააპელაციო საჩივარში აქვს მითითებული (იხ. წინამდებარე გადანყვეტილების 11.1-11.8 და 14.1-14.3 ქვეპუნქტები) და დამატებით განმარტავს, რომ არც ერთი ინსტანციის სასამართლოს არ გამოუკვლევია მოპასუხის მიერ მოსარჩელისათვის წარდგენილ სიაში ასახული გარემოებანი. არანაირი მნიშვნელობა არ მიეიჭა, ობიექტურად არსებობდა თუ არა ვალდებულება თანხის გადახდამდე. მართალია, პირველი ინსტანციის სასამართლომ გამოიკვლია ეს საკითხი, თუმცა, შედეგები გადანყვეტილებაში არ აუსახავს;

16.4. კასატორმა აღნიშნა, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებისას მოპასუხემ ისარგებლა მოსარჩელის გამოუვალი მდგომარეობით, განიზრახა უფრო მეტი თანხის გამოძალვა მისგან და განუცხადა მოსარჩელეს, რომ ამ თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში, მოპასუხის შვილი ნასყიდობის ხელშეკრულებას ხელს არ მოაწერდა. შექმნილ ვითარებაში კასატორი იძულებული გახდა, ყოველგვარი შემონების გარეშე გადაეხადა მოპასუხისათვის 25 615 აშშ დოლარი. გარდა ამისა, ბინა იპოთეკით იყო დატვირთული მეუღლეების (მოსარჩელის შვილიშვილისა და მოპასუხის შვილის) სესხის გამო, რის გადახდასაც მოსარჩელე ვედარ უზრუნველყოფდა და არსებობდა ბინის დაკარგვის საშიშროება. შესაბამისად, კასატორმა სადავო თანხა გადასცა მოწინააღმდეგე მხარეს (მოპასუხეს), ჩამოართვა ხელწერილი და იმედოვნებდა, რომ მოგვიანებით ყველაფერს გაარკვევდა;

16.5. კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ სათანადოდ არ გამოიკვლია და არ შეაფასა მოპასუხის მიერ შედგენილი სია, იგი ზოგადი შეფასებით შემოიფარგლა, აღნიშნა, რომ ფინანსური ანგარიშგების საფუძველი არსებობდა, თუმცა, თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაზე არ უმსჯელია;

16.6. კასატორი არ ეთანხმება იმ გარემოებას, რომ თითქოს მოსარჩელის შვილიშვილის მიერ „მოპარული 4 000 აშშ დოლარი“ მოსარჩელეს უნდა დაეკისროს, რადგან თანხის მოპარვის ფაქტი არ დადასტურებულა, ასეც რომ არ იყოს, ამ თანხის მოთხოვნის უფლება მოპასუხის შვილს აქვს და არა – თავად მოპასუხეს. განსახილველ დავაში კი მოპასუხის შვილს მოპასუხისათვის, სსკ-ის 199-ე მუხლის შესაბამისად, მოთხოვნა არ დაუთმია;

16.7. ამ გადაწყვეტილების 16.6 ქვეპუნქტში დასახელებული საფუძვლით კასატორი უარყოფს მისი მეორე შვილიშვილის მიერ მოპასუხის შვილისაგან თითქოსდა „ნასესხები“ 2 500 აშშ დოლარის დაბრუნების ვალდებულებას;

16.8. კასატორის განმარტებით, მან მოპასუხის წინაშე შესაბამისი ვალდებულების არსებობის გარეშე განახორციელა შესრულება, რის შედეგადაც მოპასუხე უსაფუძვლოდ გამდიდრდა და ამის გამო ამ უკანასკნელმა მიღებული შესრულება უნდა დააბრუნოს;

16.9. კასატორი არ ეთანხმება საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების მსჯელობას, რომ მოსარჩელემ თანხა „მშვიდობის“ შესაძენად გადაიხადა, რადგან სამოქალაქო სამართალი ბრუნვის ამგვარ ობიექტს არ იცნობს.

17. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

17.1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 31 მაისის განჩინებით, ზეპირი მოსმენის საფუძველზე, მხარეთა მონაწილეობით ჩატარებულ სხდომაზე მოპასუხის განცხადება დაკმაყოფილდა, გაუქმდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო პალატის 2015 წლის 4 ნოემბრის გადაწყვეტილება და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოება განახლდა;

17.2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 31 მაისის განჩინებითვე გაუქმდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 15 ივლისის განჩინება მოსარჩელის საკასაციო საჩივრის დასაშვებად ცნობის შესახებ;

17.3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 31 მაისის განჩინებითვე გაუქმდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 28 მაისის განჩინება მოსარჩელის საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღების შესახებ;

17.4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 31 მაისის განჩინებითვე მოსარჩელის საკასაციო საჩივარზე საქმის წარმოება განახლდა საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღების ეტაპიდან.

17.5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 3 ივლისის განჩინებით საკასაციო საჩივარი წარმოებაშია მიღებული სსსკ-ის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის წინაპირობების შესამოწმებლად, ხოლო ამავე სასამართლოს 2017 წლის 17 ოქტომბრის განჩინებით მოსარჩელის საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

17.6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 20 ივლისის განჩინებით განისაზღვრა საქმის ზეპირი მოსმენა, მხარეთა მონაწილეობით, რაც შედგა 2018 წლის 25 ივლისს, 21 სექტემბერს და 30 ოქტომბერს, სადაც მხარეებმა წარმოადგინეს საკუთარი ზეპირი განმარტებები, ხოლო მოპასუხემ გამოაქვეყნა ვრცელი ახსნა-განმარტება, რომელიც ერთვის 2018 წლის 21 სექტემბრის სხდომის ოქმს.

17.7. საკასაციო სასამართლოს არაერთი შეთავაზების, ასევე, მოპასუხის მიერ გამოთქმული მზაობის მიუხედავად, მხარეთა შორის მორიგება არ შედგა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლოს მხარეთა განმარტებების მოსმენის, მტკიცებულებათა გაანალიზება-შეჯერების, საქმის არსებითად ზეპირი განხილვის შედეგად მიაჩნია, რომ კასატორის (მოსარჩელის) საკასაციო პრეტენზიათა ის ნაწილი, რომელიც საკასაციო განხილვის საგანია საქმის წარმოების განახლების შემდეგ, დასაბუთებულია და გაზიარებული უნდა იქნეს, რაც საფუძვლად დაედო სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 24 თებერვლის განჩინების გაუქმებას იმ ნაწილში, რომლითაც უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილება მოსარჩელის სასარგებლოდ მოპასუხისათვის 6500 (ექვსი ათას ხუთასი) აშშ დოლარის დაკისრების უარყოფის ნაწილში და ამ ნაწილში საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებული ახალი გადაწყვეტილების საფუძველზე, საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, კერძოდ, მოსარჩელის სასარგებლოდ მოპასუხეს დაეკისრა 6500 აშშ დოლარის გადახდა.

18. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). საკასაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ კასატორის (მოსარჩელის) პრეტენზია მოპასუხისათ-

ვის 6500 აშშ დოლარის დაკისრების ნაწილში დასაბუთებულია (იხ. ქვემოთე პუნქტები).

19. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად (იხ. ჯღარკავა საქართველოს წინააღმდეგ, № 7932/03; Van de Hurk v. Netherlands, par.61, Garcia Ruiz v. Spain [GC] par.26; Jahnke and Lenoble v France (dec.); Perez v France [GC], par. 81; Hirvisaari v. Finland, §32).

20. საკასაციო სასამართლო, უწინარესად, მხარეთა ყურადღებას გაამახვილებს პროცესუალურ საკითხზე, რომელიც ზეპირი მოსმენის დროს განემარტათ მათ, კერძოდ, აღნიშნული ეხება საკასაციო საჩივრით სადავოდ გამხდარი თანხის ოდენობას, რომლის დაკისრებასაც მოითხოვს მოსარჩელე (კასატორი) მოპასუხისათვის. მიუხედავად იმისა, რომ კასატორი ითხოვდა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის სრულად დაკმაყოფილებას, ანუ მოპასუხისათვის 25 615 აშშ დოლარის დაკისრებას, საკასაციო სასამართლომ საკასაციო პრეტენზია განიხილა მოპასუხისათვის მხოლოდ 6500 აშშ დოლარის დაკისრების ფარგლებში. აღნიშნული განპირობებულია იმ გარემოებით, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 4 ნოემბრის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მოსარჩელის საკასაციო საჩივარი და ამ უკანასკნელის სასარგებლოდ მოპასუხეს დაეკისრა 6500 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ანაზღაურება. საკასაციო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება მოპასუხის განცხადების საფუძველზე გაუქმდა საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 31 მაისის განჩინებით და, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქმის წარმოება განახლდა საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების ეტაპიდან (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 17.1-17.4 ქვეპუნქტები). საკასაციო სასამართლოს ან უკვე გაუქმებული გადაწყვეტილებით მოსარჩელის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ იყო დაკმაყოფილებული, კერძოდ, მოსარჩელის სასარგებლოდ 6500 აშშ დოლარი ჰქონდა დაკისრებული მოპასუხეს. ვინაიდან საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 31 მაისის განჩინებით დაკმაყოფილდა მოპასუხის განცხადება და გაუქმდა უზენაესი სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება, მოსარჩელის საკასაციო საჩივარზე საქმის წარმოება განახლდა მხოლოდ 6500 აშშ დოლარის ოდენობით სასარჩელო მოთხოვნის (საკასაციო

პრეტენზიის) დასაბუთებულობის შემონმების ნაწილში.

21. საკასაციო სასამართლომ მოსარჩელის მოთხოვნის დასაბუთებულობა მოპასუხისათვის ვალდებულების გარეშე გადახდილი 6500 აშშ დოლარის დაბრუნების ნაწილში შეამონმა სარჩელში მითითებული ფაქტებისა და მის პასუხად შესაგებელში წარდგენილი სარჩელის უარყოფის დამადასტურებელი პოზიციის გათვალისწინებით.

22. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი 6500 აშშ დოლარი შედგება – 4000 აშშ დოლარისა და 2500 აშშ დოლარისაგან; როგორც მოპასუხე თავის შესაგებელში უთითებს, მისმა სიძემ (მოსარჩელის შვილიშვილმა) მ. პ-მა, 4000 აშშ დოლარი მოჰპარა მოპასუხის ქალიშვილს ნ. ს-ს, რომელიც მოსარჩელის შვილიშვილის ცოლია (იხ. მოპასუხის შესაგებელი, მოსარჩელის მე-9 ფაქტობრივი გარემოების პასუხი). თავად მოპასუხე უთითებს, რომ მ. პ-მა ნ. ს-ს 3800 აშშ დოლარი მოპარა ბანკის ბანკომატიდან, ხოლო 1000 აშშ დოლარი საცხოვრებელი სახლიდან, მოპასუხე აღნიშნავს, რომ მან 4800 აშშ დოლარის ნაცვლად მის მიერ შედგენილ სიაში (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების მე-9 პუნქტი) მხოლოდ 4000 აშშ დოლარი დააფიქსირა. ამ თანხასთან დაკავშირებით, მოპასუხემ განმარტა, რომ საბანკო ბარათის „მის“ მფლობელია მისი შვილი ნ. ს-ი (რომელიც მოსარჩელის შვილიშვილის ან უკვე ყოფილი მეუღლეა). მოპასუხეს არსად მიუთითებია, რომ მისმა ქალიშვილმა, რომელიც ე.წ. „მოპარული“ თანხის მფლობელია, ამ თანხის მოთხოვნის უფლება დაუთმო მამას – მოპასუხე ლ. ს-ს (სსკ-ის 198-ე მუხლი); ამავე კონტექსტში შესაძლოა, ასევე, სხვა დავის ფარგლებში მეუღლეთა თანასაკუთრების საფუძვლითაც მოხდეს მოთხოვნის იურიდიული დასაბუთებულობის კვლევა.

23. რაც შეეხება მოსარჩელის მიერ მოპასუხისათვის გადახდილ 2500 აშშ დოლარს, ამ თანხასთან დაკავშირებით მოპასუხე სარჩელის პასუხად წარდგენილ შესაგებელში (იხ. ფაქტობრივი გარემოების პასუხი) უთითებს, რომ აღნიშნული თანხა მოპასუხის შვილს – ნ. ს-ს ვალის სახით გამოართვა მ-ის ძმამ – ბ. პ-მა, რომელიც ნ. ს-ისათვის უნდა დაებრუნებინა ერთი თვის ვადაში, მას შემდეგ, როგორც კი ჩავიდოდა თურქეთში და დაიწყებდა სამსახურს; ამ თანხის ნაწილი – 1000 აშშ დოლარი ბ-ს (მოსარჩელის შვილიშვილის) მაგივრად მოსარჩელემ დაუბრუნა ნ. ს-ს, თანხა იმავე ღამეს ბინიდან მოიპარა ამ უკანასკნელის მეუღლემ – მ. პ-მა (მოსარჩელის შვილიშვილმა და მოპასუხის სიძემ) და მიითვისა. ამ შემთხვევაშიც მოპასუხე უთითებს, რომ 2500 აშშ დოლარი ეკუთვნის მის ქალიშვილს – ნ. ს-ს, შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს შეფასებით, შესაბამისი, ფაქტობრივი წინაპირობების დამტკიცების შემთხვევაში 2500 აშშ დოლარის დაბრუნების მოთხოვნის უფლების მქონე

ანუ კრედიტორი შესაძლოა იყოს მხოლოდ ნ. ს. და არა – მოპასუხე – ლ. ს. ამასთან, კრედიტორმა სესხად გაცემული თანხის შესახებ მოთხოვნა უნდა წაუყენოს მოვალეს ან იმ პირს, რომელმაც სსკ-ის 203-ე მუხლის საფუძველზე [1. მოთხოვნის მფლობელთან დადებული ხელშეკრულებით ვალი შეიძლება თავის თავზე აიღოს მესამე პირმაც (ვალის გადაკისრება). ასეთ შემთხვევაში მესამე პირი დაიკავებს თავდაპირველი მოვალის ადგილს. 2. თავდაპირველ მოვალეს უფლება აქვს არ დაეთანხმოს მოთხოვნის მფლობელისა და მესამე პირის ამ შეთანხმებას და თვითონ გადაიხადოს ვალი] ვალი გადაიკისრა (მესამე პირმა), ასევე, საგულისხმოა 204-ე მუხლის დანაწესი [თუ ვალის გადაკისრების შესახებ შეთანხმდნენ მესამე პირი და მოვალე, მაშინ გადაკისრების ნამდვილობა დამოკიდებულია მოთხოვნის მფლობელის თანხმობაზე – სარჩელის აღძვრის დროისათვის მოქმედი ნორმის რედაქციითა და ამჟამად მოქმედი ნორმის პირველი წინადადება] იმ თვალსაზრისით, რომ თეორიულად მესამე პირს – ამ შემთხვევაში მოსარჩელეს, რომც გადაეკისრებინა შვილიშვილის – ბ. პ-ის ვალდებულების (ასეთის არსებობის დამტკიცების შემთხვევაში) შესრულება მოპასუხის შვილის – ნ. ს-ის წინაშე, ასეთ შემთხვევაში ვალდებულების გადაკისრების ნამდვილობა მოთხოვნის მფლობელის – ნ. ს-ის თანხმობაზე იქნებოდა დამოკიდებული და არა მამამისის – მოპასუხე ლ. ს-ის თანხმობაზე.

24. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველია სსკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია მოსთხოვოს ვითომ-კრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ ვალდებულება გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძველის გამო არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში და 979-ე მუხლის პირველი ნაწილი უკან დაბრუნების მოთხოვნა ვრცელდება შექენილზე, მიღებულ სარგებელზე, ასევე სხვა ყველაფერზე, რაც მიმღებმა შეიძინა მიღებული საგნის განადგურების, დაზიანების ან ჩამორთმევის სანაცვლო ანაზღაურების სახით. ამასთან, მოცემულ შემთხვევაში არაა გამოვლენილი უკან დაბრუნების მოთხოვნის გამომრიცხველი გარემოება, რომელსაც ითვალისწინებს სსკ-ის 976-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი, რა დროსაც უკან დაბრუნების მოთხოვნა გამორიცხულია, თუ შესრულება შეესაბამება ზნეობრივ მოვალეობებს.

25. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, განსახილველ შემთხვევაში ამგვარ ზნეობრივ მოვალეობად ვერ იქნება მიჩნეული ბებიის (მოსარჩელის) მიერ თავისი შვილიშვილების მიერ მეუღლისა და რძლისაგან (ძმის ცოლისაგან) შესაძლო მოთხოვნილი თანხე-

ბის დაბრუნების ვალდებულება (შესრულება) მოპასუხისადმი, მით უფრო იმ პირობებში, რომ დადგენილი არ არის მოპასუხის შვილისაგან ვინ, როდის და რა თანხა მიიღო, ხოლო ასეც რომ ყოფილიყო, დადგენილი არ არის, რომ მოპასუხეს მისმა შვილმა დაუთმო მოთხოვნა, მესამე პირისაგან მიეღო შესრულება.

26. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქმეზე დადგენილი გარემოებების მიხედვით, მოსარჩელის მიერ განხორციელებულ შესრულებას (მოპასუხისათვის 6500 აშშ დოლარის გადახდას) საფუძვლად არ ედო არც სამართლებრივი ვალდებულებები, არც – დავალების ხელშეკრულებაზე დამყარებული ურთიერთობა. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს განხილვის ფარგლებში მთავარი საკითხია, თუ ვინ არის უკვე გადახდილი თანხის უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლების კრედიტორი – ფაქტობრივად შემსრულებელი მესამე პირი (ამ შემთხვევაში მოსარჩელე) თუ სავარაუდო მოვალე. გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლო ამასთან დაკავშირებით განმარტავს [BGHZ 113, 62] „უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე პირვანდელი მდგომარეობის აღდგენისათვის, იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა მესამე პირის მიერ გადახდა, დღეს არსებული მეტწილად გაბატონებული მოსაზრების მიხედვით, მოქმედებს პრინციპი, რომ გადამხდელს შეუძლია განახორციელოს მოთხოვნის უფლება პირდაპირ ვითომ კრედიტორის წინააღმდეგ, რამდენადაც არ არსებობდა დასაფთარი ვალდებულება... ვინც ახორციელებს შესრულებას სხვის ვალდებულებასთან დაკავშირებით, მას შეუძლია პირდაპირ მიმღების წინააღმდეგ განახორციელოს უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლება, რამდენადაც არ არსებობდა ვალდებულება. ვითომ მოვალის მითითების გარეშე განხორციელებული შესრულებისას, არ არის სახეზე საკმარისი საფუძველი იმისათვის, რომ ის გადამხდელის ნაცვლად მოვიაზროთ შემსრულებლად. აქედან გამომდინარე, არ არსებობს საფუძველი პირვანდელი მდგომარეობის აღდგენაში მისი ჩართვისათვის...“

27. ამდენად, მოსარჩელემ დასძლია კუთვნილი მტკიცებების ტვირთი (ფაქტების მითითების ვალდებულება) მოპასუხისათვის ვალდებულების გარეშე გადახდილი 6500 აშშ დოლარის უკუმოთხოვნისათვის, მას არ ევალებოდა გამოერიცხა ყველა თეორიული შესაძლებელი სამართლებრივი საფუძველი განხორციელებულ შესრულებასთან დაკავშირებით. რაც შეეხება მოპასუხეს, რომელიც შესრულების მიმღებია, ამ უკანასკნელმა ჯერ კიდევ შესაგებელში წარდგენილი შეპასუხებით (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 22-23 პუნქტები), ისევე, როგორც საკასაციო სასამართლოს ზეპირ სხდომაზე წარდგენილი განმარტებით ვერ დაადასტურა, რომ მო-

სარჩელემ, როგორც მესამე პირმა თავისი შვილიშვილების შესასრულებელი შესაძლო ვალდებულება იკისრა მოპასუხის შვილის წინაშე, ხოლო ამ უკანასკნელმა, თავის მხრივ, მამას (მოპასუხეს) დაუთმო შესრულების მიღების უფლება.

28. საკასაციო სასამართლო საქმის წარმოების განახლების შემდეგ განხილული საკასაციო საჩივრის ფარგლებში მივიდა დასკვნამდე, რომ სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 24 თებერვლის განჩინება და საქმეზე მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება, კერძოდ, მოსარჩელის სასარგებლოდ მოპასუხეს უნდა დაეკისროს 6500 (ექვსი ათას ხუთასი) აშშ დოლარის ანაზღაურება.

29. სსსკ-ის 53-ე მუხლის მესამე ნაწილისა და 55-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ მოპასუხისათვის დაკისრებული სახელმწიფო ბაჟის ოდენობა შეადგენს 464.57 (ოთხას სამოცდაოთხი აშშ დოლარი და ორმოცდაჩვიდმეტი ცენტი) აშშ დოლარის ექვივალენტს ლარში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 399-ე, 372-ე მუხლებით, 264-ე მუხლის მესამე ნაწილით, 408-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა :

1. ლ. ლ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 24 თებერვლის განჩინება, რომლითაც უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილება მოსარჩელე ლ. ლ-ის სასარგებლოდ მოპასუხე ლ. ს-ისათვის 6500 (ექვსი ათას ხუთასი) აშშ დოლარის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ლ. ლ-ის სასარგებლოდ ლ. ს-ს დაეკისროს 6500 (ექვსი ათას ხუთასი) აშშ დოლარის გადახდა;
4. ლ. ს-ს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის – 464.57 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის გადახდა;
5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**არაუფლებამოსილი პირის მიერ საგნის უსასყიდლოდ
ბანკარგვის შედეგად**

**გადაწყვეტილება
საქართველოს სასჯელით**

№584-553-2014

17 დეკემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა**

**შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),
პ. ქათამაძე (მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი**

დავის საგანი: საკუთრების მოწმობის ბათილად ცნობა, ჩუქე-ბის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, უძრავ ქონებაზე მესაკუთრედ ცნობა და საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია (სარჩელში); საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრთა 2000 წლის 20 იანვრის კრების №12 ოქმისა და ქ. ბათუმის მერიის 2000 წლის 23 მაისის №109 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა (შეგებულ სარჩელში)

აღწერილობითი ნაწილი:

1. ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1988 წლის 13 ივლისის №634 გადაწყვეტილებით, №.. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივში (შემდგომი ტექსტში მოხსენიებული, როგორც კოოპერატივი) 28 წევრი („ამხანაგი“) აღირიცხა, მათ შორის, ნ. დ-ძე (შემდგომი ტექსტში მოხსენიებული, როგორც კოოპერატივის ყოფილი წევრი, ყოფილი მეპაიე, პირველი მოპასუხის დედა) და მისი ოჯახის წევრები: მეუღლე – ა. კ-ძე, შვილი – ზ. კ-ძე (შემდგომი ტექსტში მოხსენიებული, როგორც პირველი მოპასუხე, შეგებებული სარჩელის ავტორი, აპელანტი). ამავე გადაწყვეტილებით კოოპერატივის მეპაიე წევრს, საპაიო შესატანის გადახდის სანაცვლოდ, ოროთახიანი ბინა უნდა გადასცემოდა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში.

2. ამხანაგობის წევრთა 2000 წლის 20 იანვრის №12 კრების ოქმის მიხედვით, საერთო კრებამ მიიღო გადაწყვეტილება პირველი მოპასუხის დედის კოოპერატივის წევრობიდან გაყვანისა და, მის ნაცვლად, დ. კ-ძის (შემდგომი ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოსარჩელე, კასატორი) მიღების შესახებ (შემდგომი 20.01.2000 წლის სადავო გადაწყვეტილება ან სადავო კრების ოქმი), რომე-

ლიც ქალაქ ბათუმის მერიამ 2000 წლის 23 მაისის №109 გადაწყვეტილებით დაამტკიცა. ამ დროისათვის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა დასრულებული არ იყო და არსებობდა მხოლოდ შენობის კარკასი.

3. კოოპერატივის ყოფილი წევრი 25.08.2005 წელს, ხოლო მისი მეუღლე 22.11.2003 წელს გარდაიცვალა.

4. ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახურმა 2007 წელს გამოსცა ბრძანება ქ. ბათუმში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის, საერთო ფართობი – 6691.85 მ², ექსპლუატაციაში მიღების შესახებ, რომელიც 3202 მ² მიწის ნაკვეთთან ერთად, 2007 წლის 24 დეკემბერს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა №..-ის (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც ამხანაგობა) საკუთრებად დარეგისტრირდა.

5. ამხანაგობის 2009 წლის 4 თებერვლის საერთო კრების გადაწყვეტილებით (№01 ოქმი) დადგინდა საჯარო რეესტრში ქ. ბათუმში, მდებარე ბინა №56-ის (შემდეგში სადავო ქონების) მოსარჩელის საკუთრებად დარეგისტრირება.

6. ნოტარიუსმა თ. ჩ-მ 2013 წლის 24 იანვარს პირველი მოპასუხის სახელზე საკუთრების მონმობა გასცა, რომლის საფუძველზეც, სადავო ქონება საჯარო რეესტრში ამ უკანასკნელის საკუთრებად აღირიცხა.

7. 2013 წლის 31 იანვარს სადავო ქონება, პირველ მოპასუხესა და მის მეუღლეს – ხ. შ-ას (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც დასაჩუქრებული, მეორე მოპასუხე) შორის დადებული ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე, საჯარო რეესტრში ამ უკანასკნელის საკუთრებად დარეგისტრირდა.

8. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის მთავარი სამმართველოს ბათუმის საქალაქო სამმართველოს პოლიციის მე-4 განყოფილების 2013 წლის 2 მაისის გადაწყვეტილებით – მეორე მოპასუხის განცხადება სადავო ქონებიდან მოსარჩელის გამო-სახლების თაობაზე არ დაკმაყოფილდა; მითითებული სამმართველოს 2013 წლის 27 მაისის №21 ბრძანებით არ დაკმაყოფილდა ამ გადაწყვეტილებაზე წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივარიც.

9. 2013 წლის 28 მარტს მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხეთა წინააღმდეგ და მოითხოვა:

– 2013 წლის 24 იანვარს პირველი მოპასუხის სახელზე გაცემული საკუთრების მონმობის ბათილად ცნობა;

– 2013 წლის 31 იანვრის ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა;

– სადავო უძრავ ქონებაზე მესაკუთრედ ცნობა და საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია.

მოსარჩელის მტკიცებით, მან კოოპერატივის ყოფილ წევრს ჯერ 3000 აშშ დოლარი, შემდეგ კი, 5500 აშშ დოლარი გადაუხადა და, ფაქტობრივად, სადავო ბინა შეიძინა (დაუმთავრებელი კარკასის მდგომარეობაში). კოოპერატივის ყოფილი წევრის თანხმობით ის გახდა ამხანაგობის წევრი და ამ უკანასკნელის გადაწყვეტილებით საკუთრებაში გადაეცა სადავო ბინა, რომლის კეთილმოწყობისათვის მნიშვნელოვანი ხარჯი გასწია. პირველმა მოპასუხემ კი, საკუთრების მონაწილის მისაღებად ნოტარიუსს წარუდგინა ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 13.07.1988 წლის გადაწყვეტილება და არა – ამხანაგობის კრების ის გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, პირველი მოპასუხის დედა კოოპერატივის წევრი აღარ იყო და სადავო ბინაზე რაიმე უფლება აღარ გააჩნდა. საკუთრების მონაწილის მიღებისა და საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ, პირველმა მოპასუხემ სადავო ქონება თავის მეუღლეს აჩუქა. მოსარჩელის განმარტებით, საკუთრების მონაწილეობა კანონის დარღვევითაა გაცემული, რის გამოც იგი ბათილია, ასევე, ბათილია ჩუქების ხელშეკრულებაც.

10. მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს. მათ წარადგინეს მოთხოვნის წარმომოხმობის დამაბრკოლებელი შესაგებელი და მიუთითეს, რომ კოოპერატივის წევრობიდან გასვლის შესახებ პირველი მოპასუხის დედის თანხმობა არ არსებობს. საკუთრების მონაწილეობა კანონის შესაბამისად არის გაცემული, რის გამოც მოთხოვნა მისი ბათილად ცნობის თაობაზე უსაფუძვლოა.

11. თავის მხრივ, მოპასუხეებმა შეგებებული სარჩელი წარადგინეს მოსარჩელის, ამხანაგობისა და ქალაქ ბათუმის მერიის (ერთობლივად მოხსენიებული, როგორც შეგებებული მოპასუხეები) წინააღმდეგ ამხანაგობის სადავო კრების ოქმისა და ქ. ბათუმის მერიის 2000 წლის 23 მაისის №109 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით. შეგებებული მოსარჩელები ამტკიცებდნენ, რომ ყოფილ მეპაიეს პირადად არ გამოუხატავს ნება კოოპერატივიდან გასვლის თაობაზე. სადავო ბინა მოსარჩელეს 3 წლით დროებით სარგებლობაში გადასცეს და მას ყოფილი კოოპერატივის წევრისათვის სარჩელში მითითებული თანხა არ გადაუხდია. მშობლების გარდაცვალების შემდეგ პირველმა მოპასუხემ მოითხოვა ბინის გამოთავისუფლება, თუმცა უშედეგოდ.

12. შეგებებულმა მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს. მათ წარადგინეს როგორც მოთხოვნის წარმომოხმობის დამაბრკოლებელი, ისე – მისი განხორციელების შემაფერხებელი შესაგებელი, რომლითაც შეგებებულ სარჩელში მითითებულ არცერთ ფაქტობრივ გარემოებას არ დაეთანხმნენ. ამასთან, მიუთითეს, რომ სასარჩელო მოთხოვნები ხანდაზმული იყო.

13. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილებით: სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი სადავო საკუთრების მოწმობა და ჩუქების ხელშეკრულება; მოსარჩელე ცნობილ იქნა სადავო ქონების მესაკუთრედ და დადგინდა მისი საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში; შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

14. სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგენი სსკ-ის) 1512-ე, 1507.3, 208-ე, 215-ე, 225-ე-227-ე, 50-ე, 54-ე, 128-ე-130-ე მუხლები, სსრ-ის საბინაო კოდექსის 128-ე მუხლის პირველი აბზაცი, სსრ საბინაო-სამშენებლო კოოპერაციის სანიმუშო წესდების 27-ე პუნქტი და 36-ე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, „სანოტარო მოქმედებათა შესრულების შესახებ“ ინსტრუქციის 55-ე მუხლი.

14.1. სასამართლოს მითითებით, კოოპერაციის შექმნის დროს მოქმედებდა საქართველოს სსრ საბინაო კოდექსი, სსრკ-ის მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 19 აგვისტოს დადგენილება „საბინაო-სამშენებლო კოოპერაციის შესახებ“, მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 30 აგვისტოს დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სსრ საბინაო-სამშენებლო კოოპერაციის სანიმუშო წესდება“ და სადავო ურთიერთობა ამ ძალადაკარგული სამართლებრივი აქტებით უნდა მოწესრიგებულიყო. მითითებული აქტების მიხედვით, საბინაო-სამშენებლო კოოპერატივში ქონებაზე უფლების მიღების ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობა კოოპერატივის წევრობისათვის დადგენილი საპაიო შესატანის გადახდა იყო.

14.2. სასამართლოს განმარტებით, სადავო №12 ოქმი, რომელშიც მითითებულია, რომ კოოპერაციის წევრთა საერთო კრება ჩატარდა, თავისი შინაარსით იგივეა, რაც ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრება, სადაც გადაწყვეტილება დამსწრე ამხანაგობის წევრთა თანხმობით მიიღება. ოქმით დასტურდება, რომ კრებას ესწრებოდა კოოპერაციის 48 წევრი. ამასთან, რომელიმე მათგანს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით საწინააღმდეგო პოზიცია არ დაუკავებია. შესაბამისად, საერთო კრებამ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის სამართლებრივი შედეგი პირველი მოპასუხის დედის ნაცვლად მოსარჩელის კოოპერაციის წევრად მიღება იყო. შესაბამისად, იმ დროს მოქმედი კანონმდებლობით, ოჯახის დარჩენილი წევრების უფლება სადავო უძრავ ქონებაზე ვერ შენარჩუნდებოდა. ამასთან, სასამართლომ მიუთითა, რომ იმ დროისათვის კრების ოქმს, ქალაქ ბათუმის მერიის გადაწყვეტილებით, მიღება აღარ სჭირდებოდა, თუმცა მერიის გადაწყვეტილება რაიმე საპირისპიროს არ ადგენს, არამედ ადასტურებს სამართლებრივი ვითარების შეცვლას.

14.3. ამდენად, ნოტარიუსმა პირველი მოპასუხის სახელზე საკუთრების მონაწილეობა სადავო ქონებაზე გაცა იმ დროს, როცა მოსარჩელე იყო საცხოვრებელი ბინის მფლობელი და მოსარჩელე და არა – პირველი მოპასუხე. ამ უკანასკნელმა ნოტარიუსს წარუდგინა მხოლოდ თავისი დედის კოოპერატივის წევრად ცნობის შესახებ გადაწყვეტილება, შესაბამისად, ნოტარიუსისათვის უცნობი იყო შემდგომ მიღებული გადაწყვეტილებები კოოპერატივის წევრობის შეწყვეტის შესახებ. სასამართლომ მიიჩნია, რომ საკუთრების მონაწილეობამ პირველი მოპასუხისათვის არ წარმოშვა სამართლებრივი შედეგი, ვინაიდან ის გაცემისთანავე ბათილი იყო. სასამართლომ, სსკ-ის 54-ე მუხლის საფუძველზე, ბათილად ცნო პირველ და მეორე მოპასუხეს შორის სადავო უძრავ ქონებაზე დადებული ჩუქების ხელშეკრულება.

14.4. სასამართლომ გაიზიარა შეგებებულ მოპასუხეთა მოსაზრება სარჩელის ხანდაზმულობის შესახებ, ხოლო მოსარჩელეთა (შეგებებულ სარჩელის) მტკიცება, რომ ისინი პერიოდულად მოითხოვდნენ ბინის გათავისუფლებას, სარწმუნოდ არ მიიჩნია. სასამართლომ მიუთითა, რომ მათ 2013 წლამდე ადმინისტრაციული ორგანოსთვისაც არ მიუმართავთ, მაშინ, როდესაც შეგებებული სარჩელის ავტორთათვის 2000 წლიდანვე ცნობილი იყო სადავო ბინის მოსარჩელის მიერ ფლობის შესახებ. მათ არც კოოპერატივის ყოფილი წევრის გარდაცვალების შემდეგ, როგორც მის უფლებამონაცვლევებს, არ განუცხადებიათ პრეტენზია დარღვეულ უფლებებზე.

15. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მოპასუხეებმა სააპელაციო წესით გაასაჩივრეს, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების, ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების მოთხოვნით შემდეგ საფუძველებზე მითითებით:

- სადავო ოქმის შექმნისას საბინაო-სამშენებლო კოოპერატივები აღარ არსებობდა და არც სახლის მშენებლობა არ იყო დამთავრებული, რის გამოც ყოფილი კოოპერატივის წევრების ქონებრივი უფლებების საკითხი სსკ-ის მეოთხე თავით უნდა მოხსენიებულიყო;

- მოსარჩელის დედა 2000 წლიდან შეზღუდულუნარიანი იყო, რის გამოც იგი ვერ შეძლებდა მოსარჩელესთან მისვლას და ბინის გამოთავისუფლების მოთხოვნას. მეორე მოპასუხე კი, ამას სისტემატურად მოითხოვდა;

- სასამართლოს არ გამოუკვლევია საკითხი, თუ რის საფუძველზე ფლობდა მოსარჩელე სადავო ბინას. იგი კოოპერატივის წევრი არ იყო და არც ბინაზე საკუთრების წარმოშობისათვის აუცილებელ

ლი საპაიო შენატანი არ შეუტანია. პირველი მოპასუხე კი, თვითონ იყო კოოპერატივის წევრი;

– სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას არ გაითვალისწინა, რომ უძრავი ქონების გასხვისებისთვის აუცილებელი იყო სა-ნოტარო წესით დამოწმებული გარიგება. მოცემულ შემთხვევაში, არათუ ასეთი გარიგება, არამედ ყოფილი მეპაიეს განცხადებაც კი არ არსებობს კოოპერატივიდან გასვლის თაობაზე. გარდა ამისა, 2000 წლისთვის, როცა კოოპერატივები აღარ არსებობდა, ბინათ-მესაკუთრეთა ამხანაგობა არ იყო უფლებამოსილი, მიეღო გადაწყვეტილება ამხანაგობის წევრად მიღებასა და წევრის გაყვანასთან დაკავშირებით, რადგან ამხანაგობის წევრობა კანონმა დაუკავშირა არა ამხანაგობის გადაწყვეტილებას, არამედ ბინის შეძენას მრავალბინიან სახლში. ამასთან, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების გადაწყვეტილებას ადგილობრივი მმართველობის ორგანოების მიერ დამტკიცება არ სჭირდებოდა.

16. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილებით – სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; სარჩელი არ დაკმაყოფილდა; შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი სადავო კრების ოქმი და ქალაქ ბათუმის მერიის სადავო გადაწყვეტილება.

16.1. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ, სსკ-ის 1512-ე მუხლის თანახმად, საბინაო-სამშენებლო კოოპერატივები, როგორც იურიდიული პირები, ჩაითვალნენ გაუქმებულად 1997 წლის 25 ნოემბრიდან. მათ უფლებამონაცვლეებად მიჩნეულ იქნენ ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობები ამ კოდექსის 208-ე-232-ე მუხლების მიხედვით. შესაბამისად, ამხანაგობის კრების სადავო გადაწყვეტილების მიღებისას, №49 საბინაო-სამშენებლო კოოპერატივი აღარ არსებობდა.

16.2. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სსკ-ის 208.3 მუხლზე (მინის ნაკვეთი, შენობის ნაწილი და ის ნაგებობა-დანადგარები, რომლებიც არ წარმოადგენს ინდივიდუალურ საკუთრებას, ბინის მესაკუთრეთა საერთო საკუთრებაა) და, რაკი უდავო იყო, რომ 2007 წლამდე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ექსპლუატაციაში არ მიღებულა და არც მასში არსებული ბინები ცალკეულ პირთა ინდივიდუალურ საკუთრებაში არ აღრიცხულა, სააპელაციო პალატამ ეს საცხოვრებელი სახლი ყოფილი კოოპერატივის წევრთა საერთო საკუთრებად მიიჩნია.

16.3. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 5 ივლისის №519 დად-

გენილებაზეც და მიიჩნია, რომ ამ დადგენილების საფუძველზე საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს (მათ შორის ყოფილ მეპაიესა და მისი ოჯახის წევრებს) საკუთრების უფლება წარმოემვათ მათ მიერ დაკავებულ ბინებზე.

16.4. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, სსკ-ის 1512-ე მუხლის საფუძველზე, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრთა მიერ კოოპერაციული ბინათმშენებლობის შედეგად შექმნილი ქონების მიმართ ამხანაგობის კრებას გადაწყვეტილება უნდა მიეღო ამავე კოდექსის 208-ე-232-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით. ამ ნორმებით კი, ამხანაგობა არ იყო უფლებამოსილი, ამხანაგობის შესაბამისი წევრის თანხმობის გარეშე, ჩამოერთმია მისთვის კოოპერატივის წევრობიდან გამომდინარე ქონებრივი უფლებები და ეს უფლებები სხვისთვის გადაეცა.

16.5. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, განსახილველ შემთხვევაში, არ დგინდებოდა ის გარემოება, რომ კოოპერატივის ყოფილმა მეპაიე წევრმა განცხადებით მიმართა ამხანაგობას სადავო გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნით და არც ის, რომ მან შემდეგში მოიწონა ეს გადაწყვეტილება.

16.6. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ, სსკ-ის 54-ე მუხლის საფუძველზე, ბათილი იყო ამხანაგობის კრებისა და გამგეობის სადავო გადაწყვეტილებები.

16.7. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა შეგებებული სარჩელის მოპასუხის მოსაზრება შეგებებული სარჩელის მოთხოვნების ხანდაზმულობის თაობაზე და განმარტა, რომ შეგებებული სარჩელის მოსარჩელე საკუთრების აბსოლუტურ უფლებას იცავდა, რაზეც ხანდაზმულობა არ ვრცელდებოდა.

16.8. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ზემოხსენებული მსჯელობა თავისთავად გამორიცხავდა სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

17. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე მოსარჩელემ და ამხანაგობამ (შეგებებული სარჩელის მოპასუხემ) საკასაციო საჩივარი წარადგინეს და, ახალი გადაწყვეტილებით, სარჩელის დაკმაყოფილება და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს შემდეგ პრეტენზიებზე მითითებით:

17.1. გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიხედვით, სადავო კრების ოქმთან მიმართებით დავის საგანი მხოლოდ ის იყო, არსებობდა თუ არა კოოპერატივის ყოფილი წევრისა და მისი ოჯახის წევრთა ნება ამგვარი გარიგების დადების თაობაზე. კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ მიერ კოოპერატივის წევ-

რის ოჯახის წევრთა კოოპერატივის წევრებად მიჩნევა არასწორია, რადგან მეპაიე უშუალოდ პირველი მოპასუხის დედა იყო, ხოლო მისი ქმარი და შვილი კოოპერატივის დამოუკიდებელ წევრებად არ განიხილებოდნენ, შესაბამისად, ბინაზე არსებული უფლების დათმობის შესახებ გარიგებას მხოლოდ მეპაიეს ნების გამოვლენა სჭირდებოდა.

17.2. სააპელაციო სასამართლომ ასევე არასწორად დაადგინა, რომ 2000 წლამდე სადავო ბინას კოოპერატივის ყოფილი წევრის ოჯახი ფლობდა. მონმეთა ჩვენებებით დადგინდა, რომ ბინა მოსარჩელეს ე.წ. „კარკასულ მდგომარეობაში“ გადაეცა.

17.3. მონმეთა ჩვენებებითვე დასტურდება განცხადების არსებობის ფაქტი. მათ კონკრეტულად მიუთითეს, თუ როგორ და რა ვითარებაში გადასცა ყოფილმა მეპაიემ მოსარჩელეს სადავო ქონებაზე თავისი უფლება. ამასთან, სისხლის სამართლის საქმის მასალებში არსებული ამხანაგობის ყოფილი თავმჯდომარის ჩვენებითაც დგინდებოდა, რომ 20.01.2000 წლის კრებაზე სწორედ კოოპერატივის ყოფილი წევრის განცხადება განიხილეს. ამ განცხადებით ყოფილმა მეპაიემ პრაქტიკულად თავისი ხმის უფლების რეალიზება მოახდინა. განცხადება კი, ფიზიკურად არ არსებობს, რადგან მოქმედი კანონმდებლობით მისი შენახვის ვადა 5 წელია.

17.4. კასატორის მოსაზრებით, შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებას გამორიცხავდა ის ფაქტიც, რომ მათ არ გაუსაჩივრებიათ 04.02.2009 წლის კრების ოქმი, რომლითაც ამხანაგობამ, როგორც საჯარო რეესტრში სადავო ბინის შესაკუთრედ რეგისტრირებულმა სუბიექტმა, მოსარჩელეს კვლავ დაუდასტურდა სადავო ბინაზე არსებული უფლება.

17.5. კასატორების მტკიცებით, არასწორია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა ხანდაზმულობის საკითხთან დაკავშირებითაც. კოოპერატივის ყოფილ წევრს სრული შესაძლებლობა ჰქონდა, შეეტყო თავისი სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ, თუკი იგი თავს უფლებაშელახულად მიიჩნევდა, მაგრამ იგი ვერ მიიჩნეოდა ასეთ პირად, რადგან თავად დაეთანხმა ამხანაგობიდან გასვლას, რასაც ადასტურებს ისიც, რომ მას ამ ფაქტთან დაკავშირებით რაიმე პრეტენზია არ განუცხადებია. ამასთან, კოოპერატივის ყოფილი წევრის გარდაცვალებიდან შეგებებული სარჩელის ავტორთა საკუთრების უფლების წარმოშობამდე რვა წელი გავიდა, რომლის განმავლობაში არც მათ არ განუცხადებიათ რაიმე პრეტენზია. რაც შეეხება ხანდაზმულობის საერთო ათწლიან ვადას, უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ამ ვადის გასვლის შემდეგ მოთხოვნა ხანდაზმულია იმისდა მიუხედავად, პირმა იცოდა თუ არა თავისი უფლების დარღვევის შესახებ.

18. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 14 აპრილის განჩინებით – საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო საჩივარი დასაბუთებელია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

19. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებზე და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (მედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაუშვა სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერი-ალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

20. საკასაციო პალატის მოსაზრებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობა იმით გამოიხატა, რომ სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, ასევე, არასწორად განმარტა კანონი (სსსკ-ის 393.2 მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები – სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ: ბ) სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა; გ) არასწორად განმარტა კანონი). ამასთან, ყოველმხრივად, სრულად და ობიექტურად არ გამოიკვლია და სათანადოდ არ შეაფასა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტები (სსსკ-ის 105-ე მუხლის მეორე ნაწილი), რისი შედეგიცაა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი საკმარისი დასაბუთების გარეშე.

21. მოსარჩელის მოთხოვნაა სადავო ქონების მესაკუთრედ ცნობა. მისი განმარტებით, პირველი მოპასუხის დედა იყო კოოპერატივის მეპაიე წევრი, რომელმაც, თანხის გადახდის სანაცვლოდ, მოსარჩელეს გადასცა პაიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლება. შესაბამისად, ამხანაგობის კრების გადაწყვეტილებით, მოსარჩე-

ლემ დაიკავა კოოპერატივის მეპაიე წევრის ადგილი, ხოლო მოგვიანებით, იმავე ამხანაგობის კრების გადაწყვეტილებით სადავო ქონება საკუთრებაში გადაეცა მოსარჩელეს. მიუხედავად ამისა, მან ამ ქონების მესაკუთრედ საჯარო რეესტრში რეგისტრაცია ვერ შეძლო, ვინაიდან პირველმა მოპასუხემ, ნოტარიუსის მიერ უკანონოდ გაცემული საკუთრების მონუმბის საფუძველზე, დაირეგისტრირა სადავო ქონება, ხოლო შემდეგ მეორე მოპასუხეს აჩუქა. მოსარჩელის განმარტებით, რაკი საკუთრების მონუმბის გაცემის კანონიერი საფუძველი არ არსებობდა, პირველი მოპასუხე არ იყო უფლებამოსილი, განეკარგა სადავო ქონება.

22. მოსარჩელის მიერ მითითებული ზემოხსენებული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მისი მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია სსკ-ის 990.1 მუხლი (თუ არაუფლებამოსილი პირი რაიმე საგანს უსასყიდლოდ განკარგავს და ეს განკარგვა ნამდვილია უფლებამოსილი პირის მიმართ, მაშინ ის პირი, რომელმაც ამ განკარგვის შედეგად უშუალო სამართლებრივი სარგებელი მიიღო, მოვალეა, მიღებული გადასცეს უფლებამოსილ პირს).

23. აღნიშნული მოთხოვნა დაკმაყოფილებადია შემდეგი წინაპირობების ქვემოთ მოცემული თანმიმდევრობით განხორციელების შემთხვევაში: ა) თუ მოსარჩელე დაამტკიცებს, რომ სადავო ბინაზე უფლება კანონიერად შეიძინა; სადავო ბინა არაუფლებამოსილმა პირმა (პირველმა მოპასუხემ) უსასყიდლოდ გადასცა მეორე მოპასუხეს; ამ განკარგვის შედეგად მეორე მოპასუხე გამდიდრდა (უშუალო სამართლებრივი სარგებელი მიიღო) და, შესაბამისად, მოსარჩელეს ქონებრივი დანაკლისი მიადგა.

24. პირველი საკითხი, რომელიც სასამართლომ უნდა გამოარკვიოს ისაა, თუ რა უფლება ჰქონდა მოსარჩელეს სადავო ქონებაზე. მოსარჩელის განმარტებით, მან პირველი მოპასუხის დედისგან შეიძინა ამ უკანასკნელის ქონებრივი უფლება (ამხანაგობის წევრობიდან გამომდინარე ბინის მიღების უფლება) და, საბოლოოდ, ამხანაგობის კრების გადაწყვეტილებით საკუთრებაში გადაეცა კიდევ სადავო ქონება. რაკი ამ გარემოებებს მოპასუხეები ედავებიან, სასამართლო შეამონმებს მოსარჩელის მიერ სადავო ბინაზე უფლების შექმნის კანონიერებას.

25. საკასაციო პალატა, უპირველესად, იმ სამართლებრივ ნორმებზე გაამახვილებს ყურადღებას, რომლითაც სააპელაციო სასამართლომ დავის გადაწყვეტისას იხელმძღვანელა. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ურთიერთობას აწესრიგებს „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონი. ასეთი დასკვნა, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, გამომ-

დინარეობს სსკ-ის 1512-ე მუხლის შინაარსიდან (საბინაო-სამშენებლო კოოპერატივები, როგორც იურიდიული პირები, ჩაითვალოს გაუქმებულად 1997 წლის 25 ნოემბრიდან. მათ უფლებამონაცვლებად მიჩნეულ იქნენ ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობები ამ კოდექსის 208-ე-232-ე მუხლების მიხედვით), რაკი ამ ნორმის მიხედვით, საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების უფლებამონაცვლებად ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობები იქნენ მიჩნეული.

26. საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნულ მსჯელობას და განმარტავს, რომ მითითებული ნორმები არ ადგენს მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მენაშენეთა (ამხანაგობის წევრთა) უფლება-მოვალეობებს, არამედ უკვე აშენებული (ექსპლუატაციაში მიღებული) სახლის მესაკუთრეთა სამართლებრივ ურთიერთობებს აწესრიგებს. ამდენად, სსკ-ის 1512-ე მუხლი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებს, რომლებიც ეხება დასრულებულ მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში არსებული ბინების მესაკუთრეთა შორის წარმოშობილ უფლებავალდებულებებს (შდრ. იხ. სუსგ №ას-666-887-08 31.01.2009წ.).

27. წინა პუნქტში განვითარებული მსჯელობიდან გამომდინარე, რაკი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივები, როგორც იურიდიული პირები, 1997 წლის 25 ნოემბრიდან გაუქმდა, საკასაციო პალატის მოსაზრებით, იმ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად შექმნილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის ყოფილ წევრთა უფლება-მოვალეობები, რომლის მშენებლობაც 1997 წლის 25 ნოემბრისათვის დასრულებული არ იყო, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ოცდამეხუთე თავის (ერთობლივი საქმიანობა ამხანაგობა) დადგენილი ნორმების (სსკ-ის 930-ე-940-ე მუხლები) მიხედვით უნდა მოწესრიგდეს. ეს დასკვნა გამომდინარეობს სსკ-ის 1507-ე მუხლის მეორე ნაწილის შინაარსიდან (იმ ურთიერთობათა მიმართ, რომლებიც წარმოიშვა სამოქალაქო კოდექსის ძალაში შესვლამდე, ამ კოდექსის ნორმები გამოიყენება 1997 წლის 25 ნოემბრიდან წარმოშობილი უფლებებისა და მოვალეობების მიმართ). მოცემულ შემთხვევაში, სადავოა სწორედ 1997 წლის 25 ნოემბრის შემდეგ კოოპერატივის ყოფილ წევრსა და მოსარჩელეს შორის წარმოშობილი უფლებები და მოვალეობები, ამიტომ მათ მიმართ ახალი სამოქალაქო კოდექსის ნორმები უნდა გამოვიყენოთ.

28. სადავო არაა, რომ პირველი მოპასუხის დედა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის მეპაიე წევრი იყო და სრულად ჰქონდა გადახდილი შესაბამისი საპაიო შესატანი. ამ შესატანის სანაცვლოდ მას უნდა გადასცემოდა სადავო ბინა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის აშენებისა და ექსპლუატაციაში მიღების შემდეგ, ანუ მას საპაიო შესატანის შესაბამისი წილის (ქონებრივი უფლების)

მოთხოვნის უფლება გააჩნდა ამხანაგობის მიმართ. მოსარჩელის განმარტებით, მან სწორედ ეს მოთხოვნის უფლება შეიძინა კოოპერატივის ყოფილი წევრისგან.

29. მოთხოვნის უფლების შექმნის შესაძლებლობას ითვალისწინებს სსკ-ის 198.1 მუხლი (მოთხოვნა ან უფლება, რომელთა დათმობა და დაგირავებაც შესაძლებელია, მათმა მფლობელმა შეიძლება საკუთრებად გადასცეს სხვა პირს. მოთხოვნები და უფლებები ახალ პირზე გადადის ისეთსავე მდგომარეობაში, როგორშიც ისინი ძველი მფლობელის ხელში იყვნენ), ხოლო სსკ-ის 199.1 მუხლი ადგენს იმ გამონაკლისებს, რა დროსაც მოთხოვნის დათმობა დაუშვებელია (მოთხოვნის მფლობელს (კრედიტორს) შეუძლია მოვალის თანხმობის გარეშე მოთხოვნა მესამე პირს დაუთმოს, თუკი ის არ ეწინააღმდეგება ვალდებულების არსს, მოვალესთან მის შეთანხმებას ან კანონს (მოთხოვნის დათმობა). განსახილველ შემთხვევაში, სსკ-ის 199.1 მუხლით გათვალისწინებული საგამონაკლისო შემთხვევების არსებობა არ იკვეთება. სსკ-ის 198.2 მუხლის (მოთხოვნის დათმობა ხდება მოთხოვნის მფლობელსა და მესამე პირს შორის დადებული ხელშეკრულებით, ასეთ შემთხვევაში თავდაპირველი მფლობელის ადგილს იკავებს მესამე პირი) შესაბამისად, მოთხოვნის დათმობის სამართლებრივი შედეგია კრედიტორის ცვლილება, კერძოდ, თავდაპირველი კრედიტორის ადგილს იკავებს ახალი კრედიტორი. განსახილველ შემთხვევაში, მოთხოვნის დათმობის საფუძველზე, თავდაპირველი კრედიტორის (კოოპერატივის ყოფილი წევრის) ადგილი დაიკავა ახალმა კრედიტორმა (მოსარჩელემ).

30. მოპასუხის პრეტენზია ზემოხსენებული მოთხოვნის დათმობის მიმართ ისაა, რომ კოოპერატივის ყოფილ წევრს მოთხოვნის დათმობის ნება არ გამოუვლენია, ამასთან, მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულება წერილობით უნდა დადებულიყო და ნოტარიუსს დაედგინებინა.

31. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოთხოვნის დათმობის მტკიცების ტვირთი ეკისრება ახალ კრედიტორს, ხოლო პირი, რომელიც ეჭვქვეშ დააყენებს მოთხოვნის დათმობის ნამდვილობას, ვალდებულია, დაამტკიცოს ეს გარემოება. ამდენად, პირველ რიგში, ახალი კრედიტორია ვალდებული, დაამტკიცოს მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულების დადების ფაქტი. ახალი კრედიტორის (მოსარჩელის) განმარტებით, კოოპერატივის ყოფილი წევრისგან მოთხოვნის უფლება ზეპირი ხელშეკრულების საფუძველზე შეიძინა. ეს გარემოება დასტურდება როგორც ამხანაგობის კრების სადავო გადანყევტილებით, ასევე – მონშეების: თ. გ-ძის, თ. გ-ძისა და თ. მ-ძის ჩვენებებით, შესაბამისად, საკასაციო პალატა მიიჩნ-

ნევეს, რომ მოსარჩელემ მოთხოვნის დათმობის ფაქტი დაამტკიცა. მოპასუხემ, მართალია, ეჭვქვეშ დააყენა მოთხოვნის დათმობის ნამდვილობა, მაგრამ ეს გარემოება ვერ დაამტკიცა დასაშვები და დამაჯერებელი მტკიცებულებებით. დაუსაბუთებელია მოპასუხის მოსაზრება მოთხოვნის დათმობის ფორმის თაობაზეც, ვინაიდან მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულებისათვის კანონით ფორმა არ არის დადგენილი, შესაბამისად, ასეთი ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს როგორც წერილობით, ისე ზეპირად (მდრ. სუსგ საქმე №ას-528-501-2015, 4 ნოემბერი, 2015 წელი).

32. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, რაკი არ მოიძებნა კოოპერატივის ყოფილი წევრის წერილობითი განცხადება ამხანაგობიდან მისი გასვლის თაობაზე, ამხანაგობის კრების სადავო გადაწყვეტილება უკანონოა. საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს ზემოხსენებულ მსჯელობას, ვინაიდან ამხანაგობისათვის მსგავსი თხოვნით წერილობით მიმართვის აუცილებლობას კანონი არ ადგენს. სსკ-ის 933.1 მუხლის მიხედვით, ამხანაგობის წევრს, ამხანაგობის სხვა წევრთა თანხმობით, შეუძლია, თავისი წილი ქონების ან უფლების სახით მესამე პირს გადასცეს. ცხადია, ასეთი თანხმობის მისაღებად ამხანაგობის წევრი განცხადებით მიმართავს ამხანაგობას, რაც შეიძლება გააკეთოს როგორც წერილობით, ისე ზეპირად. მოცემულ შემთხვევაში, ის ფაქტი, რომ კოოპერატივის ყოფილმა წევრმა ამხანაგობას განცხადებით მიმართა, დასტურდება კრების ჩატარებითა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებით. კრების სადავო გადაწყვეტილება ხელმოწერილია კრების თავმჯდომარისა და მდივნის მიერ, რაც ფორმალურად მის ნამდვილობას ადასტურებს. შესაბამისად, მხოლოდ მოპასუხის განმარტება, რომ კოოპერატივის ყოფილ წევრს განცხადებით არ მიუმართავს ამხანაგობისათვის, სადავო გადაწყვეტილების ნამდვილობას ვერ გააქარწყლებს, მით უფრო, იმის გათვალისწინებით, რომ არც კოოპერატივის ყოფილი წევრი (თავის სიცოცხლეში) და არც მოპასუხე 2013 წლამდე არ შესდაგებია მოსარჩელეს, რომელიც წლებია ფლობს და სარგებლობს სადავო ბინით.

33. ამხანაგობის კრების 2009 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილებით ირკვევა, რომ ამხანაგობამ მოსარჩელეს საკუთრებაში გადასცა სადავო ბინა, რომელიც მას საჯარო რეესტრში უნდა დაერეგისტრირებინა. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ამხანაგობის კრების ეს გადაწყვეტილება მიღებულია სსკ-ის 935.1 მუხლის (თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს, შემოსავლები მონაწილეებს შორის ნაწილდება მათი წილის შესაბამისად) საფუძველზე, კერძოდ, მოსარჩელეს საკუთრებაში გადაეცა ოროთახიანი ბინა კოოპერატივის ყოფილი მეპაიე წევრისგან დათმობის ხელ-

შეკრულებით შექმნილი წილის შესაბამისად. აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატა ასკვნის, რომ მოსარჩელემ სადავო ბინაზე საკუთრება კანონიერად შეიძინა.

34. სარჩელის საფუძვლიანობის დასადგენად უნდა შემოწმდეს, უფლებამოსილი იყო თუ არა პირველი მოპასუხე, განეკარგა სადავო ბინა, რომელიც ამხანაგობის კრების გადაწყვეტილებით საკუთრებაში გადაეცა მოსარჩელეს. დადგენილია, რომ 2013 წლის 24 იანვარს პირველი მოპასუხის სახელზე ნოტარიუსმა გასცა საკუთრების მონაწილეობა, რომლის საფუძველზეც, სადავო ქონება საჯარო რეესტრში ამ უკანასკნელის საკუთრებად აღირიცხა. შესაბამისად, სწორედ ნოტარიუსის მიერ გაცემული საკუთრების მონაწილეობის კანონიერებაა შესაფასებელი.

35. „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №71 ბრძანების 55.1 მუხლის თანახმად, ნოტარიუსი გასცემს საკუთრების მონაწილეობის ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობების (ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების) სახლებში არსებულ იმ ბინებზე, რომლებიც საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 5 ივლისის №519 დადგენილების შესაბამისად საკუთრებაში გადაეცათ ამ ბინების მფლობელებს და რომლებიც ამ ინსტრუქციის ძალაში შესვლამდე არ არის აღრიცხული ამ ბინების მფლობელთა საკუთრებაში. მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, ნოტარიუსი საკუთრების მონაწილეობას გასცემს ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების სახლებში არსებულ მხოლოდ იმ ბინებზე, რომლებიც საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 5 ივლისის №519 დადგენილების შესაბამისად საკუთრებაში გადაეცათ ამ ბინების მფლობელებს ან მათ მემკვიდრეებს. შესაბამისად, შესამოწმებელია, ხომ არ მოიპოვა პირველმა მოპასუხემ სადავო ბინაზე საკუთრების უფლება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 5 ივლისის №519 დადგენილების შესაბამისად ან მემკვიდრეობით.

36. ზემოხსენებული დადგენილების შინაარსი ცხადყოფს, რომ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის მეპაიე წევრებს საკუთრებაში გადაეცათ მათ მიერ დაკავებული ბინები, ანუ აქ იგულისხმება დასრულებულ და ექსპლუატაციაში მიღებულ სახლებში განლაგებული ბინები, რომელთაც კოოპერატივის მეპაიე წევრები ფლობდნენ. მოცემულ შემთხვევაში, პირველი მოპასუხე კოოპერატივის მეპაიე წევრი არ ყოფილა, ამასთან, არც თვითონ და არც დედამისი სადავო ბინას არ დაუფლებიან, ვინაიდან დადგენილია, რომ კოოპერატივის ყოფილი წევრის მიერ მოთხოვნის დათმობისას მრავალ-

ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა დასრულებული არ იყო. ამდენად, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 5 ივლისის №519 დადგენილების საფუძველზე, პირველი მოპასუხე საკუთრებას ვერ მოიპოვებდა. იგი ვერც მემკვიდრეობით ვერ მიიღებდა სადავო ქონებას, ვინაიდან მისმა მამკვიდრებელმა სიცოცხლეშივე განკარგა კოოპერატივის წევრობიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლება. შესაბამისად, ეს უფლება სამკვიდრო აქტივში ვერ შევიდოდა და მას ვერც მემკვიდრე ვერ მიიღებდა, ვინაიდან სსკ-ის 1328.1 მუხლის მიხედვით, სამკვიდრო ქონებაში შედის მამკვიდრებლის მხოლოდ ის ქონებრივი უფლებები (სამკვიდრო აქტივი), რომელიც მას ჰქონდა სიკვდილის მომენტი-სათვის.

37. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა მივიჩნიოთ, რომ პირველი მოპასუხის სახელზე საკუთრების მონაწილის გაცემას კანონიერი საფუძველი არ გააჩნდა, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი არ იყო უფლებამოსილი, განეკარგა სადავო ქონება, რომელიც მოსარჩელეს ეკუთვნოდა. ამასთან, რაკი სადავო ქონება პირველმა მოპასუხემ უსასყიდლოდ გადასცა მეორე მოპასუხეს, ცხადია, რომ მან ამ განკარგვის შედეგად უშუალო სარგებელი მიიღო და, შესაბამისად, გამდიდრდა მოსარჩელის ხარჯზე. სსკ-ის 990.1 მუხლი კი, გამდიდრებულ პირს ავალდებულებს, მიღებულის გადაცემას უფლებამოსილი პირისთვის. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს მეორე მოპასუხის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ იგი კეთილსინდისიერი შემძენია და შეუძლია, უარი თქვას ქონების მოსარჩელისათვის დაბრუნებაზე. პალატა განმარტავს, რომ სსკ-ის 990.1 მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, ჩუქება ფასდება – როგორც ნაკლებად დაცვის ღირსი ინტერესი. შესაბამისად, როდესაც შეძენა არაუფლებამოსილი პირისაგან უსასყიდლოდ ხორციელდება, არც კეთილსინდისიერი შემძენი არ მიიჩნევა დაცვის ღირსად, რადგან მას ნივთის შესაძენად არ გაუნევია არანაირი ქონებრივი დანახარჯი.

38. ამდენად, მოსარჩელემ დაამტკიცა, რომ სადავო ბინაზე საკუთრების უფლება მას წარმოეშვა; პირველი მოპასუხის სახელზე საკუთრების მონაწილე არასწორად გაიცა; პირველი მოპასუხის მიერ სადავო ქონების უსასყიდლოდ განკარგვით მეორე მოპასუხემ სამართლებრივი სარგებელი მიიღო. შესაბამისად, სარჩელი პირველი მოპასუხის სახელზე გაცემული საკუთრების მონაწილის ბათილად ცნობის, 2013 წლის 31 იანვრის ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და სადავო უძრავ ქონებაზე მოსარჩელის მესაკუთრედ ცნობის თაობაზე საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს; სადავო უძრავი ქონება საჯარო რეესტრში უნდა აღირიცხოს

მოსარჩელის საკუთრებად, ხოლო შეგებებული სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

39. სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე, კერძოდ, პალატას მიაჩნია, რომ მოპასუხის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილება და, ახალი გადაწყვეტილებით, სარჩელი დაკმაყოფილდეს, ხოლო შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდეს.

40. სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც განიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

41. განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით ირკვევა, რომ მოსარჩელეს სარჩელზე სახელმწიფო ბაჟი 1930 ლარი, ხოლო საკასაციო საჩივარზე 5000.00 ლარი აქვს გადახდილი, შესაბამისად, მოპასუხეებს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროთ ამ უკანასკნელის მიერ გაღებული 5930.00 ლარი. მათვე უნდა დაეკისროთ მოსარჩელის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოში იურიდიული მომსახურებისათვის გაწეული ხარჯის – 500.00 ლარის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, მე-8, მე-7 მუხლებით, 257-ე მუხლის პირველი ნაწილით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

ბ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. დ. კ-ძისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა №..-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. დ. კ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდეს;
4. ბათილად იქნეს ცნობილი ზ. კ-ძის სახელზე გაცემული 2013 წლის 24 იანვრის საკუთრების მოწმობა (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი №...) უძრავ ქონებაზე – მდებარე ქ. ბათუმი, (საკადასტრო კოდი: №.....);
5. ბათილად იქნეს ცნობილი ზ. კ-ძესა და ხ.შ-ას შორის 2013 წლის 31 იანვარს დადებული ჩუქების ხელშეკრულება უძრავ ქონებაზე – მდებარე ქ. ბათუმი, (საკადასტრო კოდი: №.....);
6. დ. კ-ძე ცნობილ იქნეს ქ. ბათუმში, მდებარე №56 ბინის მესაკუთრედ და შესაბამისი ცვლილებები განხორციელდეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურში. დ. კ-ძე აღირიცხოს უძრავი ქონების – ქ. ბათუმში, მდებარე №56 ბინის (საკადასტრო კოდი: №.....) მესაკუთრედ;
7. ხ. შ-ასა და ზ. კ-ძის შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
8. ხ. შ-ასა და ზ. კ-ძეს დ. კ-ძის სასარგებლოდ დაეკისროთ ამ უკანასკნელის მიერ სარჩელზე და საკასაციო საჩივარზე გაღებული სახელმწიფო ბაჟის – 5930.00 ლარის, აგრეთვე, დ. კ-ძის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოში იურიდიული მომსახურებისათვის გაწეული ხარჯის – 500.00 ლარის გადახდა;
9. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. დელიქტური ვალდებულებები

სარჩოს გადაანგარიშება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-155-151-2016

26 აგვისტო, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),
პ. ქათამაძე (მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: სარჩოს გადაანგარიშება

აღწერილობითი ნაწილი:

1. გ. გ-ე (შემდეგში – მოსარჩელე ან დაზარალებული) დაიბადა 1946 წლის 16 ნოემბერს, ის, 1978 წლიდან ელმავლის მემანქანედ მუშაობდა ხაშურის სალოკომოტივო დეპოში, რომლის უფლებამოსაც ეკლავა ს.ს. „ს-ა“ (შემდეგში – მოპასუხე ან კასატორი).

2. მოსარჩელემ 42 წლის ასაკში, 1989 წლის 8 მარტს, საწარმოო ტრავმა მიიღო, რის შედეგადაც დაკარგა პროფესიული შრომისუნარიანობა 80%-ით. მას საწარმომ ყოველთვიურად დაუნიშნა სარჩო – 271.40 მანეთი (1964 წლის რედაქციით საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 472-ე მუხლი).

3. დღემდე მოპასუხე, სარჩოს სახით, მოსარჩელეს ყოველთვიურად უხდის 385.61 ლარს.

4. 2014 წლის 14 ივლისს დაზარალებულმა სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში მიუღებელი სარჩოს ერთობლივი თანხის – 20 036 ლარისა და 2014 წლის ივლისიდან სარჩოს – 1 000 ლარის დაკისრების მოთხოვნით. წინამდებარე განჩინების 1-3 პუნქტებში აღწერილ გარემოებებზე და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში სსკ-ის) 408-ე, 411-ე და 992-ე მუხლებზე დაყრდნობით მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ მოპასუხეს მისთვის უნდა გადაეხადა გაზრდილი სარჩო, ვინაიდან მემანქანის ხელფასი, მისთვის სარჩოს დანიშვნის დღიდან, სამჯერ გაიზარდა და 2011 წლის მარტიდან – 1050, 2012 წლის 30 მარტიდან – 1150, ხოლო 2012 წლის 1 დეკემბრიდან – 1250 ლარი შეადგინა. მიუხედავად ამისა, მოპასუხემ არ გადაიანგარიშა მისი კუთვნილი სარჩო და დღემდე ყოველთვიურად კვლავ 385.61 ლარს

უხდის.

5. მოპასუხემ მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებლით სარჩელი არ ცნო, კერძოდ, მან განმარტა, რომ თავის დროზე მოსარჩელისთვის სარჩო გადაანგარიშდა საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის №48 ბრძანებულების მე-12 პუნქტის შესაბამისად, რომლის თანახმადაც, ორგანიზაციაში შრომის ანაზღაურების ან მისი მინიმალური დონის ცვლილებების შესაბამისად ხდება სასამართლოს ან დამქირავებლის მიერ დადგენილი ყოველთვიური სარჩოს ოდენობის გადაანგარიშება, მიუხედავად იმისა, როდის მიიღო მან ეს დასახიჩრება. აღნიშნული წესი 2005 წლის 7 ნოემბრიდან აღარ მოქმედებს და, აქედან გამომდინარე, მოსარჩელის მოთხოვნას სამართლებრივი საფუძველი აღარ გააჩნია. სსკ-ის 408-ე მუხლი, რომელზედაც მოსარჩელე ამყარებდა თავის მოთხოვნას, სარჩელს ვერ ასაბუთებდა, რადგანაც მითითებული ნორმა არ ითვალისწინებდა სარჩოს გადაანგარიშების წესს. გარდა ამისა, მოპასუხემ ხანდაზმულობის ნორმებზე გაამახვილა ყურადღება და მიუთითა, რომ მოთხოვნის წარმოშობილად მიჩნევის შემთხვევაშიც, ის განხორციელებადი არ იყო.

6. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 18 თებერვლის გადაწყვეტილებით, სარჩელი სრულად დაკმაყოფილდა, კერძოდ, მოპასუხეს, მოსარჩელის სასარგებლოდ, დაეკისრა მიუღებელი სარჩოს ერთობლივი თანხის – 20 036 ლარისა და 2014 წლის ივლისიდან ყოველთვიური სარჩოს – 1000 ლარის გადახდა.

7. სასამართლომ გადაწყვეტილება დაასაბუთა სსკ-ის 316-ე, 317-ე მუხლებით, 408-ე მუხლის პირველი ნაწილით, საქართველოს შრომის კოდექსის 44-ე მუხლით და შემდეგი დასკვნები გამოიტანა:

7.1. ზიანის ანაზღაურების არსი დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანის კომპენსირებაა. ყოველთვიური სარჩოს სახით ზიანის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის კრიტერიუმს სწორედ ხელფასის ის ოდენობა წარმოადგენს, რასაც დაზარალებული ჯანმრთელობის დაზიანებამდე იღებდა და რასაც ის მიიღებდა შემდგომ, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება.

7.2. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელემ დაამტკიცა ის გარემოებები, რაზეც ამყარებდა თავის სარჩელს, კერძოდ ის, რომ საწარმოო ტრავმამ გამოიწვია შრომისუნარიანობის 80%-ით დაქვეითება და მოსარჩელეს დაენიშნა სარჩო 385.61 ლარი, რომელიც, მიუხედავად მემანქანის ხელფასის ოდენობის ზრდისა, დღემდე არ შეცვლილა. მოპასუხე ვალდებული იყო, ყოველთვიური სარჩო

დაზარალებულისათვის სადავო პერიოდისათვის არსებული სახელ-
ფასო განაკვეთის გათვალისწინებით გადაეხადა.

**8. ზემოხსენებული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპე-
ლაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ შემდეგი საფუძვლებით:**

8.1. სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი. მან სარჩელის
დაკმაყოფილების საფუძვლად სსკ-ის 408-ე მუხლი გამოიყენა, მა-
შინ, როდესაც აღნიშნული ნორმა არ ანესრიგებს სარჩოს გადაან-
გარიშების წესს და, აქედან გამომდინარე, არ შეიძლება, ჯანმრთე-
ლობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე გავრცელდეს.

8.2. სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ საქართველოს მთავ-
რობის 2007 წლის 24 მარტის №53 დადგენილება, რომელიც საქარ-
თველოს პრეზიდენტის 1999 წლის №48 ბრძანებულების გაუქმე-
ბის შემდგომ ამოქმედდა, ზიანის ანაზღაურების მიზნით დანიშ-
ნული სარჩოს ანაზღაურებას და არა უკვე დანიშნული სარჩოს გა-
დაანგარიშებას ითვალისწინებდა.

9. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 18 დეკემ-
ბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უც-
ვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 18
თებერვლის გადაწყვეტილება.

10. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის
მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და გადაწყვეტილე-
ბის უცვლელად დატოვების სამართლებრივი დასაბუთების ნაწილ-
ში მიუთითა შემდეგი: საქმეში წარმოდგენილი აქტებითა და მოპა-
სუხის კონკლუდენტური ქმედებებით დასტურდება დამსაქმებლის
ვალდებულება, გადაუხადოს სარჩო მოსარჩელეს. საქართველოს
მთავრობის 2007 წლის 24 მარტის №53 დადგენილების პირველივე
პუნქტში მითითებულია, რომ შრომითი მოვალეობის დროს ჯან-
მრთელობისთვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება შრომის კო-
დექსით და სსკ-ის ნორმებით. აღნიშნულის შესაბამისად, სააპე-
ლაციო პალატამ მიიჩნია, რომ ზიანის ანაზღაურების ოდენობის
განსაზღვრის კრიტერიუმია სწორედ იმდენი ხელფასი, რომელსაც
მოსარჩელე მიიღებდა ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი
გარემოება რომ არ დამდგარიყო. შესაბამისად, პალატამ მიიჩნია,
რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად განსაზღვრა მო-
პასუხისათვის დასაკისრებელი სარჩოს ოდენობა.

**11. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქ-
მეთა პალატის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა
მოპასუხემ შემდეგ საფუძვლებზე მითითებით:**

11.1. სასარჩელო მოთხოვნას სამართლებრივი საფუძველი არ
გააჩნია. მიუხედავად ამისა, სასამართლომ საქართველოს მთავ-
რობის 2007 წლის 24 მარტის №53 დადგენილების საფუძველზე შე-

საძლებლად მიიჩნია სარჩელის დაკმაყოფილება, მაშინ, როდესაც ეს დადგენილება დანიშნული სარჩოს გადაანგარიშების შესაძლებლობას არ ითვალისწინებს.

11.2. სასამართლომ არასწორად გამოიყენა სსკ-ის 408-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს იმ ზიანის ანაზღაურებას, რომელიც სახელშეკრულებო ან არასახელშეკრულებო ვალდებულებათა შეუსრულებლობის შედეგად მიიღება, შესაბამისად, მისი გავრცელება ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის შემთხვევებზე დაუშვებელია.

12. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 21 აპრილის განჩინებით საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

13. საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დასაბუთებულია, შესაბამისად, გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

14. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორმა წარმოადგინა სააპელაციო სასამართლოს მიერ მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენებისა და განმარტების კუთხით ნაწილობრივ დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

15. საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის პრეტენზიას იმ ნაწილში, რომლითაც ის სადავოდ ხდის სსსკ-ის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის გამოყენების მართლზომიერებას იმ მოტივით, რომ მოპასუხეს ბრალი არ მიუძღვოდა ზიანის მიყენებაში და ამის გამო სარჩოს გადახდის ვალდებულებაც არ უნდა დაჰკისრებოდა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოპასუხემ, თავის დროზე მოსარჩელის წინაშე აღიარა, ამ უკანასკნელის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების გამო, ყოველთვიური სარჩოს გადახდის ვალდებულება, რო-

მელსაც ის ყოველთვის ურად კეთილსინდისიერად ასრულებს კიდევ. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ, მოცემულ შემთხვევაში, მტკიცების ტვირთის მატარებელმა კასატორმა ვერ გააქარწყლა პრეზუმფცია იმისა, რომ ყოველი შესრულება გულისხმობს ვალდებულების არსებობას (შდრ: საქმე №ას-1220-1145-2015).

16. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ უკვე დანიშნული სარჩოს გადაანგარიშების მოთხოვნას სამართლებრივი საფუძველი გააჩნია, თუმცა, განსახილველ შემთხვევაში, ის სრულად წარმოშობილი და განხორციელებადი არაა. ამის საილუსტრაციოდ საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს ამ საკითხზე მყარად დადგენილ სასამართლო პრაქტიკაზე და განმარტავს, რომ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის №53 დადგენილება „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“, რომელიც ძალადაკარგულია 03/02/2013 წლიდან, არ ითვალისწინებდა „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულების მოთხოვნათა დაცვით დანიშნული „ზიანის ანაზღაურების სარჩოს“ გადაანგარიშების სპეციალურ წესს. მთავრობის ზემოხსენებული დადგენილების თანახმად, ახლებურად მონესრიგდა შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებული პირისათვის ზიანის ანაზღაურების წესები. სხეულის დაზიანებითა და ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენებით გამოწვეული ზიანი ანაზღაურდება არასახელშეკრულებო (დელიქტური) პასუხისმგებლობის ფორმით. სსკ-ის 992-ე მუხლის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია, აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. ამავე კოდექსის 408-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების თანახმად, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია, აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ შექმნილიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. თუ სხეულის დაზიანებით ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად დაზარალებულს წაერთვა შრომის უნარი ან შეუმცირდა იგი, ანდა იზრდება მისი მოთხოვნილებები, დაზარალებულს უნდა აუნაზღაურდეს ზიანი ყოველთვის სარჩოს გადახდით. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სარჩოს მიღების უფლების ხანგრძლივობა პირდაპირაა დაკავშირებული დაზარალებულის მხრიდან ხელფასის მიღების შესაძლებლობასთან. სარჩოს ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება, დაზარალებულს ართმევს შესაძლებლობას, ჰქონდეს სამუშაო და იღებდეს შესაბა-

მის შრომით ანაზღაურებას. სარჩოს გადახდით დაზარალებული-სათვის შემოსავლის მიღება უზრუნველყოფილია ზიანის არარსე-ბობის პირობებში შესაძლო შრომის ანაზღაურების შესაბამისად. თავად ის გარემოება, რომ, ჯანმრთელობის დაზიანების გამო, მო-სარჩელემ დაკარგა სამუშაო და შესაბამისი ანაზღაურების მილე-ბის შესაძლებლობა, თავის მხრივ, წარმოშობს საფუძვლიან და კა-ნონიერ ვარაუდს იმასთან დაკავშირებით, რომ ზიანის არარსე-ბის პირობებში, მუშაკი განაგრძობდა მუშაობას და მიიღებდა ხელ-ფასს, თუმცა განუსაზღვრელი ვადით სარჩოს დაწესება, თავის-თავად არ გულისხმობს სარჩოს უვადოდ გადახდის ვალდებულე-ბას. სარჩოს ოდენობა უნდა განისაზღვროს იმ ოდენობით, რა ოდე-ნობითაც სარჩოს მოთხოვნაზე უფლებამოსილი პირი მიიღებდა ხელფასს ზიანის ანაზღაურების მავალდებულეზელი გარემოება რომ არ დამდგარიყო (შდრ: სუსგ, №ას-169-497-09, №ას-939-889-2015; №ას-84-80-2016).

17. ამასთან, სარჩელის დაკმაყოფილება დამოკიდებულია იმა-ზე, შესრულებულია თუ არა ზემოაღნიშნული ნორმებით გათვა-ლისწინებული სამართლებრივი შედეგის განმაპირობებელი ყველა ფაქტობრივი წინაპირობა. შესაბამისად, მოთხოვნის წარმოშობას ხელს არ უნდა უშლიდეს გამომრიცხველი გარემოების არსებობა და წარმოშობილი მოთხოვნა განხორციელებადი უნდა იყოს. გან-სახილველ შემთხვევაში, 2011 წლის ნოემბრის შემდეგ, მოთხოვ-ნის წარმოშობას აბრკოლებს დაზარალებულის ასაკი. მოქმედი კა-ნონმდებლობით დაზარალებულ მამაკაცთა საპენსიო ასაკი 65 წლით განისაზღვრება, შესაბამისად, პრეზუმირებულია, რომ ამ ასაკამდე მოსარჩელე იმუშავებდა თავისი პროფესიის შესაბამი-სად (შდრ.: „ზიანის ანაზღაურების მავალდებულეზელი გარემოება რომ არ დამდგარიყო, პრეზუმირებულია, რომ მემანქანე იმუშა-ვებდა საპენსიო ასაკამდე, რომელიც იმხანად მოქმედი შრომის კო-დექსის (1973 წლის 28 ივნისის რედაქციით) მიხედვით, მამაკაცე-ბისათვის 65 წელს შეადგენდა“ სუსგ: №ას-789-746-2015, 22.01.2016წ., №ას-637-608-2016; №ას-1216-1141-2015).

18. განსახილველ შემთხვევაში, სარჩელი აღიძრა 2014 წლის 16 ივლისს. მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ მისთვის სარჩოს დანიშვნის შემდეგ მემანქანის ხელფასი სამჯერ გაიზარდა და გახდა: 2011 წლის 1 მარტიდან – 1050 ლარი, 2012 წლის 30 მარტიდან – 1150 ლარი, ხოლო 2012 წლის 1 დეკემბრიდან – 1250 ლარი, – ე.ი. გადაან-გარიშებული სარჩოს მიღების მოთხოვნის უფლება მოსარჩელეს სამჯერ: 2010, 2012 და 2013 წლებში წარმოეშვა. დაზარალებული დაიბადა 1946 წლის 16 ნოემბერს. მან საპენსიო ასაკს მიაღწია 2011 წლის 16 ნოემბერს, შესაბამისად, 2011 წლის დეკემბრიდან მას ზი-

ანის ანაზღაურების სარჩოს გადაანგარიშების მოთხოვნის უფლება აღარ გააჩნია, თუმცა მოსარჩელეს უნარჩუნდება მოპასუხის მიერ უკვე დანიშნული და გაანგარიშებული სარჩოს (385.61 ლარის) მოთხოვნის უფლება.

19. რაც შეეხება 2011 წლის 1 მარტიდან იმავე წლის დეკემბრამდე, სსკ-ის 992-ე და 408-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, წარმოშობილ ზიანის ანაზღაურების სარჩოს გადაანგარიშების შედეგად 5315.12 ლარის მოთხოვნის განხორციელებადობას, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, სსკ-ის 129-ე მუხლის მეორე ნაწილის, 130-ე მუხლისა და 144-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოთხოვნა ნაწილობრივ, 1955.12 ლარის ნაწილში, ხანდაზმულია, კერძოდ, სარჩელი აღძრულია 2014 წლის 16 ივლისს და, მაშასადამე, მოსარჩელეს უფლება აქვს, ოთხი თვის ზიანის ანაზღაურების სარჩოს გადაანგარიშების შედეგად (2011 წლის 16 ივლისიდან 2011 წლის 16 ნოემბრამდე) 3 360 ლარი მოითხოვოს.

20. სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან სახეზე არ გამოკვეთილა საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების კანონისმიერი საფუძველები, პალატა მიიჩნევს, რომ უფლებამოსილია, თავად გადაწყვიტოს დავა, კერძოდ, ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილოს.

21. სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გაიღეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას, ხოლო, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

22. „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 5.1. მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოსარჩელე გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. სსსკ-ის 55-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით განეული ხარჯები და სახელმწიფო ბაჟი, რომელთა

გადახდისაგან განთავისუფლებული იყო მოსარჩელე, დაეკისრება მოპასუხეს ბიუჯეტის შემოსავლის სასარგებლოდ, მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელიც დაკმაყოფილებულია.

23. განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით ირკვევა, რომ კასატორს სახელმწიფო ბაჟის სახით სააპელაციო საჩივარზე – 1096.37 ლარი აქვს გადახდილი, საკასაციო საჩივარზე – 1370.43 ლარი (სულ 2 466.8 ლარი), ხოლო მოსარჩელე გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

24. საკასაციო პალატის წინამდებარე გადანყვეტილებით განსაზღვრული სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, პალატა მიიჩნევს, რომ მოპასუხეს (კასატორს), სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, უნდა დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის – 302.15 ლარის გადახდა, ხოლო მოსარჩელეს, მოპასუხის (კასატორის) სასარგებლოდ, უნდა დაეკისროს 2 164.32 ლარის გადახდა სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე მოპასუხის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-
მოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, მე-8, 53-ე, 55.1,
264.3, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. სს „ს-ის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 18 თებერვლის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადანყვეტილება;
3. გ. გ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
4. სს „ს-ას“, გ. გ-ის სასარგებლოდ, დაეკისროს 3360 ლარის გადახდა;
5. დანარჩენ ნაწილში გ. გ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
6. გ. გ-ეს, სს „ს-ის“ სასარგებლოდ, დაეკისროს 2164.32 ლარის გადახდა მოპასუხის მიერ სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად;
7. სს „ს-ას“, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, დაეკისროს 302.15 ლარის გადახდა. სახელმწიფო ბაჟი განთავსებულ იქნეს შემდეგ ანგარიშზე: ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...;
8. საკასაციო სასამართლომ გადანყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სარჩოს გადაანგარიშება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-424-397-2017

29 სექტემბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავიძე,
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: სარჩოს გადაანგარიშება

აღწერილობითი ნაწილი:

1. 1957 წლიდან ო-ი (შემდეგში: მოსარჩელე) მუშაობდა ყოფილი ა-ის რკინიგზის მესამე განყოფილების უფროს კ-ად (ს. ხ-თან არსებულ მ-ში) საზოგადოებაში.

2. 1960 წლის 18 აპრილს მოსარჩელემ მიიღო სამსახურებრივი ტრამვა, რის გამოც, დაკარგა პროფესიული შრომის უნარი 80%-ით. მის სასარგებლოდ ყოველთვიურად ხორციელდებოდა მიყენებული ზიანის ანაზღაურება სარჩოს გადახდით.

3. ხ-ის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილების საფუძველზე მოპასუხეს დაეკისრა აღნიშნული ვალდებულების შესრულება, კერძოდ, ზიანის ანაზღაურება მოსარჩელის სასარგებლოდ ყოველთვიურად სარჩოს გადახდით 102,33 ლარის ოდენობით.

4. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხის წინააღმდეგ და მოითხოვა სარჩოს გადაანგარიშება იმგვარად, რომ 2012 წლის დეკემბრიდან 2016 წლის აპრილამდე (ანუ სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე) აუნაზღაურდეს 19 846.68 ლარი (ფიქსირებული თანხა), ხოლო აპრილიდან ყოველთვიურად – 600 ლარი (განგრძობადი ანაზღაურება) [დაზუსტებული მოთხოვნა].

5. მოთხოვნა შესაძლოა გამომდინარეობდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ-ის) 992-ე, 408-ე, 411-ე მუხლებიდან, აგრეთვე, საქართველოს შრომის კოდექსის (შემდეგში: სშკ-ი) 44-ე მუხლიდან.

6. სარჩელის ფაქტობრივ გარემოებად მოსარჩელემ მიუთითა ამ განჩინების პპ: 1-3 დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები. იმავედროულად, აღნიშნა, რომ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით მოპასუხისათვის დაკისრებული სარჩოს

ოდენობა საჭიროებდა გადაანგარიშებას, რამეთუ 2016 წლის 23 მარტის მონაცემებით 2012 წლის დეკემბრიდან 2015 წლის დეკემბრამდე მატარებლის შემდგენლის თანამდებობა გათანაბრებულია უფროსი კ-ის თანამდებობასთან, ხოლო თანამდებობრივი სარგო შეადგენს 750 ლარს (საშემოსავლოს ჩათვლით). მიუხედავად ამისა, მოსარჩელე შრომითი ინვალიდობის თანხას იღებს თავდაპირველად დანიშნული ოდენობით, რაც შეადგენს 102,33 ლარს და არა 750 ლარის 80%-ს – 600 ლარს.

7. მოპასუხემ წარმოადგინა, როგორც მოთხოვნის შემწყვეტი ისე, მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებელი, სახელდობრ, სადავოდ გახადა მოსარჩელის შრომის უნარიანობის დაკარგვის ფაქტი, საამისოდ ვარგისი მტკიცებულების საქმეში წარმოუდგენლობის მოტივით (შესაგებელი). იმავდროულად, აღნიშნა, რომ სარჩოს განგარიშების შესახებ მოთხოვნას არ გააჩნდა სამართლებრივი საფუძველი, რაც ერთმნიშვნელოვნად მიუთითებდა სარჩელის წარუმატებლობაზე.

8. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 29 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა.

9. თბილისის საქალაქო სასამართლომ სარჩელის დაკმაყოფილებას სამართლებრივ საფუძველად დაუდო ზიანის ანაზღაურების მიზანი და სამართალურთიერთობაში მისი არსი. სასამართლოს მოსაზრებით, დაზარალებულის მაკომპენსირებელ საშუალებას წარმოადგენს ზიანის ანაზღაურება, რომლის ოდენობის დასადგენად რელევანტური იქნებოდა სსკ-ის 411-ე მუხლის დანაწესი. გარდა ამისა, საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით განსახილველი დავის გადასაწყვეტად რელევანტურ სასამართლო პრაქტიკას წარმოადგენდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება (იხ., საქმე №ას-789-746-2015), რომელშიც ჩამოყალიბებული იყო ერთიანი მიდგომა ზიანის ოდენობის განსასაზღვრად. სასამართლოს მიხედულებით, ამ კრიტერიუმს სწორედ ის შემოსავალი წარმოადგენდა, რომელსაც ორგანიზაციაში მუშაობის პერიოდში ღებულობდა დაზარალებული და მიიღებდა ზიანის მავალდებულებელი გარემოების დადგომამდე [სსკ-ის 992-ე და 408-ე მუხლები].

10. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 02 თებერვლის განჩინებით უცვლელად დარჩა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება.

11. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ამ განჩინების პპ:1-3 ში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები, ხოლო დავის სამართლებრივი მოწესრიგებისას იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში – სსკ) 992-ე, 408-ე და

411-ე მუხლებით.

12. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით მოპასუხე წარმოადგენდა მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულ პირს სსკ-ის 992-ე მუხლის სამართლებრივი საფუძველით, ხოლო ზიანის სახით ასანაზღაურებელი თანხის (სსკ-ის 408-ე მუხლი) განსაზღვრის მიზნით, სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სსკ-ის 411-ე მუხლით, ხოლო სპეციალური მონესრიგებისათვის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით, როგორცაა საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 6 თებერვლის №53 ბრძანებულება, რომლითაც ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესი“ და საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის №53 დადგენილებით განისაზღვრა შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესი. აღნიშნული წესის მე-2 მუხლის მიხედვით, „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულების მოთხოვნათა დაცვით დანიშნული „ზიანის ანაზღაურების სარჩო“ ექვემდებარება ანაზღაურებას დამსაქმებლის ან მისი უფლებამონაცვლის მიერ.

13. იმავდროულად, სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ სარჩოს გადაანგარიშების შესაძლებლობას საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის №53 დადგენილება არ ითვალისწინებდა, თუმცა, მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი შესაძლოა მოძიებულიყო ზიანის ანაზღაურების მიზანში (დაზარალებულის კომპენსირება), იმ თვალსაზრისით, რომ დაზარალებულისათვის ზიანის ანაზღაურება მის კომპენსირებაში მდგომარეობდა. მაკომპენსირებელი საშუალებას ის შემოსავალი წარმოადგენდა, რომელიც დაზარალებულს გააჩნდა ზიანის დადგომამდე ორგანიზაციაში მუშაობისას.

14. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ყოველთვიური სარჩოს სახით ზიანის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის კრიტერიუმს სწორედ ხელფასის ის ოდენობა წარმოადგენდა, რასაც დაზარალებული დაწესებულებიდან ჯანმრთელობის დაზიანებამდე იღებდა და რასაც იგი მიიღებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება [სსკ-ის 44-ე მუხლი].

15. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მოპასუხემ შეიტანა საკასაციო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადან-

ყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით:

16. კასატორის მოსაზრებით, საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის დადგენილება და სსკ-ის 408-ე მუხლი არ წარმოადგენს მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს. საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის დადგენილებით დამტკიცებული შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის პირველი მუხლის მეორე ნაწილი არეგულირებს მხოლოდ დამსაქმებლის ბრალის შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების წესს და არა დანიშნული სარჩოს გადაანგარიშებას.

17. დანიშნული სარჩოს გადაანგარიშების წესს განსაზღვრავდა „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის №48-ე ბრძანებულებით დამტკიცებული წესი. ამავე წესის მე-11 პუნქტის თანახმად, „დაზარალებულს ზიანი აუნაზღაურებოდა იმავე ან იმავე თანრიგის სპეციალობის მუშაკის ბოლო სამი თვის სრულად ნამუშევარი ფაქტობრივად მიღებული საშუალო ხელფასიდან იმ ოდენობით რამდენი პროცენტითაც დაკარგული აქვს შრომის უნარის ხარისხი“. დასახელებული წესის მე-12 პუნქტის მიხედვით, „ორგანიზაციაში შრომის ანაზღაურების ან მისი მინიმალური დონის ცვლილების შესაბამისად ხდება სასამართლოს ან დამსაქმებლის მიერ ყოველთვიური სარჩოს გადაანგარიშება, მიუხედავად იმისა, როდის მიიღო მან ეს დასახიჩრება“. ზიანის ანაზღაურების წესის მე-12 პუნქტში საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 11 სექტემბრის №443 ბრძანებულებით შევიდა ცვლილება და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „ორგანიზაციაში შრომის ანაზღაურების მინიმალური ხელფასის ცვლილების შესაბამისად ხდება სასამართლოს ან დამსაქმებლის მიერ დადგენილი ყოველთვიური სარჩოს გადაანგარიშება, მიუხედავად იმისა, როდის მიიღო დაზარალებულმა ტრავმა“. აღნიშნული პუნქტიდან გამომდინარე, 2003 წლის 11 სექტემბრიდან სარჩო შრომის ანაზღაურების ცვლილების შესაბამისად, გადაანგარიშებას აღარ ექვემდებარება, ხოლო, შემდგომ მე-12 პუნქტი წესიდან 2005 წლის 7 ნოემბრის საქართველოს პრეზიდენტის №923 ბრძანებულებით საერთოდ ამოღებულ იქნა.

18. საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის №53 მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის პირველი მუხლის პირველი ნაწილი შეეხება არა უკვე დანიშნული სარჩოს ანაზღაურებას, არამედ აღნიშ-

ნული ნორმა ვრცელდება 2007 წლის 24 მარტიდან ორგანიზაციაში დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე. ასევე, მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 1 მარტის №45 დადგენილებით გაუქმდა 2007 წლის 24 მარტის 53 დადგენილება, რომლის ჯანმრთელობისათვის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის მე-5 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ყოველთვიური სარჩო გადაანგარიშებას აღარ ექვემდებარება.

19. კასატორის მითითებით, სამოქალაქო კოდექსში, სხეულის დაზიანებით ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად წარმოშობილი ზიანის ანაზღაურებას არეგულირებს 408-ე მუხლის მეორე და არავითარ შემთხვევაში პირველი ნაწილი, რომელიც წარმოადგენს სპეციალურ დანაწესს, რომელიც, უშუალოდ შეეხება სხეულის დაზიანების ფაქტს და მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ადგენს კომპენსაციის პირველადი მდგომარეობის აღდგენის საშუალებას სარჩოს დანიშვნის გზით, რაც განპირობებულია საკითხის რეგულირების სირთულით. (სწორედ ამას გულისხმობს საქართველოს მთავრობის №45 დადგენილება, რომელიც მიუთითებს, რომ ზიანის ანაზღაურება ხდება სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში და გარდა აღნიშნულისა სხვას არაფერს გულისხმობს). 408-ე მუხლის მეორე ნაწილი პირდაპირ ადგენს, ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევაში, თუ რა მეთოდით უნდა მოხდეს ზიანის ანაზღაურება და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა და მასზე ამავე მუხლის პირველი ნაწილის გავრცელება, როგორც განსხვავებული მოწესრიგება, დაუშვებელია. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილი ზოგადად მიუთითებს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის ვალდებულებაზე, ხოლო, მისი მეორე ნაწილი გამომდინარეობს პირველი ნაწილისგან და აზუსტებს მას, ანუ ადგენს სხეულის დაზიანების შემთხვევაში მდგომარეობის აღდგენის მეთოდს. მუშაკის ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევაში პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა სარჩოს გადაანგარიშების გზით არაეფექტური და არაზუსტი გადანყვეტა პრობლემისა, აღნიშნული საკითხის სირთულიდან არსებობს გამოსავალი, რაც კანონმდებელმაც გაითვალისწინა და, მეტიც, კანონმდებელმა საერთოდ გააუქმა სარჩოს უპირობოდ გადაანგარიშების წესი, ვინაიდან, წინასწარ ზუსტად განსაზღვრა მიუღებელი შემოსავლისა მთელი ცხოვრების მანძილზე შეუძლებელია და ამასთან, საგულისხმოა, რომ მტკიცების სირთულის თვალსაზრისით მოდავე მხარეებისათვის თანაბარმნიშვნელოვანია. კანონი ლოგიკურად დარჩა საკითხის მოწესრიგების იმგვარ ფორმაზე, როგორი-

ცაა სარჩოს გამოანგარიშება და დანიშვნა იმ ოდენობიდან, რა ოდენობითაც დაზარალებული იღებდა ხელფასს ზიანის მიყენების დროს და მას ეს სარჩო ერიცხება ცხოვრების ბოლომდე. როგორც ჩანს, აღნიშნული მონესრიგების „ხარვეზიანობის“ სავარაუდოობისა და საეჭვოობის „საკომპენსაციოდ“ კანონი ითვალისწინებს სარჩოს გადახდას სტაბილურად ფიქსირებული ოდენობით მთელი ცხოვრების მანძილზე. კანონმდებელმა ამ გზით, მხარეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპის ფონზე მათი უფლებებისა და ინტერესების შეჯერების საფუძველზე მოაწესრიგა აღნიშნული საკითხი, რაც სავსებით ლოგიკურია ზოგად-სამართლებრივი თვალსაზრისით. აღნიშნულ შემთხვევაში, როგორც ერთი, ისე მეორე მხარის უფლებების მოსალოდნელი შეზღუდვა დაყვანილია მინიმალურ დონეზე და თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ, როდესაც კანონმდებლობა პირდაპირ ითვალისწინებდა სარჩოს გადაანგარიშებას, დანიშნული სარჩოს ოდენობა ხელფასის შემცირების შემთხვევაში ავტომატურად მცირდებოდა. შესაბამისად, მოსარჩელე ნომინალურ დონეზეც კი ვერ ასაბუთებს მოთხოვნას, რაც სარჩელის შინაარსს ფორმალური თვალსაზრისით შეავსებდა. აღნიშნული კი განპირობებულია სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების როგორც სათანადო კონკრეტული სამართლებრივი საფუძვლის, ისე შესაბამისი ზოგადი სამართლებრივი პრინციპის არარსებობით.

20. კასატორის მოსაზრებით, ზემოაღნიშნული გარემოებები ნათელს ხდის, რომ პირვანდელი მდგომარეობა მოსარჩელის მიერ დაყენებული მოთხოვნიდან გამომდინარე, მხოლოდ სავარაუდო ხასიათს ატარებს, ხოლო სსსკ-ის 102-ე მუხლის დანაწესი გამომდინარეობს სსსკ-ის ერთ-ერთი ფუძემდებლური პრინციპის შეჯიბრებითობის პრინციპიდან. გარდა აღნიშნულისა, მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისითაც, ზიანის მიყენებისას მხარემ უნდა დაამტკიცოს მოთხოვნის საფუძვლად მითითებული გარემოება, ანუ მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე ვალდებულია დაამტკიცოს, რომ არა უბედური შემთხვევა, ის ნამდვილად მიიღებდა შემოსავალს იმ ოდენობით, რა ოდენობითაც ის მოითხოვს, ფიქსირებული სტაბილური ხელფასის სახით მისი გაზრდის გათვალისწინებით ცხოვრების ბოლომდე, ასევე მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ მაშინ მოქმედი შრომის კოდექსის (1973 წლის 28 ივნისის) რედაქციით მიხედვით მამაკაცებისათვის საპენსიო ასაკს შეადგენდა 65 წელი. აღნიშნული განჩინება ასევე განსხვავდება უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკისაგან, კერძოდ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ აღნიშნულ კატეგორიის საქმეებზე შეიცვალა მანამდე არსებული სასამართლო პრაქტი-

კა (საქმე №ას-789-746-2015, №ას-1220-1145-2015) და თანხის გადახდის ვალდებულება გაზრდილი ხელფასის შესაბამისად განისაზღვრა 65 წლამდე.

21. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 11 აპრილის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო 2017 წლის 23 ივნისის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის საპროცესო სამართლებრივი საფუძვლით [დისპოზიციას: საკასაციო საჩივარი ქონებრივ ან არაქონებრივ დავაზე დასაშვებია, თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან].

სამოტივაციო ნაწილი:

22. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთება, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

23. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც კასატორს სადავოდ არ გაუხდია (იხ., ამ განჩინების პპ: 1-3). საკასაციო საჩივრით სადავოა დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება, კონკრეტულად კი, საკასაციო საჩივრის პერსპექტივა მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის არარსებობას ემყარება, რაც იმავედროულად, სარჩელის დაკმაყოფილების განმაპირობებელ საფუძველად გვევლინება.

22. საკასაციო სასამართლო განსახილველი დავის სამართლებრივი შეფასებისას ყურადღებას მიაქცევს დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას, რომ ყოფილმა ა-ის რკინიგზის მესამე განყოფილების უფროსმა კ-მა სანარმოო ტრავმა მიიღო 1960 წელს, რის გამოც, დაკარგა პროფესიული შრომის უნარი 80%-ით. შრომის უნარის დაკარგვის გამო, მას დაენიშნა სარჩო და მის სასარგებლოდ ყოველთვიურად ხორციელდებოდა მიყენებული ზიანის ანაზღაურება

სარჩოს გადახდით. უკანასკნელ პერიოდში, მოსარჩელეს ზიანი უნაზღაურდებოდა ყოველთვიურად სარჩოს – 102,33 ლარის გადახდით [ხ-ის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილება]. განსახილველი დავის საგანს კი, სარჩოს იმგვარად გადაანგარიშება წარმოადგენს, რომ მოსარჩელეს 2012 წლის დეკემბრიდან 2016 წლის აპრილამდე (ანუ სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე) აუნაზღაურდეს 19 846.68 ლარი (ფიქსირებული თანხა), ხოლო აპრილიდან ყოველთვიურად – 600 ლარი (განგრძობადი ანაზღაურება).

23. სარჩოს გადაანგარიშების მოთხოვნით აღძრული სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძვლად სააპელაციო სასამართლო იშველიებს ზოგადად დელიქტის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნებსა და ზიანის ანაზღაურების არსს, რაც მისი მიხედვლებით მიყენებული ზიანის კომპენსირებაში მდგომარეობს. ასეთ დროს კი, მხედველობაშია მისაღები ის მიუღებელი შემოსავალი რომელიც დაზარალებულის მიმართ არ დადგებოდა, რომ არა განხორციელებული დელიქტი [სსკ-ის 992-ე, 408-ე და 411-ე მუხლები]. სარჩოს გადაანგარიშების პრაქტიკულ საფუძვლად სააპელაციო პალატა მიუთითებს სასამართლო პრაქტიკაზეც (იხ., სუსგ №ას-789-746-2015, 22.02.2016წ.), თუმცა, საგულისხმოა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში ასახული მსჯელობა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებაში განჩინების წინააღმდეგობრივია. პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოხმობილი გადაწყვეტილება შეეხება მარჩენალდაკარგული პირისათვის სარჩოს გადაანგარიშებას, რომელშიც (იხ., სუსგ №ას-789-746-2015, 22.02.2016წ.) საკასაციო პალატამ განმარტა: „ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია მართებულად შეფასდეს, თუ როდემდე იქნებოდა ვალდებული მარჩენალი, ერჩინა მის კმაყოფაზე მყოფი პირები, რომ არ დამდგარიყო ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. ...პრეზუმირებულია, რომ მემანქანე იმუშავებდა საპენსიო ასაკამდე, რომელიც იმხანად მოქმედი შრომის კოდექსის (1973 წლის 28 ივნისის რედაქციით) მიხედვით, მამაკაცებისათვის 65 წელს შეადგენდა“.

24. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს კვლევისა და შეფასების საგანია სსკ-ის 992-ე, 408-ე და 411-ე მუხლების საფუძველზე, მოსარჩელის სასარგებლოდ, მოპასუხისათვის გაზრდილი (გადაანგარიშებული) სარჩოს დაკისრების მართლზომიერება.

25. ვინაიდან, დელიქტი განხორციელებულია და ვალდებულება მოპასუხეს აღიარებული აქვს, რაც გამოიხატება განვლილ პერიოდზე სარჩოს გადახდით (იხ., ამ განჩინების პ-7), საკასაციო პა-

ლატა იმსჯელებს მხოლოდ ვალდებულების მოცულობაზე – მოპასუხისათვის გაზრდილი (გადაანგარიშებული) სარჩოს დაკისრების მართლზომიერებაზე.

26. საკასაციო პალატა მოიხმობს სსკ-ის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიციას [„იმ პირმა, რომელიც ვალდებულია ანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულე-ბელი გარემოება“] და აღნიშნავს, რომ ნორმა განცდილი ქონებრივი დანაკლისის ანაზღაურების ვალდებულებას წარმოუშობს ვალდებულ პირს. ნორმის ამგვარი ფორმულირების მიზანია დაზარალებულის მდგომარეობის აღდგენა იმგვარად, რომ მივიღოთ ზიანის მიყენებამდე არსებული მდგომარეობა. თეორიულად, განხორციელდეს ე.წ რესტიტუცია, რაც პრაქტიკულად დაზარალებულის იმ პირობებში ჩაყენებას გულისხმობს, რომელიც ზიანის მავალდებულებელი გარემოების არარსებობის პირობებში იქნებოდა სახეზე.

27. სადავო შემთხვევაშიც, სარჩოს გადაანგარიშების მიზანსაც დაზარალებულისათვის იმ მატერიალური დანაკლისის შევსება წარმოადგენს, რასაც დაზარალებული მიიღებდა, სარჩოს მიღების საფუძვლზე – დაზიანების (უბედური შემთხვევის) ფაქტის არარსებობისას, რაც იმას ნიშნავს, რომ მხედველობაშია მისაღები ზოგადი კრიტერიუმი დაზარალებულის მხრიდან (დელიქტის წარმოუშობლობის პირობებში) აქტიური შრომისუნარიანობის შესახებ. სსკ-ის 408-ე მუხლის მე-2 ნაწილიც იმაზე მიუთითებს, რომ ზიანის ანაზღაურების ოდენობის დასადგენად მნიშვნელოვანია შეფასდეს, თუ როდემდეა ვალდებული საწარმო გადაუხადოს დაზარალებულს კომპენსაცია [დისპოზიცია: „თუ სხეულის დაზიანებით ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად დაზარალებულს წაერთვა შრომის უნარი ან შეუმცირდა იგი, ანდა იზრდება მისი მოთხოვნილებები, დაზარალებულს უნდა აუნაზღაურდეს ზიანი ყოველთვიური სარჩოს გადახდით“].

28. ამდენად, შეფასებას საჭიროებს გარემოება, რომელიც პირის დასაქმების პერიოდს უკავშირდება. დიდი ალბათობით პირი იმუშავებდა თავისი პროფესიით და მიიღებდა იმ შელავათებს და უპირატესობას, რასაც ანალოგიურ, თანაბარ პირობებში მყოფი მუშაკი. სხვა სამოქალაქო საქმეშიც, რომელშიც აგრეთვე შესაფასებელი იყო სარჩოს გადაანგარიშების წინაპირობები, საკასაციო პალატამ გამოიკვლია წარმოშობილი იყო თუ არა დაზარალებულისათვის მოქმედი ელმავლის მემანქანის თანაშემწის ხელფასის მიხედვით, ზიანის ასანაზღაურებლად თანხის გადაანგარიშების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები (იხ., სუსგ №ას-1220-

1145-2015, 3 ივნისი, 2016 წელი). ამის შესაბამისად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია მართებულად შეფასდეს, თუ როდემდე იქნებოდა ვალდებული ზიანის მიმყენებელი გადაეხადა კომპენსაცია დაზარალებულისათვის (იხ. სუსგ №ას-789-746-2015, 22.01.2016წ.). იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელე ამჟამად, 88 წლისაა (იხ., პირადობის მოწმობა), პრეზუმირებულია, რომ იგი იმუშავებდა საპენსიო ასაკამდე, რომელიც იმხანად მოქმედი შრომის კოდექსის (1973 წლის 28 ივნისის რედაქციით) მიხედვით, მამაკაცებისათვის 65 წელს შეადგენდა. შესაბამისად, სადავო პერიოდში 2012-16 წლებში და 2016 წლიდან დღემდე (დაზუსტებული მოთხოვნა) მოსარჩელე ვერ შეასრულებდა სანარმოში შრომით მოვალეობას და მასზე ვერც დასახელებულ პერიოდში განხორციელებული სახელფასო ცვლილებები გავრცელდებოდა.

29. საკასაციო პალატის მსჯელობა შესაბამისობაშია ამჟამინდელ სასამართლო პრაქტიკასთან იხ., სუსგ №ას-1180-1141-2016, 31.03.2017წ.; №ას-637-608-2016, 23.09.2016წ.; №ას-1220-1145-2015, 03.06.2016წ.; №ას-1216-1141-2015 03.06.2016წ.; №ას-742-710-2016, 25.11.2016წ..

30. ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სსკ-ის 992-ე, 408-ე და 411-ე მუხლებზე მითითებით და საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის არასწორი გამოყენებით საქმეზე უმართებულო გადაწყვეტილება მიიღო, რაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია.

31. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, აკმაყოფილებს საკასაციო პრეტენზიას, ხოლო მოსარჩელის მოთხოვნას სარჩოს იმგვარად გადაანგარიშების თაობაზე, რომ 2012 წლის დეკემბრიდან 2016 წლის აპრილამდე (ანუ სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე) მას აუნაზღაურდეს 19 846.68 ლარი (ფიქსირებული თანხა), ხოლო აპრილიდან ყოველთვიურად – 600 ლარი (განგრძობადი ანაზღაურება), უარყოფს.

32. სსკ-ის 53-ე მუხლის პირველ, მეორე, მესამე ნაწილებზე და 49-ე მუხლის მე-4 ნაწილზე მითითებით, საკასაციო სასამართლო მოსარჩელეს ათავისუფლებს სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან მოსარჩელეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. სს „ს-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 02 თებერვლის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ო-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. მოსარჩელე გათავისუფლდეს სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან;
5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურება

გადანყვიბილება საქართველოს სახელით

№ას-522-499-2016

5 აპრილი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: გარემოსათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები:

1.1. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს გურიის სატყეო სამსახურმა (შემდგომში – მოსარჩელე, მონინალმდევე მხარე ან სააგენტო) სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „ს-ის“ (შემდგომში – მოპასუხე, აპელანტი, კასატორი ან კომპანია) მიმართ, გარემოსათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით, მოპასუხისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 7 500 ლარის დაკისრების მოთხოვნით.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: 2015 წლის 1 მაისს გურიის სატყეო სამსახურის ოზურგეთის სატყეო უბ-

ნის უფროსმა მოპასუხე კომპანიის მიერ სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე მიწის ნაყოფიერი ფენის მოხსნის ფაქტზე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 51²-ე მუხლის საფუძველზე შეადგინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი. მასალები გადაეგზავნა შსს ოზურგეთის რაიონულ სამმართველოს, ვინაიდან ზიანი შეადგენდა 7 500 ლარს. შსს-ს ოზურგეთის რაიონულმა სამმართველომ მასალები დაუბრუნა მოსარჩელეს ადმინისტრაციული წარმოებისათვის, რის შემდეგაც ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაიგზავნა. ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 15 ივლისის დადგენილებით შეწყდა საქმის წარმოება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 232-ე მუხლის მე-7 ნაწილის საფუძველზე, ამავე კოდექსის 38-ე მუხლით დადგენილი ვადის გასვლის გამო.

2. მოპასუხის პოზიცია:

მოთხოვნის გამომრიცხველი/განხორციელების შემაფერხებელი შესაგებლით მოპასუხემ არ ცნო სარჩელი. მოპასუხეს სადავოდ არ გაუხდია სარჩელში მითთებული ფაქტები ადმინისტრაციული წარმოებისა და შემდგომ სასამართლოს მიერ საქმის წარმოების შეწყვეტასთან დაკავშირებით, არამედ მან უარყო ზიანის მიყენების ფაქტი და განმარტა, რომ განსაზღვრულ ვადაში კომპანია ასრულებდა სამუშაოს, რომელსაც ზედამხედველობდა გარემოს დაცვის სამსახური. სამუშაოს შესრულებისას არ დაფიქსირებულა გარემოსათვის ზიანის მიყენების ფაქტი. სარჩელს არ ერთვის მტკიცებულება, რომლითაც განისაზღვრებოდა ზიანის დადგომის მიახლოებითი დრო მაინც. ადმინისტრაციული სამართალწარმოების ეტაპზე მოსარჩელე კომპანიისათვის სახდელის დადებასთან ერთად მოითხოვდა ზიანის ანაზღაურებასაც 7 500 ლარის ოდენობით, თუმცა სარჩელზე დართული განჩინებით დგინდება, რომ მოსარჩელეს უარი ეთქვა მოთხოვნაზე. საქმის განხილვისას სააგენტომ განმარტა, რომ მიწის ჰუმუსოვანი ფენა მოპასუხემ აიღო იმ ადგილას, სადაც აშენდა კორპუსი, თუმცა ამ ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულება არ წარმოუდგენია. სადავო კორპუსის მშენებლობა სხვა კომპანიის მიერ არის დაწყებული, მოპასუხემ გააგრძელა იგი და დაასრულა მესამე კომპანიამ, მოპასუხე სამუშაოებს დამტკიცებული პროექტის შესაბამისად აწარმოებდა. დღეისათვის შენობა ჩაბარებულია და რაიმე პრეტენზია პროექტის გადაცდომასთან დაკავშირებით არავის გამოუთქვამს.

3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 25 ნოემბრის

გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა ზიანის – 7 500 ლარის ანაზღაურება.

4. აპელანტის მოთხოვნა:

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, მოითხოვა მისი, ასევე, სარჩელის განუხილველად დატოვებაზე უარის თქმის შესახებ ამავე სასამართლოს 2015 წლის 28 სექტემბრის საოქმო განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის უარყოფა.

5. გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 21 აპრილის განჩინებით, სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო, გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

6. კასატორის მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა აპლანტმა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით, სარჩელის უარყოფა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. გასაჩივრებული განჩინების გაუქმების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

1.1. საკასაციო განაცხადის მოცულობა და საკასაციო განხილვის ფარგლები (კასატორის პრეტენზიები):

საკასაციო საჩივრის ფარგლებში პალატის შეფასების საგანს წარმოადგენს კანონისმიერი ვალდებულების, კერძოდ – დელიქტური ქმედებიდან გამომდინარე მოთხოვნის წინაპირობების არსებობა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე (საკასაციო სასამართლო ამონმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია, თავისი ინიციატივით შეამონმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა), გასაჩივრებული განჩინების კანონიერებას პალატა სწორედ კასატორის პრეტენზიის ფარგლებში შეამონმებს. საკასაციო საჩივრის შესწავლით ირკვევა, რომ: კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს ზიანის ანაზღაურების დაკისრების თაობაზე და მიიჩნ-

ნეეს, რომ სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მოთხოვნები. სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის წინაპირობების დადგენის მიზნით, სააპელაციო პალატა დაეყრდნო სამართალდარღვევის ოქმს, რომელიც მოსარჩელის მიერ ცალმხრივად შედგენილი დოკუმენტია და ამ ოქმის საფუძველზე სასამართლოს მოპასუხისათვის სანქცია არ დაუკისრებია ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, შესაბამისად, საქმეში არ მოიპოვება მტკიცებულება, რომელიც მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო ბრალულ ქმედებას, ამ ქმედების შედეგად სახელმწიფოსათვის ზიანის მიყენებას და ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივ კავშირს დაადასტურებდა, ასევე, საქმეში არ მოიპოვება ზიანის ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულებები. გარდა ამისა, სასამართლომ იხელმძღვანელა ცალმხრივად შედგენილი აზომებითი ნახაზებითა და სპეციალისტის მიერ მიცემული განმარტებით, რომელთა გაზიარების შემთხვევაშიც არ დგინდება დაზიანებული მინის ადგილმდებარეობა, მისი ზუსტი მოცულობა და მიყენებული ზიანის ოდენობა. სპეციალისტის განმარტებით, გამოანგარიშებული თანხა წარმოადგენს სავარაუდო ზიანს. გადანყვეტილების მიღებისას არ იქნა გათვალისწინებული ის გარემოება, რომ მშენებლობა მიმდინარეობდა დამტკიცებული პროექტის შესაბამისად და არ არსებობდა სამოქალაქო კოდექსის 992-ე და 412-ე მუხლებით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების წინაპირობები.

1.2. საქმის გადანყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ქვემდგომი სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სავალდებულობა წინამდებარე გადანყვეტილების მიმართ:

საკასაციო სასამართლოს წინამდებარე გადანყვეტილების მიმართ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული (სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება)) სავალდებულო ძალა გააჩნიათ სააპელაციო პალატის მიერ დადგენილ იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომელთა წინააღმდეგაც კასატორს არ მიუთითებია პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც შესაძლოა, დაშვებული იყო საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება, კერძოდ:

1.2.1. 2011 წლის 31 ოქტომბერს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურისა და დაგეგმარების სამსახურმა გას-

ცა №61 მშენებლობის სანებართვო მონმოზა შპს „ბ-ის“ სახელზე;

1.2.2. სამშენებლო სამუშაოები შეასრულა მოპასუხემ, კერძოდ, 2011-2012 წლებში მან 3 ჰესის სამშენებლო სამუშაოები აწარმოა;

1.2.3. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს №002545 ოქმის თანახმად, მოპასუხე მიჩნეულ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად. ოქმში აღნიშნულია, რომ: „გურიის სატყეო სამსახურის ოზურგეთის სატყეო უბნის მთისპირის სატყეოს №3 და №7 კვარტალში, ზახვი 3-ის მშენებლობისათვის ტყის ფონდის მიწებზე უკანონოდ მითვისებული 500 კვ.მ ფართობზე მოხსნილი იქნა ჰუმუსოვანი ფენა. ფენა სისქით 5სმ (საშუალოდ) და მდინარის საშუალებით მოხდა გატანა (რელიეფიდან გამომდინარე), რაც დაკავშირებული არ იყო დადგენილი წესით ნებადართულ ღონისძიებებთან“;

1.2.4. აღნიშნული ოქმის საფუძველზე, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 15 ივლისის დადგენილებით, კომპანიას არ დაედო სახდელი ხანდაზმულობის გამო და შეწყდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება;

1.2.5. ტყის ფონდში ნიადაგის ნაყოფიერი ფენის თვითნებურად მოხსნის შედეგად გარემოსათვის მიყენებული ზიანის გაანგარიშების უწყისი შეიცავს შემდეგ მითითებებს: სატყეო უბანი – ოზურგეთი; სატყეო – მთისპირი; კვარტალი №-3; 7; გარემოზე მიყენებული ზიანის ფართობი მ²-ში – 500; ჰუმუსოვანი ფენის საშუალო სისქე – 0.05; თვითნებურად მოხსნილი ჰუმუსოვანი ფენის მოცულობა სულ მ³ – 25; 1 კბ.მ-ზე თვითნებურად მოხსნილი ჰუმუსოვანი ფენის ღირებულება – 300 ლარი; სულ გარემოზე მიყენებული ზიანი – 7 500 ლარი; უწყისზე შენიშვნა შემდეგი შინაარსისაა: 1მ²-ზე თვითნებურად მოხსნილია 0.05მ³ ჰუმუსოვანი ფენა; 500მ²-ზე იქნება 25მ³; 25მ³ X 300ლ=7 500 ლარს;

1.2.6. სასამართლო სდომაზე დაკითხული სპეციალისტის განმარტებით, „ჰ-იამ“, ტყის ფონდს მოსთხოვა სამუშაოების შესრულებისას აუთვისებელი ფართობის უკან დაბრუნება. მითითებული მიწის ნაკვეთი შესწავლილ იქნა ადგილზე და დარღვევები დაფიქსირდა. გაიზომა ჰუმუსოვანი ფენის სისქე, ერთ კვადრატულ მეტრზე მოხსნილი ფენიდან გაანგარიშებულ იქნა რამდენ კუბს იძლეოდა ის. მოხსნილი ფენა იყო 5 სანტიმეტრის სისქის, ის ერთობლიობაში იძლეოდა 25 კუბურ მეტრს. ერთი კუბური მეტრის ღირებულება შეადგენს 300 ლარს, ნამრავლით – 7 500 ლარს. გაანგარიშება განხორციელდა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №54 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტით, გარემოსათვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის (გამოანგარიშების) მეთოდ-

დიკის მიხედვით. სადავო ტერიტორია არხის პირას მდებარეობს, სიგრძივად მიჰყვება მას, წყალი შედის წნევით. სამუშაოების შემსრულებელ ორგანიზაციას მიწაში უნდა ჩაეყარა მილები. 500მ² ფართობზე მილები ჩაყარეს ოდნავ აცდენით (რაზედაც აქვთ პროექტის შესწორებაც), რაც შემდგომ სხვა ადგილას განახორციელეს, ამით დაზიანდა მიწის ჰუმუსოვანი ფენა, მიახლოებით 500 კვადრატულ მეტრზე. დაზიანებული ნაკვეთის რელიეფი იყო კლდოვანი, კლდეზე ხალიჩასავით დევს 5სმ-იანი სისქის ნიადაგი, რომელიც არის ჩამოთხრილი. დაზიანებული ფართობი შეადგენდა 25 კუბურ მეტრს, ერთ კუბურ მეტრზე ზიანის ოდენობა შეადგენს 300 ლარს, აღნიშნული გაანგარიშებით კი, საბოლოოდ სახელმწიფოსათვის მიყენებული ზიანი განისაზღვრა 7 500 ლარით. ოზურგეთის უბანში შედის 5 სატყეო, ერთ-ერთი უბანია მთისპირი, უბანი დაყოფილია კვარტლებად, ზიანი დაფიქსირდა მხოლოდ მე-3 და მე-7 კვარტალში. დაწყებული იყო მესამე კვარტალში, რომელიც გადადიოდა მე-7 კვარტალში.

1.3. საკასაციო სასამართლოს შეფასებები და სამართლებრივი დასკვნები:

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინება მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმათა დარღვევითაა გამოტანილი, შესაბამისად, იურიდიულად არ არის დასაბუთებული. ხსენებული გარემოებები კი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის, მე-3 ნაწილისა და 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, მისი გაუქმების საფუძველია.

1.3.1. როგორც უკვე ითქვა, სასარჩელო მოთხოვნა კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობიდან, კერძოდ – დელიქტიდან გამომდინარეობს და მოსარჩელე მოპასუხეს ედავება გარემოსათვის მიყენებული ზიანის ფულად ანაზღაურებას, შესაბამისად, მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმები სამოქალაქო კოდექსის 992-ე, 409-ე და 412-ე მუხლებია. დასახელებულ ნორმათა დანაწესებიდან გამომდინარე, პირისათვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაკისრება დაიშვება, თუ დადგინდება, რომ მისი ქმედება არის მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული, ამ ქმედებას შედეგად მოჰყვა ზიანი და არსებობს მიზეზობრივი კავშირი დამდგარ ზიანსა და პირის ქმედებას შორის. გარდა ამისა, როდესაც ზიანის ფულადი ანაზღაურება წარმოადგენს დავის საგანს, თავად ზიანის ფაქტიდან გამომდინარე, უნდა გამოირიცხებოდეს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის შესაძლებლობა (408.1), ამასთან, ზიანი წინასწარ სავარაუდო უნდა იყოს ნებისმიერი საშუალო წინდახედული ადამიანისათვის.

1.3.2. სარჩელსა და შესაგებელში გამოთქმული პრეტენზიების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო ასკვნის, რომ მითითების დონეზე სარჩელი ფორმალურად გამართულია, მასში გადმოცემულია დელიქტური ქმედების ფაქტობრივი აღწერილობა (სკის 992-ე მუხლი), მოპასუხე კი, შესაგებლით არ ეთანხმება სარჩელში გადმოცემულ ფაქტებს და კვალიფიციურ შედავებას სთავაზობს სასამართლოს, კერძოდ, აღნიშნავს, რომ მშენებლობა მან სხვა კომპანიებთან აწარმოა, პროცესი ადმინისტრაციული ორგანოს ნებართვის ფარგლებში მიმდინარეობდა და მას პროექტი არ დაურღვევია, რაც შეეხება ზიანის მიყენების ფაქტს, მის წინააღმდეგ შედგენილ სამართალდარღვევის ოქმზე საქმის წარმოება შეწყვეტილია ხანდაზმულობის გამო, ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ დელიქტური ვალდებულების ყველა წინაპირობა მტკიცების საგანში შემავალი გარემოებაა.

1.3.3. დელიქტური ვალდებულებიდან გამომდინარე მტკიცების ტვირთი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, ნაწილდება შემდეგნაირად: მოთხოვნის განმაპირობებელი წინაპირობების მტკიცება, მით უფრო, როდესაც ეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევიდან გამომდინარე ქმედებაა, ეკისრება მოსარჩელეს და მხოლოდ მას შემდეგ, რაც დაზარალებული თავა გაართმევს კანონით დაკისრებულ მტკიცების სტანდარტს, ზიანის მიმყენებელს ევალება მოთხოვნის გამომრიცხველი წინაპირობების დადასტურება (მაგ: მისი ქმედება წარმოადგენდა მართლზომიერს).

1.3.4. მოცემულ შემთხვევაში მოპასუხის მხრიდან მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენას მოსარჩელე ამყარებს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს №002545 სამართალდარღვევის ოქმზე, ხოლო, ზიანის ოდენობის განსასაზღვრად იშველიებს ზიანის გაანგარიშების უწყისს. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოპასუხის შედავებიდან გამომდინარე, მიწის ჰუმუსოვანი ფენის მოხსნისა და ამ გზით გარემოსათვის ზიანის მიყენება არ შეიძლება დადგინდეს სამართალდარღვევის ოქმზე დაყრდნობით, რადგანაც საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 208-ე და 239-ე მუხლების თანახმად, ამავე კოდექსის 51²-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას (მიწის ნაყოფიერი ფენის მოხსნა) შედგენილი სამართალდარღვევის ოქმის კანონიერება სასამართლოს კონტროლს ექვემდებარება. საქმეში წარმოდგენილი ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 15 ივლისის დადგენილებით ირკვევა, რომ ქმედების ჩადენიდან გასული იყო ადმინისტრაციული სახდელის დადების 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადა და სასამართლომ გარემოებათა ყოველგვარი

შეფასება-დადგენის გარეშე შეწყვიტა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე წარმოება, შესაბამისად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სასამართლოს ხსენებული დადგენილება საფუძველს აცლის სამართალდარღვევის ოქმში გადმოცემულ გარემოებებს, სხვა რაიმე პირდაპირი მტკიცებულება იმისა, რომ გარემოს ზიანი მიაყენა უშუალოდ მოპასუხემ, მოსარჩელეს არ წარმოუდგენია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი, ამგვარად ვერ იქნება განხილული ვერც ზიანის გაანგარიშების უწყისი და ვერც სააპელაციო სასამართლოს მიერ დაკითხული სპეციალისტის განმარტება, რომლებიც დამდგარი შედეგის მხოლოდ კონსტანტაციაა და არ ასახავს უტყუარ ინფორმაციას ქმედების მოპასუხის მიერ განხორციელებასა და ამ ქმედებასა და გარემოსათვის მიყენებულ ზიანს შორის მიზეზობრივ კავშირზე.

1.3.5. საკასაციო პალატა უარყოფს კასატორის პრეტენზიას სათანადო მოსარჩელის საკითხზე და ყურადღებას გაამახვილებს სამართალდარღვევის ოქმის გამომცემ სუბიექტზე. მოცემულ შემთხვევაში, უდავოა, რომ მიწის ჰუმუსოვანი ფენის დაზიანების ფაქტზე სამართალდარღვევის ოქმი გამოსცა სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ტერიტორიულმა ერთეულმა – გურიის სატყეო სამსახურმა. ამ უკანასკნელმა მიმართა სასამართლოს კომპანიის დაჯარიმებისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნითაც, თუმცა, როგორც ითქვა, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 15 ივლისის დადგენილებით, ხანდაზმულობის გამო, შეწყდა საქმის წარმოება, თეორიული თვალსაზრისით, სსიპ-ის ტერიტორიულ სამსახურს, როგორც სახელმწიფოს წარმომადგენელს, არ დაუკარგავს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-40 მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული უფლება, გარემოსათვის მიყენებული ზიანის სამოქალაქო სამართალწარმოებით მოთხოვნის თაობაზე, შესაბამისად, ქვემდგომ სასამართლოებს არ დაურღვევიათ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 84-ე მუხლის მოთხოვნები.

1.4. ახალი გადაწყვეტილების მიღების პროცესუალურ-სამართლებრივი დასაბუთება:

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის, მე-3 ნაწილისა და 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე, აუქმებს გასაჩივრებულ განჩინებას და რადგანაც არ იკვეთება საქმის ქვემდგომი სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების წინაპირობები, ამავე კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად (საკასაციო სასამართლო თვითონ მი-

იღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები), თავად იღებს ახალ გადაწყვეტილებას: ვინაიდან მოსარჩელემ სათანადო მტკიცებულებების წარდგენით ვერ დაამტკიცა მოპასუხის მიერ გარემოსათვის ზიანის მიყენების ფაქტი, მისი სარჩელი დელიქტური ვალდებულებიდან გამომდინარე თანხის დაკისრების თაობაზე უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

2. საპროცესო უფლებამონაცვლეობა:

2.1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სადავო ან სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი ურთიერთობიდან ერთ-ერთი მხარის გასვლის შემთხვევაში (მოქალაქის გარდაცვალება, იურიდიული პირის რეორგანიზაცია, მოთხოვნის დათმობა, ვალის გადაცემა და სხვა) სასამართლო დაუშვებს ამ მხარის შეცვლას მისი უფლებამონაცვლით. უფლებამონაცვლეობა შესაძლებელია პროცესის ყოველ სტადიაზე.

2.2. მოცემულ შემთხვევაში, სარჩელი სასამართლოში აღძრულია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს გურიის სატყეო სამსახურის მიერ. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში (მუხლი 14.) განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე, ახლებურად განისაზღვრა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულება, კერძოდ, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 6 მარტის №112 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირია ეროვნული სატყეო სააგენტო, რაც წინამდებარე დავაში მისი უფლებამონაცვლედ დაშვების საფუძველია.

3. პროცესის ხარჯები:

3.1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასა-

ციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

3.2. ვინაიდან საკასაციო პალატის წინამდებარე გადაწყვეტილებით სრულად იქნა უარყოფილი სარჩელი, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს კასატორის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ განეული პროცესის ხარჯის – 675 ლარის გადახდა. რაც შეეხება სარჩელზე გადასახდელ სახელმწიფო ბაჟს, ვინაიდან რაიონულმა სასამართლომ მოსარჩელე გაათავისუფლა ამ ვალდებულებისაგან, ხსენებულ ხარჯს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის შესაბამისად, გაიღებს სახელმწიფო.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 55-ე, 92-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს გურიის სატყეო სამსახურის უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო.

2. შპს „ს-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

3. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 21 აპრილის განჩინება და მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება:

3.1. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს გურიის სატყეო სამსახურის უფლებამონაცვლე გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს სარჩელი შპს „ს-ის“ მიმართ გარემოსათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს.

4. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს გურიის სატყეო სამსახურის უფლებამონაცვლე გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს (ს/კ 204578581) შპს „ს-ის“ (ს/კ 4-...) სასარგებლოდ პროცესის ხარჯის სახით დაეკისროს 675 ლარის გადახდა.

5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1426-2018

11 აპრილი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა
შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავიძე,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

სასარჩელო მოთხოვნა:

1. თ. თემ (შემდგომში – მოსარჩელე) სარჩელი აღძრა სასამართლოში გ. ჯ-ის (შემდგომში – მოპასუხე) მიმართ დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზიანის – 5800 ლარის ანაზღაურების შესახებ.

სარჩელის საფუძვლები:

2. მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხის მიმართ დამდგარი გამამტყუნებელი განაჩენით, იგი ცნობილი იქნა დამნაშავედ სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის. განაჩენის აღწერილობით ნაწილში მითითებულია, რომ მოპასუხე დაეუფლა მოსარჩელის კუთვნილ 5800 ლარის ღირებულების ქონებას. სწორედ ეს თანხა წარმოადგენს მოსარჩელისთვის მიყენებულ ზიანს და მოპასუხემ ამ ოდენობით უნდა აანაზღაუროს იგი.

მოპასუხის პოზიცია:

3. მოპასუხემ სარჩელი ნაწილობრივ ცნო და მიუთითა, რომ ნივთების ნაწილი ამოღებულია და ინახება პოლიციაში, დარჩენილი ნივთების ღირებულება კი შეადგენს 4600 ლარს. სასამართლო სხდომაზე მოპასუხემ წარმოადგინა აუდიტის დასკვნა და დააზუსტა შესაგებელში მის მიერ მითითებული ნივთების ღირებულება – 2440 ლარი.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

4. სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 2440 ლარის ანაზღა-

ურება, რაც სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 05 ივლისის განჩინებით მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

6. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია საქმის გადანყევტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

7. მოსარჩელეს მოპასუხის განზრახვი, ბრალეული და მართლსაწინააღმდეგო ქმედებით მიადგა ზიანი.

8. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 30 მაისის განაჩენით მოპასუხე ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე. ამავე განაჩენით საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ დადგინდა მუყაოს ყუთის, სალომბარდე ჟურნალის, საკერავი მანქანის, ხორცის გასატარებელი მანქანის, ხმის გამაძლიერებელი ტექნიკის კანონიერი მფლობელისთვის დაბრუნება.

9. განაჩენით დადგენილია, რომ 2015 წლის დეკემბრიდან 2016 წლის იანვრამდე პერიოდში მოპასუხე ნაქირავებ ბინაში, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაეუფლა მოსარჩელის კუთვნილ 5800 ლარის ღირებულების ნივთებს, კერძოდ, მონიტორს, ორ ცალ საკერავ მანქანას, ორ ცალ გიტარას, ხმის გამაძლიერებელ კომპლექტს, ერთ ცალ დივიდის, სამუშაო იარაღების კომპლექტს, ე.წ. მიქსერს, ხორცის საკეპ მანქანას, პროცესორის ვიდეოკარტას და სხვადასხვა დეტალებს, რომლებიც მიისაკუთრა.

10. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომ – სსსკ) 105-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ცალკეული დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის გამართივებული წესით განხილვის მარეგულირებელი ნორმებით (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXXIV³ თავი) მონესრიგებულია როგორც წმინდა პროცესუალური საკითხები (დასაშვებობა, განსჯადობა და ა.შ.), ასევე მტკიცებულებათა დასაშვებობასთან დაკავშირებული საკითხები. მაგალითად: 309²⁰-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის განხილვისას სასამართლო დადგენილად მიიჩნევს ზიანის მიყენების ფაქტს, რომელიც დასტურდება კანონიერ ძალაში შე-

სული სასამართლო განაჩენით ან ადმინისტრაციული სამართალ-დარღვევის საქმის განმხილველი ორგანოს/თანამდებობის პირის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. ამდენად, ზიანის მიყენების ფაქტის დასადასტურებლად კანონმდებელი დასაშვებ მტკიცებულებად მიიჩნევს კანონიერ ძალაში შესულ სასამართლოს განაჩენს.

11. განზრახი, ბრალეული და მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად მოპასუხის მიერ მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანის ოდენობა შეადგენს 2440 ლარს.

12. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ ცალკეული დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის გამართი-ვებული წესით განხილვის მარეგულირებელი ნორმებიდან კიდევ ერთი ნორმა, 309¹⁷-ე მუხლის მე-2 ნაწილი ეხება მტკიცებულებათა დასაშვებობას. აღნიშნული ნორმის შესაბამისად, თუ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენი ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი ორგანოს/თანამდებობის პირის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ შეიცავს მიყენებული ზიანის გაანგარიშებას, ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელს შეიძლება ასევე დაერთოს უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ შედგენილი დოკუმენტი, რომელშიც განსაზღვრული იქნება მიყენებული ზიანის ოდენობა. მოცემული ნორმის სიტყვა-სიტყვითი განმარტებიდან ცალსახად დგინდება, რომ დელიქტით გამოწვეული ზიანის ოდენობის დასადგენად დასაშვებ მტკიცებულებას კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენი, ამასთან, შესაძლებელია იგი საკმარისი აღმოჩნდეს, თუ განაჩენი შეიცავს შესაბამის გაანგარიშებას. ხოლო თუ განაჩენი ზოგადად ადგენს ზიანის მიყენების ფაქტს და არ შეიცავს ოდენობის დასაბუთებას, სარჩელის დასაკმაყოფილებლად მოსარჩელეს დასჭირდება დამატებითი მტკიცებულების წარდგენა.

13. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ საქმეში წარმოდგენილი განაჩენი განიხილება, როგორც კონკრეტული გარემოებების ამსახველი წერილობითი მტკიცებულება და მასში ასახულ დასკვნებსა თუ დადგენილ გარემოებებს სსსკ-ის 106-ე მუხლის შესაბამისად, დავის გადაწყვეტისათვის პრეიუდიციული ძალა არ ენიჭება, თუმცა, მიუხედავად მტკიცებულების არაპრეიუდიციული მნიშვნელობისა, იგი ერთ-ერთ მტკიცებულებად განიხილება და სასამართლო იმ შემთხვევაში ეყრდნობა, თუ მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარმოდგენილი არ იქნება სხვა, აღნიშნული მტკიცებულებით დადასტურებული ფაქტების საწინააღმდეგო, გამაქარწყლებელი მტკიცებულებები.

14. განსახილველ შემთხვევაში თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 30 მაისის განაჩენით დადგენილია, რომ მოპასუხე, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაეუფლა მოსარჩელის კუთვნილ 5800 ლარის ღირებულების სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნივთებს. განაჩენის სარეზოლუციო ნაწილით საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ დადგენილია ნივთების ნაწილის, კერძოდ, მუყაოს ყუთის, სალომბარდე ჟურნალის, საკერავი მანქანის, ხორცის გასატარებელი მანქანის, ხმის გამაძლიერებელი ტექნიკის კანონიერი მფლობელისთვის დაბრუნების შესახებ.

15. ექსპერტ აუდიტორი გ. ყ-ის 2017 წლის 16 თებერვლის მოძრავი ქონების შეფასების დასკვნით ირკვევა, რომ ექსპერტ-აუდიტორის მიერ შეფასდა მოსარჩელის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონება, შეფასების შედეგად ნივთების ღირებულება განისაზღვრა შემდეგნაირად: მონიტორი – 350 ლარი, ვიდეო ბარათი და დეტალები – 1140 ლარი, მეორადი გიტარა – 150 ლარი, მეორადი გიტარა – 100 ლარი, მეორადი საკერავი მანქანა – 400 ლარი, „დიდივიდი“ – 100 ლარი, იარაღების ყუთი – 100 ლარი, მიქსერი – 100 ლარი. მოძრავი ქონების ჯამური ღირებულება 2440 ლარით განისაზღვრა.

16. საბოლოოდ, საქმეში წარმოდგენილი 2016 წლის 30 მაისის განაჩენის და ექსპერტ-აუდიტორი გ. ყ-ის 2017 წლის 16 თებერვლის მოძრავი ქონების შეფასების შესახებ დასკვნის ერთობლივი ანალიზის შედეგად სააპელაციო პალატამ დაასკვნა, რომ მოპასუხის ბრალეული ქმედების შედეგად მოსარჩელის საკუთრებიდან გავიდა 2440 ლარის ღირებულების ნივთები, კერძოდ, მონიტორი, ვიდეობარათი და დეტალები, ორი ცალი მეორადი გიტარა, მეორადი საკერავი მანქანა, დივიდი, იარაღების ყუთი და მიქსერი.

17. ამდენად, მართალია, განაჩენით დადგენილ გარემოებას წარმოადგენს, რომ მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად დაეუფლა მოსარჩელის საკუთრებაში არსებულ 5800 ლარის ღირებულების ნივთებს, თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ განაჩენის სარეზოლუციო ნაწილით დადგენილია საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ნივთების ნაწილის მესაკუთრისთვის დაბრუნება, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტი მხარის არგუმენტი, რომ მოსარჩელეს მოპასუხის ქმედებით 5800 ლარის ოდენობის ზიანი მიადგა.

18. სააპელაციო პალატამ მიუთითა ის გარემოებაზეც, რომ მოსარჩელის მიერ საქმეში წარმოდგენილი აუდიტის დასკვნის, რომლითაც განისაზღვრა ნივთების ნაწილის ღირებულება, საწინააღმდეგო მტკიცებულება სასამართლოსთვის წარმოდგენილი არ ყოფილა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნ

ნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე სწორად განსაზღვრა მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანის საერთო ღირებულება.

19. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომ – სსკ) 316-ე მუხლის პირველი ნაწილის, 317-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მხარეთა შორის ურთიერთობა წარმოშობილია დელიქტური ვალდებულებიდან გამომდინარე.

20. სსკ-ის 992-ე მუხლის, 408-ე მუხლის პირველი ნაწილის, 409-ე, 412-ე მუხლების თანახმად, სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ დელიქტიდან გამომდინარე საფუძველით სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა – ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, პირს დაეკისრება ერთდროულად რამდენიმე პირობის არსებობის შემთხვევაში: 1. უნდა არსებობდეს მართლსაწინააღმდეგო მოქმედება; 2. ზიანი; 3. უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი დამდგარ შედეგსა (ზიანს) და მართლსაწინააღმდეგო მოქმედებას შორის; 4. ზიანის მიმყენებელს უნდა მიუძღოდეს ბრალი.

21. მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების პრინციპიდან გამომდინარე, მოსარჩელე ვალდებულია, დაამტკიცოს ზიანის არსებობა და მისი მოცულობა, ასევე მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის, ანუ, მოვალის მოქმედება უნდა იყოს არა მარტო ბრალეული, არამედ ზიანის გამომწვევიც, შესაბამისად, ზიანის მიმყენებელმა უნდა დაამტკიცოს მის ქმედებაში მართლწინააღმდეგობისა და ბრალის არარსებობა.

22. განსახილველ შემთხვევაში საქმეზე ფაქტობრივ გარემოებად დადგინდა მოპასუხის განზრახი, ბრალეული ქმედების შედეგად მოსარჩელისათვის ზიანის მიყენების ფაქტი. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგინდა ასევე მიყენებული ზიანის ოდენობაც.

23. აღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმეზე დადგინდლ ფაქტობრივ გარემოებაებს და მოსარჩელემ ვერ მიუთითა მისთვის ხელსაყრელ მტკიცებულებებსა და გარემოებებზე, რაც პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი გახდებოდა.

კასატორის მოთხოვნა და საფუძველები:

24. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მოსარჩელემ შეიტანა საკასაციო საჩივარი, მოითხოვა მისი ნაწილობრივი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება შემდეგი საფუძველებით:

25. კასატორმა მიიჩნია, რომ გამარტივებული წესით საქმის განხილვის დროს მიყენებული ზიანის ანაზღაურება ხდება გამარტივებული წესით. მოცემულ შემთხვევაში ზიანის ფაქტი დადგინდა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით, რომელიც შეესაბამება იმ კანონიერ საფუძვლებს, რის საფუძველზეც მოსარჩელეს უნდა აუნაზღაურდეს დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანი. აღნიშნული წარმოადგენს გამარტივებული წარმოების ძირითად პრინციპსა და იმპერატივს.

26. კასატორის მოსაზრებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ დაარღვია კანონი და საქმე განიხილა საერთო წესით. განაჩენში დადგენილი და დაანგარიშებულია მიყენებული ზიანის ოდენობა, რაც 5800 ლარს წარმოადგენს. აუდიტორს საერთოდ არ უნახავს მოპარული ნივთები. სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სსსკ-ის 309²⁰-ე მუხლი. ზიანის მიყენების ფაქტს განსაზღვრავს კანონმდებელი, რაც გადასინჯვას არ ექვემდებარება იმ დოკუმენტის საფუძველზე, რომლის ავტორი პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომაზე არ დაკითხულა, ცრუ ჩვენების სამართლებრივი შედეგების შესახებ არ გაფრთხილებულა. მოპარული ნივთები ფასები და რეალური ჯამი დადგენილია განაჩენით.

27. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 11 ოქტომბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად. ამავე განჩინებით დადგინდა, რომ კასატორი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია. საკასაციო სასამართლოს 2018 წლის 21 დეკემბრის განჩინებით სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე – საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებასა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას, საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად. ამავე განჩინებით გადაწყდა, რომ, სსსკ-ის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საქმის არსებითად განხილვა მოხდებოდა ზეპირი მოსმენის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

28. საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

29. სსსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გა-

რემოვებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია (შედავება).

30. მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ დადგენილად და ცნობილი დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

31. მოსარჩელემ სარჩელის ფაქტობრივ საფუძვლად მიუთითა, რომ 2016 წლის 30 მაისის თბილისის საქალაქო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით მოპასუხე ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის. განაჩენში მითითებულია, რომ მოპასუხე მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლა მოსარჩელის კუთვნილ 5800 ლარის ღირებულების ქონებას. სწორედ ეს თანხა წარმოადგენს მოსარჩელისათვის მიყენებულ ზიანს და მოპასუხემ ამ ოდენობით უნდა აანაზღაუროს იგი.

32. ზიანის მიყენების ფაქტის და მისი ოდენობის დასამტკიცებლად მოსარჩელემ სასამართლოს წარუდგინა 2016 წლის 30 მაისის თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პოლიციის კანონიერ ძალაში შესული განაჩენი.

33. მოპასუხემ 2016 წლის 31 ოქტომბერს წარადგინა შესაგებელი, რომლითაც სარჩელი ცნო ნაწილობრივ, კერძოდ, 4600 ლარის ფარგლებში.

34. სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – 2440 ლარის ოდენობით. აღნიშნული გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 05 ივლისის განჩინებით.

35. წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით, კასატორი (მოსარჩელე) მოითხოვს გასაჩივრებული განჩინების ნაწილობრივ გაუქმებას და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სასარჩელო მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებას. საკასაციო საჩივარი ეფუძნება სააპელაციო სასამართლოს მიერ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ-ის) 393-ე მუხლისა და 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის დარღვევას.

36. კასატორის საკასაციო საჩივართან მიმართებით, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლოს უპირველესი ამოცანაა, დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული

მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოქმედოს ის სამართლებრივი ნორმა (ნორმები), რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რისი მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად განხილული ნორმა (ან ნორმები) შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემონიშნებაც სასამართლოს ვალდებულებაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს, ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველის რომელიმე ფაქტობრივი წინამძღვრის (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა გამორიცხავს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას.

37. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმის განმხილველი სასამართლო შეზღუდულია მხოლოდ მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით, რაც შეეხება სამართლის ნორმების გამოყენებას, სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, ადგენს თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს. მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის შეფასება შედის სასამართლოს კომპეტენციაში, თუმცა საქმეზე გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს შეჯიბრებითობის პრინციპის სრულად რეალიზაციის პირობებში.

38. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მოთხოვნის საფუძველი სამოქალაქო სამართალში, ზოგადად არის სამართლის ის ნორმა, რომელიც დამოუკიდებლად ან სხვა მოთხოვნის საფუძველზე თან ერთობლიობაში აფუძნებს ამა თუ იმ მოთხოვნას ანუ სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა კონკრეტულ უფლება-მოვალეობებს (იხ. ბოელინგი/ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდები, მეორე გამოცემა, თბ., 2004, 38.) კერძო-სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების დანიშნულებაა ურთიერთობაში მონაწილე სუბიექტების უფლებების განსაზღვრა და მათი განხორციელების უზრუნველყოფა. მოთხოვნა უფლების რეალიზაციის კანონით გათვალისწინებული შედეგის მიღებას.

39. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოთხოვნა პირის ნე-

ბას დაქვემდებარებული და სხვა პირზე მიმართული უფლებაა, რომელიც მისი პროცესუალური განხორციელებისაგან მკვეთრად იმიჯნება. მოთხოვნა ძირითადად მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობის მატარებელია. მოთხოვნა საპროცესო-სამართლებრივი გაგებით, ყოველთვის მიმართულია სასამართლო გადაწყვეტილების დადგომისაკენ. მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი არის სამართლის ნორმა, რომლის სამართლებრივი შედეგით გათვალისწინებულია სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილე პირის მიერ რაიმე მოქმედების განხორციელებისა თუ მოქმედების შესრულებისაგან თავის შეკავების ვალდებულება. თითოეული მოთხოვნის დამფუძნებელი სამართლის ნორმა განსაზღვრავს მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს, თუმცა მისი განმარტება და ფაქტობრივ გარემოებებზე მისადაგება სასამართლოს უფლებამოსილება. მოთხოვნის საფუძველი ორი ნაწილისაგან შედგება: ა) ნორმის შემადგენლობა, რომელიც მოიცავს ცალკეულ წინაპირობას და ბ) სამართლებრივი შედეგი, რომელიც კანონის საფუძველზე დადგება იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა ნორმის შემადგენლობით განსაზღვრული ყველა წინაპირობა.

40. მოთხოვნა და მოთხოვნის საფუძველი სხვადასხვა ცნებებია და სასურველია მათი აღრევა თავიდან იქნეს აცილებული. ამ გამიჯვნას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმის გათვალისწინებით, რომ მოთხოვნათა შორის არჩევანის უფლება, მოსარჩელის უფლებამოსილებაა, ხოლო მოსარჩელის მიერ წარდგენილი მოთხოვნის დამფუძნებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთა შორის ერთ-ერთის მისადაგება სასამართლოს უფლებამოსილება და ვალდებულება (იხ. ჰ. ბოელინგი, ლ. ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, მეორე გამოცემა, თბ., 2004, 42.)

41. მოთხოვნის საფუძვლის (საფუძვლების) ძიებისას, სასამართლოსათვის ამოსავალია ის კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას. სწორედ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები და გარემოებები განსაზღვრავენ მისი მოთხოვნის შინაარსს. სასამართლომ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, უნდა გაარკვიოს, თუ საიდან გამომდინარეობს მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, კერძოდ, სახელშეკრულებო შეთანხმებებიდან თუ სხვა ვალდებულებითი ურთიერთობებიდან.

42. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის განმსაზღვრელია სარჩელში მითითებული ფაქტები და გარემოებები. სარჩელის ინდივიდუალიზაცია სარჩელის ელე-

მენტების მეშვეობითაა შესაძლებელი. სსსკ-ის მე-3, მე-4, 83-ე და 178-ე მუხლების ანალიზით შესაძლებელია, დავასკვნათ, რომ სარჩელი შედგება ორი ელემენტისგან: სარჩელის საგნისა და სარჩელის საფუძვლისგან. სარჩელის საგანია მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისადმი (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი), ხოლო სარჩელის საფუძველი – კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი).

43. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ყოველი კონკრეტული სამოქალაქო საქმის გადანყვეტა სასამართლოში, დაკავშირებულია გარკვეული ფაქტების დადგენასთან. ფაქტების დადგენის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ სასამართლო იხილავს და წყვეტს მხარეთა შორის წარმოშობილ დავებს, რომლებიც სამართლით რეგულირებული ურთიერთობებიდან წარმოიშობიან. სამართლებრივი ურთიერთობა კი, როგორც ეს ცნობილია, შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტების საფუძველზე. სწორედ მტკიცების ტვირთსა და მის სწორ განაწილებაზე დამოკიდებული დასაბუთებული და კანონიერი გადანყვეტილების მიღება.

44. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზება უმეტესწილად დამოკიდებულია და გულისხმობს სასამართლოს მიერ დასაბუთებული, მტკიცებულებათა შეჯერების საფუძველზე მიღებული გადანყვეტილების მიღებას. მტკიცების ტვირთის როლი განსაკუთრებით ვლინდება სამოქალაქო სამართალწარმოებაში, სადაც მხარეთა ნების ავტონომიას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. შესაძლებელია მხარის მოთხოვნა საფუძვლიანი იყოს, მაგრამ შეუძლებელია მხარემ მიიღოს თავისი სასარგებლო გადანყვეტილება, თუ ვერ დაამტკიცებს თავის სასარგებლო გარემოებებს საპროცესო სამართლით დადგენილი წესით. ამიტომაც, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს მტკიცების ტვირთის სწორი გადანაწილება მოდავე მხარეებს შორის.

45. სსსკ-ის მე-3 მუხლის მიხედვით, მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადანყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი. ამავე კოდექსის მე-4 მუხლის მიხედვით სამართალწარმოება

მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული შესაგებლები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძველად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

46. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კრიტერიუმი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს სასამართლო იმისათვის, რომ სწორად განსაზღვროს მხარეთა მიერ მითითებული ფაქტებიდან, თუ რომელი ამართლებს სამართლებრივად მხარეთა მოთხოვნებს (შესაგებელს) და რომელი არა, ესაა – სარჩელის საგანი (მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსი), მოპასუხის შესაგებელი და შესაბამისი მატერიალურ სამართლებრივი ნორმა.

47. მტკიცების საგანში შემავალი გარემოებებიდან ერთი ნაწილი უნდა დაამტკიცოს მოსარჩელემ, მეორე ნაწილი კი – მოპასუხემ. ამასთან ერთად, დამტკიცების ტვირთის განაწილების საფუძველზე, მოსარჩელე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოპასუხემ უნდა დაამტკიცოს და პირიქით, მოპასუხე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს. მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილების ინსტიტუტი მიუთითებს არა მარტო იმაზე, თუ რომელმა მხარემ რა ფაქტები უნდა დაამტკიცოს, არამედ იმაზეც, თუ რომელი ფაქტების დამტკიცების მოვალეობისაგან თავისუფლდება ესა თუ ის მხარე. შესაბამისად, მოსარჩელემ, როგორც წესი, უნდა დაამტკიცოს ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის წარმოშობის საფუძველს, ხოლო მოპასუხემ კი – ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს (იხ. ჰ. ბოლინგი, ლ, ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე გადანყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, თბ., 2003, გვ.64).

48. საქმის გარემოებათა ანალიზის საფუძველზე მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის დადგენა, აგრეთვე მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის მოძიება და სადავო ურთიერთობის სამართლებრივი შეფასება სასამართლოს ვალდებულებაა, მიუხედავად იმისა, ედავებიან თუ არა ამ შეფასებას მხარეები. ეს იმას ნიშნავს, რომ არც სააპელაციო და არც საკასაციო სასამართლო არაა შებოჭილი სააპელაციო თუ საკასაციო საჩივარში მითითებული კანონის დარღვევებით და ისინი ამომწებენ გადანყვეტილებას მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების სწორად გამოყენების თვალსაზრისით. თუ ასეთი შემონმების შედეგად ზემდგომი ინსტანციის სასამართლო იმ დასკვნას გამოიტანს, რომ საჩივრის მოთხოვნა გადანყვე-

ტილებს გაუქმების ან შეცვლის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს, მაგრამ არა საჩივარში მითითებული, არამედ მატერიალურსამართლებრივი ნორმის (კანონის) სხვა დარღვევის გამო, სასამართლომ უნდა გამოიტანოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

49. იმ შემთხვევაში კი, თუ არასწორი სამართლებრივი შეფასების შედეგად, ანუ კანონის (სსსკ-ის 393.2 მუხლის) დარღვევით მიღებული გადაწყვეტილების ძალაში დატოვება შესაძლებელია სხვაგვარი სამართლებრივი შეფასებით, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია, თავისი განჩინებით ძალაში დატოვოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება ან ამ გადაწყვეტილების შეცვლით მიიღოს ახალი გადაწყვეტილება (სსსკ-ის 386-ე მუხლი). ასეთივე შესაძლებლობითაა აღჭურვილი საკასაციო სასამართლოც, კერძოდ, მას შეუძლია, არ გააუქმოს გადაწყვეტილება და ძალაში დატოვოს იგი (სსსკ-ის 410-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი) ან ახალი გადაწყვეტილებით დაადგინოს სხვა სამართლებრივი შედეგი (სსსკ-ის 411-ე მუხლი).

50. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს ამ განჩინების პ2. მითითებულ სარჩელის ფაქტობრივ გარემოებებზე და მიაჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნის ფაქტობრივი შემადგენლობა (აღწერილობა) სამართლებრივ მონესრიგებას საჭიროებს დელიქტური ვალდებულებებით გათვალისწინებული საფუძვლებიდან – სსკ-ის 992-ე მუხლი, 408-ე მუხლის პირველი ნაწილი.

51. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ქონებრივი პასუხისმგებლობის ვალდებულ პირზე დასაკისრებლად საჭიროა, რომ სახეზე იყოს სამართალდარღვევის შემადგენლობა. შემადგენლობის ორგანიზმს ჰქმნის სამართლებრივად ფასეულ სუბიექტურ და ობიექტურ გარემოებათა ერთობლიობა, რომელთა თანაარსებობა მოვალეზე პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველია. ამ შემადგენლობის ელემენტებია: სამართალდარღვევის შედეგად მიყენებული ზიანი; დამრღვევის მართლსაწინააღმდეგო ქმედება; მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის; სამართალდარღვევის ბრალი.

52. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ წარმოშობის საფუძველების მიხედვით განასხვავებენ სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო ზიანს. არასახელშეკრულებო ზიანის უზოგადესი და ცენტრალური ნორმაა სსკ-ის 992-ე მუხლი, რომელიც განამტკიცებს ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპს და დაზარალებულს (კრედიტორს) ვალდებული პირის მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას ანიჭებს. აღნიშნული მუხლის გამოყენების წინაპირობებია: ზიანი; ქმედების მართლსაწინააღმდეგობა; მიზეზობრივი კავშირი და ბრალი (ე.წ. „გენერალური დელიქტი“).

53. სამოქალაქო სამართალში ზიანში მოიაზრება ქონებაზე ან სა-

მართლებრივად დაცულ სხვა სიკეთეზე გარკვეული ზემოქმედებით გამოწვეული უარყოფითი შედეგი. ზიანი წარმოადგენს სამართალ-დარღვევის შემადგენლობის აუცილებელ ელემენტს. თუ არაა ზიანი, არც ქონებრივი პასუხისმგებლობის საკითხი შეიძლება დადგეს. ზიანი სწორედ რომ მართლსაწინააღმდეგო მოქმედების შედეგია. იგი წარმოადგენს სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის შედეგს.

54. განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო მოქმედება იმით გამოიხატება, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 30 მაისის განაჩენით, მოპასუხე მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლა მოსარჩელის საკუთრებაში არსებულ მოძრავ ნივთებს, შესაბამისად, გამოვიღნდა დელიქტის ერთ-ერთი მთავარი პირობა – მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო ქმედება. არსებობს დელიქტური პასუხისმგებლობისათვის აუცილებელი დანარჩენი სამი ელემენტიც, კერძოდ: ზიანი – მოსარჩელემ ქონებრივი დანაკლისი განიცადა; ბრალეულობა; მიზეზმდეგობრიობა – მოპასუხის ქმედებამ გამოიწვია მოსარჩელისათვის ზიანის მიყენება.

55. განსახილველ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე, საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს ყურადღება გაამახვილოს დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების თავისებურებებზე:

56. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ 2010 წლის 15 დეკემბერს, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, V კარს დაემატა ახალი XXXIV³ თავი – ცალკეული დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის განხილვის გამარტივებული წესი. განხორციელებული ცვლილების პროცესუალურ სამართლებრივი ანალიზის მიზნებისათვის, ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს ცალკეული დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის განხილვის გამარტივებული წესი დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე წარდგენილი სარჩელის ჩვეულებრივი წარმოებისაგან. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXXIV³ თავით გათვალისწინებული წესები გამოიყენება მაშინ, როდესაც სახეზეა კანონიერ ძალაში შესული განაჩენი, ანუ როდესაც დანაშაულის ჩადენის შედეგად პირისათვის ზიანის მიყენების ფაქტი დასტურდება კანონიერ ძალაში შესული განაჩენით. ასეთ შემთხვევაში, სამოქალაქო საქმის განმხილველი მოსამართლე აღარ იკვლევს მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის ფაქტსა და მიზეზობრივ კავშირს მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. დადასტურებულად ითვლება მართლსაწინააღმდეგო ქმედება და მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედე-

ბასა და დამდგარ შედეგს შორის. აღნიშნული დასკვნის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309²⁰-ე მუხლი, რომლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის განხილვისას სამართლო დადგენილად მიიჩნევა ზიანის მიყენების ფაქტს, რომელიც დასტურდება კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენით ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი ორგანოს/თანამდებობის პირის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

57. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ 2010 წლის 24 სექტემბერს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით გაუქმებული იქნა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი, კერძოდ, სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილ ფაქტებს აღარ გააჩნიათ პრეიუდიციული ძალა, როცა საქმეს იხილავს სასამართლო იმ პირის მოქმედების სამოქალაქო-სამართლებრივი შედეგების შესახებ, ვის მიმართაც გამოტანილია განაჩენი, თუმცა სსსკ-ის 309²⁰-ე მუხლის, ფორმულირებით, დანაშაულის მიყენების ფაქტი პრეიუდიციის რანგშია აყვანილი ანუ მიჩნეულია ფაქტად, რომელიც მტკიცებას არ საჭიროებს. „საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სსსკ-ის 106-ე მუხლზე მითითება ამავე კოდექსის 309²⁰-ე მუხლის მეორე ნაწილის გაუთვალისწინებლად არ შეიძლება. მართალია, სსსკ-ის 106-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი („ფაქტები იმის შესახებ, განხორციელდა თუ არა მოქმედება და ჩაიდინა თუ არა ეს მოქმედება ამ პირმა, რაც დადგენილია სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი, კანონიერ ძალაში შესული საბოლოო შემაჯამებელი გადაწყვეტილებით, როცა საქმეს იხილავს სასამართლო იმ პირის მოქმედების სამოქალაქო-სამართლებრივი შედეგების შესახებ, რომლის მიმართაც გამოტანილია საბოლოო შემაჯამებელი გადაწყვეტილება“) 2010 წლის 24 სექტემბერს განხორციელებული ცვლილების შედეგად ამოღებულ იქნა, მაგრამ იმავე წლის 15 დეკემბრის კანონით (№4075.სსმ1, №76) განხორციელებული ცვლილებით დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნების განხილვისას მოქმედებს განსხვავებული წესი, რაც იმას გულისხმობს, რომ კანონიერ ძალაში შესულ განაჩენში მითითებული სამართლებრივად მნიშვნელოვანი ფაქტები ხელახლა არ დგინდება, ანუ ისინი დადგენილად მიიჩნევა (სსსკ-ის XXXIV თავი)“.

(შდრ. სუსგ №ას-638-605-2014, 22 აპრილი, 2016).

58. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს ცალკეული დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურ-

რების შესახებ სარჩელის განხილვის გამარტივებული წესი, დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე წარდგენილი სარჩელის ჩვეულებრივი წარმოებისაგან. კანონით მინიჭებული შემადგენლობა, საქმე განხილულ იქნას გამარტივებული წესით შემჭიდროვებულ ვადებში, მოსარჩელე მხარის დისპოზიციური უფლებაა და მას არ ეკრძალება სარჩელის წარდგენა საერთო საფუძველზე. გამარტივებული წარმოებით საქმის განსახილველად კი, მოსარჩელეს კანონი ვალდებულებას აკისრებს, სარჩელს თან დაურთოს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენი (თუ დანაშაული გვაქვს სახეზე) ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი ორგანოს/თანამდებობის პირის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რითაც სასამართლო დადგენილად მიიჩნევს ზიანის მიყენების ფაქტს (საპროცესო კოდექსის 309¹⁷-ე მუხლის 1-ლი ნაწილი).

59. გამარტივებული წარმოების თავისებურება იმაშია, რომ საქმე განიხილება დაჩქარებულად და მარტივად, რაც უპირველესად საქმის განხილვის ვადებში აისახება. კონკრეტულად, სარჩელის შეტანიდან 3 დღის ვადაში წყდება მისი წარმოებაში მიღების საკითხი, მოპასუხისათვის შესაგებლის წარმოსადგენად დადგენილი ვადა კი, არ უნდა აღემატებოდეს 7 დღეს. სასამართლო ვადებულისა, საქმე განიხილოს სარჩელის წარმოებაში მიღებიდან ერთი თვის ვადაში (იხ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309¹⁹-ე, 309²⁰-ე მუხლები).

60. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, გამარტივებული წესით განსახილველ საქმეთა კატეგორია კანონით ზუსტად არის განსაზღვრული და იგი მხარის მოთხოვნის საფუძველზე მიმდინარეობს, ანუ კანონით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობისას, სარჩელი ამ წესით საქმის განხილვაზე მხარემ უნდა წარადგინოს და, შესაბამისად, სასამართლო ვალდებულება საქმის გამარტივებული წესით განხილვის თაობაზე. (მდრ. სუსგ №ას-1319-1245-2012, 22 ოქტომბერი, 2012.)

61. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხია, მიიჩნევა თუ არა დადასტურებულად ზიანის ოდენობა და სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს თუ არა ზიანის ოდენობით, როგორც დადასტურებული ფაქტით. სსსკ-ის 309²⁰-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის განხილვისას სასამართლო დადგენილად მიიჩნევს ზიანის მიყენების ფაქტს, რომელიც დასტურდება კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენით და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი ორგანოს/თანამდებობის პირის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოცე-

მული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, ხოლო ამავე კოდექსის 309¹⁷-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების შესაბამისად, ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელს უნდა დაერთოს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენი ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი ორგანოს/თანამდებობის პირის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლითაც დასტურდება ზიანის მიყენების ფაქტი. თუ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენი ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი ორგანოს/თანამდებობის პირის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ შეიცავს მიყენებული ზიანის გაანგარიშებას, ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელს შეიძლება ასევე დაერთოს უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ შედგენილი დოკუმენტი, რომელშიც განსაზღვრული იქნება მიყენებული ზიანის ოდენობა.

62. აღნიშნული ნორმები განხილულ უნდა იქნეს სისტემური, ლოგიკური და შინაარსობრივი ანალიზის შედეგად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309¹⁷-ე მუხლი განსაზღვრავს სარჩელზე დასართავ მტკიცებულებათა წრეს, კერძოდ, სარჩელი უნდა შეიცავდეს ზიანის ოდენობის ამსახველ მტკიცებულებას. აღნიშნულს შეიძლება მოიცავდეს თვით განაჩენი ან კიდევ, შესაძლებელია, მითითებული მტკიცებულების დამოუკიდებლად შექმნა და სარჩელზე დართვა. რაც შეეხება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309²⁰-ე მუხლს, აღნიშნული ნორმა ადგენს დელიქტით მიყენებული ზიანის თაობაზე წარდგენილი სარჩელის განხილვის წესს. მითითებული მუხლი იმპერატიულად ადგენს ასევე, თუ რა უნდა ჩაითვალოს დადასტურებულად ანუ ე.წ. პრეიუდიციად. მითითებული მუხლის პირველი ნაწილის პირველ წინადადებაში ნათლად და მკაფიოდ იკითხება: ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის განხილვისას სასამართლო დადგენილად მიიჩნევა ზიანის მიყენების ფაქტს, რაც იმას ნიშნავს, რომ პრეიუდიციული მნიშვნელობა მხოლოდ ზიანის ფაქტსა და მიზეზობრივ კავშირს გააჩნია. „საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ამ სპეციალური წარმოების არსი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ასეთ შემთხვევაში სასამართლოს აღარ უნევს ზიანის მიყენების ფაქტის, ე.ი. თავად მიყენებული ზიანის, ზიანის მიმყენებლის ბრალის, მის ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის კვლევა. თუკი ზიანი დანაშაულის შედეგად დადგა, ყველა აღნიშნული გარემოება სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენით დასტურდება. რაც შეეხება ზიანის ოდენობას, აღნიშნულთან მიმართებით მსჯელობას შესაძლებელია შეიცავდეს თავად გა-

ნაჩენი/ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოცემული ადმინისტრაციული აქტი, სხვა შემთხვევებში, კი, ზიანის განგარიშება დასაშვებია უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ შედგენილი დოკუმენტით (საპროცესო კოდექსის 309¹⁷-ე მუხლის მე-2 ნაწილი) (მდრ. სუსგ №ას-937-888-2012, 13 დეკემბერი, 2012.).

63. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ზემოაღნიშნულ ნორმათა სისტემური და ლოგიკური ანალიზის საფუძველზე შეიძლება დასკვნის გაკეთება, იმ შემთხვევაში, როდესაც ზიანის ოდენობა განაჩენით/ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოცემული ადმინისტრაციული აქტით არ არის დადგენილი, ასეთ შემთხვევაში სასამართლო ამ ნაწილში მხარეთა მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს შეაფასებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის საფუძველზე.

64. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ რაც შეეხება განსხვავებას დელიქტით მიყენებული ზიანის გამარტივებული და ჩვეულებრივი სასარჩელო წესით განხილვას შორის, აღნიშნულთან მიმართებით, აღსანიშნავია, რომ გამარტივებული წესით საქმის განხილვის დროს სახეზეა კანონიერ ძალაში არსებული განაჩენი, რომლითაც უტყუარად დასტურდება ზიანის ფაქტი და მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის, შესაბამისად, სასამართლო აღარ იკვლევს აღნიშნულ საკითხებს და დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენის გარეშე დადასტურებულად მიიჩნევს მათ. სასამართლო კვლევისა და შეფასების საგანია მხოლოდ ზიანის ოდენობა იმ შემთხვევაში, როდესაც განაჩენით/ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოცემული ადმინისტრაციული აქტით იგი არ არის დადგენილი. ასეთ დროს ზიანის ოდენობის დამადასტურებელი მტკიცებულება მოსამარჩელემ უნდა წარადგინოს. ჩვეულებრივი სასარჩელო წესით დელიქტის შედეგად მიყენებული ზიანის შესახებ სარჩელის განხილვის დროს კი, მხარეები სსსკ-ის 102-ე და 103-ე მუხლების შესაბამისად წარუდგენენ, როგორც მართლსაწინააღმდეგო ქმედების, ასევე ზიანის ფაქტის, მიზეზობრივი კავშირისა და ზიანის ოდენობის ამსახველ მტკიცებულებებს, ხოლო სასამართლო წარმოდგენილ მტკიცებულებებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის შესაბამისად აფასებს.

65. მნიშვნელოვანია საკითხი იმის შესახებ, თუ ვინ იღებს გადაწყვეტილებას, თუ რა წესით უნდა იქნეს განხილული დანაშაულით მიყენებული ზიანის თაობაზე წარმოდგენილი სარჩელი. აღსანიშნავია, რომ მითითებული საკითხი კოდექსით პირდაპირ მოწესრიგებული არ არის, თუმცა, საპროცესო ნორმათა ერთობლივი ანალიზი იძლევა გარკვეული დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, კერძოდ,

აღნიშნული საკითხი წყდება სარჩელის შეტანის ეტაპზე. გარდა ამისა, ამავე ეტაპზე წყდება სახელმწიფო ბაჟის საკითხიც. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან თავისუფლდებიან მოსარჩელები დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზარალის (ზიანი) ანაზღაურების სარჩელებზე. აღნიშნული მუხლის შესაბამისად, მოსარჩელე მხოლოდ მაშინ თავისუფლდება ბაჟის გადახდის ვალდებულებისაგან, თუ მას დანაშაულის შედეგად მიადგა მატერიალური ზიანი. ამდენად, თუ არ არსებობს კანონიერ ძალაში შესული განაჩენი, შესაბამისად, არ არსებობს დანაშაულის ჩადენისა და დანაშაულის შედეგად ზიანის მიყენების პრეიუდიცია, რაც იმას ნიშნავს, რომ არ არსებობს საქმის გამარტივებული წესით განხილვისა და სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან მოსარჩელის გათავისუფლების კანონით გათვალისწინებული წინაპირობები.

66. საპროცესო-სამართლებრივი ნორმის ამგვარი ფორმულირებით მოსარჩელის ბაჟისაგან გასათავისუფლებლად უნდა არსებობდეს შემდეგი კუმულატიური პირობები: 1. დანაშაული დადასტურებული უნდა იყოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით; 2. მოთხოვნა მხოლოდ მატერიალური ზიანის ანაზღაურებას უნდა ეხებოდეს, რაც იმას ნიშნავს, რომ დანაშაულით მიყენებულ მორალურ ზიანთან დაკავშირებული მოთხოვნა სახელმწიფო ბაჟისაგან არ თავისუფლდება.

67. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოსარჩელის (დაზარალებული) მიერ მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების დაცვა სასარჩელო და არა გამარტივებული წარმოების წესით, შეიძლება განპირობებული იქნეს სხვადასხვა გარემოებით, კერძოდ, ჯერ ერთი, ყოველთვის ვერ ხერხდება სავარაუდო დამნაშავეს დროული იდენტიფიცირება, რაც აბრკოლებს მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის დადგომას. შესაძლოა, პირი კიდევაც იქნას ცნობილი ბრალდებულად, მაგრამ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით განსაზღვრული რომელიმე საფუძვლის არსებობისას შეწყდეს გამოძიება ან/და სისხლისსამართლებრივი დევნა, მაგალითად, პროკურორმა უარი თქვა ბრალდებაზე, ბრალდების მხარემ პირის მიმართ გამოიყენა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ან განრიდების მექანიზმი და ა.შ.

68. მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ შესაძლებელია, სისხლის სამართლის საქმემ არსებითი განხილვის ეტაპამდეც მიაღწიოს, მაგრამ ბრალდებამ ვერ შეძლოს გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცებულებათა სტანდარტით ბრალდებულის დამნაშავეობის დამტკიცება და ამის გამო გამოტანილი იქნას გამამართლებელი განაჩენი.

ნი. სწორედ ამიტომაც, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება იმ გარემოებას, რომ ყველა ზემოთ განხილულ შემთხვევაში დაუცველი არ დარჩეს კონკრეტული დაზარალებული, მისი ინტერესები და ანაზღაურდეს ის ზიანი, რომელიც მართლსაწინააღმდეგო ქმედებით იქნა მიყენებული. ცხადია, თუკი დანაშაულებრივი ქმედებით მიყენებული ზიანის არსებობისას, სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაკისრების აუცილებელ წინაპირობად, ზიანის მიმყენებლის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის დადგომას ჩავთვლიდით, ამით უხეშად დაირღვეოდა დაზარალებულის უფლებები. გამოვიდოდა, რომ უფრო უპირატეს მდგომარეობაში იქნებოდა ის დაზარალებული, რომელსაც ზიანი არა დანაშაულებრივი, არამედ სხვაგვარი მართლსაწინააღმდეგო ქმედებით/სამოქალაქო-სამართლებრივი დელიქტით მიადგა.

69. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით. ანალოგიურად, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ყოველი პირი, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, ითვლება უდანაშაულოდ, ვიდრე მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება კანონის შესაბამისად.

70. საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საქმეზე „რინგვოლდი ნორვეგიის წინააღმდეგ“. მომჩივანი სწორედ ევროკონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტზე დაყრდნობით ასაჩივრებდა ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც, მას დაზარალებულის სასარგებლოდ კომპენსაციის გადახდა დაეკისრა. კერძოდ, მომჩივანს ბრალი დასდეს არასრულწლოვანის მიმართ სექსუალური ხასიათის ძალმომრეობით ქმედების განხორციელებაში, თუმცა ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ იგი უდანაშაულოდ ცნო და გაამართლა. მიუხედავად ამისა, იმავე წარმოების ფარგლებში, განმცხადებელს დაეკისრა დაზარალებულისათვის კომპენსაციის გადახდა, რაც, გამამართლებელი ვერდიქტის არსებობის პირობებში, მომჩივანმა უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევად მიიჩნია. ევროპული სასამართლო არ დაეთანხმა მომჩივანის პოზიციას კომპენსაციის დაკისრების დაუშვებლობასთან დაკავშირებით და მიუთითა შემდეგი: მართალია, გარკვეულ შემთხვევებში, სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაკისრების წინაპირობებსა და სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძვლებს შორის შესაძლოა თანხვედრა ხდებოდეს, მაგრამ განსახილველ საქმეში მოთხოვნა ზიანის ანაზღაურებაზე სამოქალაქო (კონკრეტულად,

დელიქტური) სამართლის პრინციპების მიხედვით უნდა განხილულიყო. სისხლის სამართლის საქმის წარმოების შედეგი არ თამაშობდა გადამწყვეტ როლს კომპენსაციის დაკისრებასთან დაკავშირებული სამართალწარმოებისათვის. მსხვერპლს უფლება ჰქონდა მოეთხოვა კომპენსაცია, იმის მიუხედავად, ბრალდებულს გაამტყუნებდნენ თუ, როგორც ამ შემთხვევაში მოხდა, გაამართლებდნენ. საკითხის გადაწყვეტა კომპენსაციის მინიჭების თაობაზე, დამოუკიდებელ სამართლებრივ შეფასებას მოითხოვდა იმ კრიტერიუმებისა და მტკიცებით სტანდარტის საფუძველზე, რაც განსხვავდებოდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისას გამოსაყენებელი კრიტერიუმებისა და სტანდარტებისაგან. (იხ. Ringvold v Norway, no. 34964/97, 11/02.2003, §38.).

71. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, ევროკონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტს არ ენიშნა ღმრთობა არც ის გარემოება, რომ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ბედი შეიძლება გადაწყდეს სისხლის სამართლის საქმის მასალებიდან მოპოვებული მტკიცებულებებით. ევროპული სასამართლოს შეფასებით, სანაღმრთო განმარტების პირობებში, ერთი მხრივ, არაპროპორციულად შეიზღუდება თავად მსხვერპლის უფლება სამართლიანი სასამართლოს ხელმისაწვდომობაზე (კონვენციის 6.1 მუხლი), ვინაიდან, მას აღარ ექნებოდა საშუალება მოეთხოვა ზიანის ანაზღაურება სისხლის სამართლის საქმეზე უდანაშაულოდ ცნობილი პირისაგან, მეორე მხრივ კი, თვითონ ბრალდებული აღმოჩნდებოდა პრივილეგირებულ მდგომარეობაში, იმის მიუხედავად, რომ იარსებებდა სამოქალაქო წესით პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის საკმარისი მტკიცებულებები. (იხ. Diacenco v. Romania, no. 124/04, 07/02/2012, §58).

72. საკასაციო პალატა დასკვნის სახით მიუთითებს, რომ დანაშაულის შედეგად დაზარალებულ პირს, საქართველოს კანონმდებლობით გააჩნია შესაძლებლობა, დარღვეული უფლების დასაცავად (ზიანის ანაზღაურება) მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს საქმის განხილვა ჩვეულებრივი სასარჩელო წესით ან გამარტივებული წარმოების წესით. ამასთან, გამარტივებული წესით საქმის განსახილველად აუცილებელია მოსარჩელის შუამდგომლობა და სარჩელზე მოპასუხის მიმართ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის დართვა. რაც შეეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც მოპასუხის მიმართ გამოტანილია გამამართლებელი განაჩენი ან მოპასუხის მიმართ სახეზე არაა სისხლის სამართლის საქმეზე არსებითი განხილვის შედეგად გამოტანილი შემაჯამებელი აქტი, აღნიშნული არ წარმოადგენს საერთო სასარჩელო წესით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დამაბრკოლებელ გარემოებას, თუკი მო-

სარჩელის (დაზარალებული) მიერ წარდგენილი მტკიცებულებები სსსკ-ის 105-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, საკმარისია სამოქალაქო დავის ფარგლებში ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის დაკმაყოფილებისათვის. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ზემოთ აღნიშნული პრაქტიკაც ნათლად ადასტურებს, რომ ცალკე აღებული, დაზარალებულის სასარგებლოდ კომპენსაციის დაკისრება იმ პირისათვის, რომლის მიმართაც სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი იქნა გამამართლებელი განაჩენი, არ წარმოადგენს უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევას და არ ეწინააღმდეგება კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტს.

73. საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას, რომ საქმეში წარმოდგენილი განაჩენი განიხილება, როგორც მხოლოდ კონკრეტული გარემოებების ამსახველი წერილობითი მტკიცებულება და მასში ასახულ დასკვნებსა და გარემოებებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის შესაბამისად, დავის გადაწყვეტისათვის პრეიუდიციული ძალა არ ენიჭებათ. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სსსკ-ის 106-ე მუხლზე მითითება ამავე კოდექსის 309²⁰-ე მუხლის მეორე ნაწილის გაუთვალისწინებლად არ შეიძლება. მართალია, სსსკ-ის 106-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი („ფაქტები იმის შესახებ, განხორციელდა თუ არა მოქმედება და ჩაიდინა თუ არა ეს მოქმედება ამ პირმა, რაც დადგენილია სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი, კანონიერ ძალაში შესული საბოლოო შემაჯამებელი გადაწყვეტილებით, როცა საქმეს იხილავს სასამართლო იმ პირის მოქმედების სამოქალაქო სამართლებრივი შედეგების შესახებ, რომლის მიმართაც გამოტანილია საბოლოო შემაჯამებელი გადაწყვეტილება“) 2010 წლის 24 სექტემბერს განხორციელებული ცვლილების შედეგად ამოღებულ იქნა, მაგრამ იმავე წლის 15 დეკემბრის კანონით (№4075.სსმ1, №76) განხორციელებული ცვლილებით დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნების განხილვისას მოქმედებს განსხვავებული წესი, რაც იმას გულისხმობს, რომ კანონიერ ძალაში შესულ განაჩენში მითითებული სამართლებრივად მნიშვნელოვანი ფაქტები ხელახლა არ დგინდება, ანუ ისინი დადგენილად მიიჩნევა (სსსკ-ის XXXIV თავი). (შდრ. სუსგ №ას-638-605-2014, 22 აპრილი, 2016).

74. სამოქალაქო სამართალწარმოების წესით დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელების განხილვისას, გამოიყენება სსსკ-ის XXXIV³ დადგენილი ნორმები. ამ კატეგორიის საქმეების განხილვის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილ ფაქტებს პრეიუდიციული მნიშვნელობა გააჩნიათ (სსსკ-ის 309²⁰-ე მუხლის მეორე ნაწილი), რაც იმას გულისხმობს, რომ დამტკიცებულად და განხორცი-

ელეზუღად ითვლება დელიქტური სამართლის მთავარი ნორმის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ-ის, 992-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის განმაპირობებელი ყველა სამართლებრივი ნაწილდგარი: მოქმედების მართლსაწინააღმდეგობა, ზიანი, ადექვატური მიზეზობრივი კავშირი და ბრალი. (შდრ. სუსგ №ას-176-163-2015, 04 ოქტომბერი, 2016).

75. ამდენად, მართალია, განაჩენით დადგენილ გარემოებას წარმოადგენს, რომ მოპასუხე მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად დაეუფლა მოსარჩელის საკუთრებაში არსებულ 5800 ლარის ღირებულების ნივთებს, თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ განაჩენის სარეზოლუციო ნაწილით დადგენილია საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ნივთების ნაწილის მესაკუთრისთვის დაბრუნება, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტი მხარის არგუმენტი, რომ მოსარჩელეს მოპასუხის ქმედებით 5800 ლარის ოდენობის ზიანი მიადგა.

76. საკასაციო პალატა ნაწილობრივ იზიარებს სააპელაციო პალატის ამ მოსაზრებას, თუმცა ყურადღებას გაამახვილებს საქმეში წარმოდგენილ მოპასუხის შესაგებელზე. მოპასუხემ შესაგებელში 4600 ლარის ოდენობის ფარგლებში სარჩელი ნაწილობრივ ცნო.

77. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სარჩელისაგან მოპასუხის თავდაცვის ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს შესაგებელის წარდგენა. საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით განმტკიცებულ საპროცესო სამართლის ამოსავალ პრინციპზე – დისპოზიციურობაზე, რომლის თანახმადაც მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი.

78. დასახელებული ნორმა განამტკიცებს იმ საპროცესო მოქმედებათა ჩამონათვალს, რომელშიც ვლინდება მხარის უფლება, საკუთარი შეხედულებისამებრ განკარგოს მისი საპროცესო უფლებები, იგი ნების ავტონომიის საპროცესო გამოხატულებაა და წარმოადგენს მხარის საპროცესო უფლებათა იმგვარი რეალიზაციის საშუალებას, როდესაც საქმეზე მისაღები გადაწყვეტილება უმთავრესად მხარის ნებაზეა ორიენტირებული. ნორმა იძლევა უფლებათა შემდეგ კლასიფიკაციას: პირი, რომელსაც მიაჩნია, რომ დაირღვა მისი უფლება, თავად წყვეტს ამ უფლების სასამართლო წესით დაცვას საპროცესო კანონმდებლობით შემოთავაზებული

ნესების დაცვით; თავად განსაზღვრავს დავის საგანს და იმას, თუ რა ფაქტებსა და გარემოებებზე დაამყაროს მოთხოვნა; მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე. ჩამოთვლილთაგან უმეტესი ნაწილი მიმართულია მოსარჩელის უფლებებისაკენ, თუმცა პირთა თანასწორობაზე დამყარებული სამოქალაქო საპროცესო სამართალი ანალოგიურ პირობებს უქმნის მოპასუხეს და ადგენს მის უფლებას, შეთანხმების შემთხვევაში, დავა დაასრულოს მორიგებით, მას ასევე შეუძლია ცნოს სარჩელი.

79. მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობა უფლების განმკარგავი აქტია, რომელიც შეიძლება განხილულ იქნას მხოლოდ მის სამართლებრივ შედეგთან ერთიანობაში, სარჩელის ცნობა შეუქცევადია და მას ამ ნაწილში გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოჰყვება შედეგად იმდენად, რამდენადაც სარჩელის ცნობას საფუძვლად ედება პრეზუმფცია, რომ მოპასუხე აღიარებს მის მიმართ წარდგენილ პრეტენზიას და არ აპირებს ამ მოთხოვნისაგან თავდაცვის საპროცესო საშუალების გამოყენებას (შდრ. სუსგ №ას-64-58-2015, 08 აპრილი, 2015).

80. მოცემულ შემთხვევაში, მიუხედავად მოპასუხის მიერ სარჩელის ნაწილობრივ ცნობისა, არც სიღნაღის რაიონულ სასამართლოს და არც თბილისის სააპელაციო სასამართლოს ეს გარემოება არ შეუფასებიათ.

81. საკასაციო პალატა დამატებით აღნიშნავს, რომ გამარტივებული წესით საქმის განხილვის დროს სახეზეა კანონიერ ძალაში არსებული განაჩენი, რომლითაც უტყუარად დასტურდება ზიანის ფაქტი და მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის, შესაბამისად, სასამართლო აღარ იკვლევს აღნიშნულ საკითხებს და დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენის გარეშე დადასტურებულად მიიჩნევს მათ. სასამართლო კვლევისა და შეფასების საგანია მხოლოდ ზიანის ოდენობა იმ შემთხვევაში, როდესაც განაჩენით/ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოცემული ადმინისტრაციული აქტით იგი არ არის დადგენილი. ასეთ დროს ზიანის ოდენობის დამადასტურებელი მტკიცებულება მოსარჩელემ უნდა წარადგინოს. ჩვეულებრივი სასარჩელო წესით დელიქტის შედეგად მიყენებული ზიანის შესახებ სარჩელის განხილვის დროს კი, მხარეები სსსკ-ის 102-ე და 103-ე მუხლების შესაბამისად წარუდგენენ, როგორც მართლსაწინააღმდეგო ქმედების, ასევე ზიანის ფაქტის, მიზეზობრივი კავშირისა და ზიანის ოდენობის ამსახველ მტკიცებულებებს, ხოლო სასამართლო წარმოდგენილ მტკიცებულებებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის შესაბამისად აფასებს.

82. რადგან განსახილველ შემთხვევაში საქმეში არსებული განა-

ჩენის სარეზოლუციო ნაწილით განსაზღვრულია, რომ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ მუყაოს ყუთი, სალომბარდე ჟურნალი, საკერავი მანქანა, ხორცის გასატარებელი მანქანა, ხმის გამაძლიერებელი ტექნიკა, რომელიც ინახება ქ. თბილისის ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის პირველი განყოფილების ადმინისტრაციულ შენობაში, უნდა დაუბრუნდეს კანონიერ მფლობელს და რომლებიც მოპასუხის მიერ შეფასდა 1200 ლარად, ხოლო მოსარჩელეს ამ ნაწილში არ წარმოუდგენია დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, ამ გარემოების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორმა წარმოადგინა ნაწილობრივ დასაბუთებული შედეგება, შესაბამისად, არსებობს გასაჩივრებული განჩინების ნაწილობრივი გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული აბსოლუტური საფუძველი, რამდენადაც სადავო ნაწილში გასაჩივრებული განჩინება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული.

83. სსსკ-ის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი. საკასაციო სასამართლო მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლზე, რომლის თანახმადაც, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები. რადგან მოცემულ შემთხვევაში, სახეზე არაა საქმის ქვემდგომ სასამართლოში განსახილველად დაბრუნების წინაპირობები, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობის ნაწილში არსებობს მოსარჩელის (კასატორი) მოთხოვნის დაკმაყოფილების საპროცესო-სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა ლ ა ე ყ ვ ი ტ ა :

1. ნ. თ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 05 ივლისის განჩინების ნაწილობრივი გაუქმე-

- ბით მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ნ. თ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
 4. გ. ჯ-ს ნ. თ-ის სასარგებლოდ დაეკისროს 4600 (ოთხი ათას ექვსასი) ლარის გადახდა;
 5. საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მიყენებული ზიანის ოდენობა

განჩინება საქართველოს სახელით

№ას-1639-2018

19 აპრილი, 2019 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა**

**შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავეიძე,
ე. გასიტაშვილი**

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

სასარჩელო მოთხოვნა:

1. ი. ქ-ემ (შემდგომში – მოსარჩელე) სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „ჩ-ის რ-ის 2-ოს ჯგუფისა“ (შემდგომში – პირველი მოპასუხე) და სს „ს-ის“ (შემდგომში – მეორე მოპასუხე) მიმართ ზიანის – 27 090 აშშ დოლარის ანაზღაურების შესახებ.

სარჩელის საფუძვლები:

2. მოსარჩელის განმარტებით, საკუთრებაში გააჩნდა 1000 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რომლის მიმდებარედ მეორე მოპასუხის დაკვეთით პირველი მოპასუხე თბილისის შემოვლითი რ-ის პროექტით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების განხორციელების დროს გასცდა მშენებლობის ნებართვის ფარგლებს და ჩამოაჭრა მისი კუთვნილი მიწის ნაკვეთიდან 30 კვ.მ.

3. პირველი მოპასუხის მიერ განხორციელებული სამუშაოების შედეგად ფიზიკურად მოისპო ნაკვეთთან მისასვლელი ცენტრალური გზა და ნაკვეთის გვერდით ფასადის გასწვრივ ცენტრალური გზიდან შესასვლელი ალტერნატიული გზა. ამასთან, სამშენებლო სამუშაოების შედეგად ერთ განზომილებაში არსებული გზა და

მინის ნაკვეთი აღმოჩნდა 3-4 მეტრის სიმაღლის სხვაობით სხვადასხვა სიბრტყეში.

4. მეორე მოპასუხის შემოვლითი რ-ის პროექტის განხორციელებისათვის გამოყოფილი ჰქონდა კონკრეტული ფართის მინის ნაკვეთი, რაზეც გაიცა მშენებლობის ნებართვა. ამასთან, გაცემული ნებართვის ფარგლებში შესრულებული სამუშაოები მის საკუთრებაში არსებულ მინის ნაკვეთზე არ უნდა განხორციელებულიყო.

5. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით არ არსებობს მინის ნაკვეთთან მისასვლელი გზა, რის გამოც გაუფასურდა ნაკვეთის ღირებულება. ქონების შეფასების აქტის მიხედვით, სარკინიგზო ხაზის გაყვანამდე მინის ნაკვეთის ღირებულება შეადგენდა 69 279 ლარს, ხოლო რკინიგზის გაყვანის შემდეგ – 6 720 ლარს. 1 კვ.მ მინის ღირებულება განსაზღვრულია 30 აშშ დოლარით. (დოლარის კურსი – 2.30.93) შესაბამისად, მოსარჩელეს მიადგა ზიანი 27 090 აშშ დოლარის ოდენობით.

მოპასუხის პოზიცია:

6. პირველმა მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ თბილისის შემოვლითი სარკინიგზო ხაზის მშენებლობაზე პროექტი შეთანხმებულია და მშენებლობის ნებართვა გაცემულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2010 წლის 11 ივნისის №1-1/987 ბრძანებით, რომლის შესაბამისადაც მიმდინარეობდა სამშენებლო სამუშაოები. ამასთან, ნებართვა გაცემულია მეორე მოპასუხის სახელზე, შესაბამისად, პირველი მოპასუხე მოკლებული იყო შესაძლებლობას, ცვლილება შეეტანა პროექტში.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების საჩუქრულუციო ნაწილი:

7. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეებს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრათ ზიანის – 900 აშშ დოლარის ანაზღაურება, რაც სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში – მოსარჩელემ, ხოლო სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში – მეორე მოპასუხემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საჩუქრულუციო ნაწილი და ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

8. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილებით გაუქმდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, პირველ მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 27090 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა, ხოლო სარჩელი მეორე მოპასუხის მიმართ არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო:

9. სააპელაციო პალატამ იმსჯელა იმ საკითხზე წარმოადგენს, თუ არა ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელ პირს მეორე მოპასუხე.

10. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომ – სსკ) 992-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთ-ერთ სახეს დელიქტური ვალდებულება წარმოადგენს. ამგვარი ვალდებულებები არასახელმწიფოებრივ ვალდებულებათა კატეგორიას მიეკუთვნება, რომელიც ზიანის მიყენების შედეგად წარმოიშობა. მითითებული ნორმა განსაზღვრავს იმ აუცილებელ წინაპირობებს, რომლებიც უნდა არსებობდეს დელიქტური ურთიერთობის წარმოშობისათვის, კერძოდ: ზიანი, მართლსაწინააღმდეგო ბრალეული ქმედება და მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. ამდენად, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ ნორმაში მითითებულ კონსტრუქციას. უპირველეს ყოვლისა, გასათვალისწინებელია, რომ ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტი ემსახურება არა ზიანის მიმყენებლის დასჯას, არამედ იმ დანაკლისის შევსებას, რომელიც მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად სხვა პირს მიაღდა.

11. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომ – სსკ) 102-ე მუხლით გათვალისწინებულია თითოეული მხარის ვალდებულება, მიუთითოს სასარჩელო მოთხოვნა, ფაქტები და წარმოადგინოს ფაქტის დამადასტურებელი გათვალისწინებული მტკიცებულებები. მტკიცებულებათა შეფასებისას სასამართლოს ექმნება შინაგანი რწმენა, რომელსაც საფუძვლად უდებს გადაწყვეტილებას. ამდენად, სასამართლო სადავო გარემოებათა არსებობა-არარსებობის დადგენისას ინდივიდუალურად და ერთობლიობაში აფასებს საქმეში არსებულ მტკიცებულებებს, რის შედეგად აყალიბებს თავის შინაგან რწმენას გამოსაკვლევი საკითხის მიმართ. შინაგანი რწმენის ჩამოყალიბება მოსამართლის მიერ ხდება არა სუბიექტურად, არამედ ობიექტური მიუკერძოებლობის კონტექსტში შესწავლილი მტკიცებულებების ურთიერთშეჯერების საფუძველზე. მართლმსაჯულების მიზანი მტკიცებულებათა ერთობლივი ანალიზის, მათი ობიექტური და სრულყოფილი შესწავლის შედეგად ჭეშმარიტების უტყუარად გამორკვევაა იმგვარად, რომ დადგენილი გარემოება არ ემყარებოდეს მხოლოდ ვარაუდს, არამედ განპირობებული იყოს საქმის მასალების ერთობლივი ანალიზით.

12. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ შემოვლითი რკინიგზის პროექტის ფარგლებში სამშენებლო სამუშაოებს ასრულებდა მოპასუხეებისა და სს „ხ-ისაგან“ შემდგარი ერთობლივი საწარმო (შემდგომ – კონტრაქტორი) 2010 წლის 14 ივნისს გაფორმებული ხელშეკ-

რულების საფუძველზე, რომლის მიხედვითაც პასუხისმგებლობა ხელშეკრულების ფარგლებში მიმდინარე სამუშაოების განხორციელების შედეგად წარმოშობილ ზიანზე და დანაკარგებზე, რომელიც მიადგება მესამე პირს, ეკისრება კონტრაქტორს (17.1 პუნქტი).

13. როგორც ზემოთ აღინიშნა, იმისათვის, რომ ზიანი ანაზღაურდეს, უნდა არსებობდეს ფაქტობრივად დამდგარი ზიანი. დამდგარი ზიანი მიზეზობრივ კავშირში უნდა იყოს დამრღვევის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასთან; როგორც ნესი, ვალდებულების დარღვევა ბრალეული უნდა იყოს. აღნიშნული, თუნდაც ერთ-ერთი ნიშნის არარსებობა გამორიცხავს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილებას. წარმოდგენილი მტკიცებულებით (ხელშეკრულებით) დასტურდება, რომ სამშენებლო სამუშაოებს, რომლითაც მოისპო მოსარჩელის მიწის ნაკვეთთან მისასვლელი გზა, აწარმოებდა პირველი მოპასუხე. შესაბამისად, მეორე მოპასუხეს არ ჩაუდენია მართლსაწინააღმდეგო ქმედება. ამდენად, არ არსებობს დელიქტური პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის სავალდებულო ოთხივე ელემენტი, რაც სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას მის მიმართ გამორიცხავს.

14. რაც შეეხება მოსარჩელის სააპელაციო საჩივარს პირველი მოპასუხის მიმართ, სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ ამ უკანასკნელს არ გაუსაჩივრებია საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც ამ უკანასკნელს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა ზიანის ანაზღაურება. ამდენად, იგი დაეთანხმა სადავო გარემოებებს, რომ მისი მხრიდან ადგილი ჰქონდა მართლსაწინააღმდეგო ბრალეულ ქმედებას, რომელმაც გამოიწვია ზიანის დადგომა. რაც შეეხება ზიანის ოდენობას, სააპელაციო პალატამ ზემოდასახელებული დასაბუთებისა და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების გათვალისწინებით, მიიჩნია, რომ იგი უნდა განისაზღვროს 27090 აშშ დოლარის ოდენობით. სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა 2015 წლის 29 იანვრის მეორე მოპასუხის №533 ნერილზე, 2014 წლის 3 ნოემბრის №079 განცხადებაზე და 2015 წლის 30 აპრილის №1/30 ქონების შეფასების აქტზე მათი ურთიერთშეფასების კუთხით. ნერილი და განცხადება წარმოადგენს მხარის, დაინტერესებული პირის მიერ შექმნილ დოკუმენტს, რასაც მისივე მხრიდან ახსნა-განმარტებითი დატვირთვა და მტკიცებულებითი ძალა გააჩნია. რაც შეეხება აუდიტის დასკვნას, მართალია, იგი შექმნილია ასევე დაინტერესებული პირის, მხარის დაკვეთით, მაგრამ წარმოადგენს მესამე, საქმის გარემოებებითა და შედეგით დაუინტერესებელი პირის დოკუმენტს მასში ასახული მსჯელობებითა და შეფასებებით. შესაბამისად, იგი წარმოადგენს ახსნა-განმარტების „გარეთ“ არსებულ მტკიცებულებას და ექვემ-

დებარება შეფასებას ახსნა-განმარტებასთან ერთად. სსსკ-ის 102-ე მუხლზე მითითებით, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელემ შეძლო იმ გარემოებათა დადასტურება, რომლებზედაც იგი ამყარება სასარჩელო და სააპელაციო საჩივრის მოთხოვნებს. მოცემულ შემთხვევაში, როგორც საქალაქო, ასევე სააპელაციო სამართლომაც დადგენილად მიიჩნია, რომ პასუხისმგებლობა ხელშეკრულების ფარგლებში მიმდინარე სამუშაოების განხორციელების შედეგად წარმოშობილ ზიანზე და დანაკარგებზე მესამე პირებთან მიმართებით ეკისრებოდა პირველ მოპასუხეს. გარდა აღნიშნულისა, „ინ-ის“ საპირწონე მტკიცებულება, მოწინააღმდეგე მხარეს არ წარმოუდგენია. აღნიშნული შეფასებით კი ერთმნიშვნელოვნად დადგენილია, რომ „...მომსპარია და შეუძლებელია როგორც მოასფალტებული, ასევე ალტერნატიული გზით სარგებლობა, არ არსებობს საფეხმავლო მისასვლელი გზა, აღნიშნული მიწის ნაკვეთი ჩაიკეტა, რის გამოც, მიწის ნაკვეთმა დაკარგა არამცთუ მისი შემდგომში ეფექტურად გამოყენების, არამედ ზოგადად სარგებლობის პერსპექტივა“.

კასატორის მოთხოვნა და საფუძვლები:

15. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე პირველმა მოპასუხემ შეიტანა საკასაციო საჩივარი და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძვლებით:

16. კასატორმა განმარტა, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა. ასევე, არასწორად განმარტა კანონი და არ გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები სრულად.

17. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ რომ ზიანთან დაკავშირებით საქალაქო სასამართლოს მსჯელობა ბუნდოვანია. იგი განსხვავებულ ინტერპრეტაციას აძლევს საქმეში არსებულ წერილობით მტკიცებულებებს. საქმეში წარმოდგენილია მტკიცებულებები, რომ მერიის არცერთ შესაბამის სამსახურს სამშენებლო ნებართვა ეკონომიკის სამინისტროს მიერ გაცემული ნებართვის ფარგლებს გარეთ არ გაუცია. შესაბამისად, უნებართვოდ განხორციელებულ სამშენებლო სამუშაოებს ემსხვერპლა მოსარჩელის უძრავი ქონება. მეტიც, სასამართლომ ვერ დაასახელა ვერცერთი გარემოება, საქმეში წარმოდგენილი საბუთი, რომელიც ზიანის მიყენების ფაქტს უარყოფს, რასაც ეთანხმება მოპასუხე. ცენტრალური გზიდან მიწის ნაკვეთის წინ დამატებით რეგისტრირებულია 10 მეტრის სიგანის მანქანის სავალი გზა, რომელიც უნებართვოდ განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების გამო განადგურდა და, შესაბამისად, დაიკარგა როგორც დამატებითი გზის სარგებლობის

გამოყენების შესაძლებლობა. მიზეზი არის ცენტრალური გზიდან მიწის ნაკვეთის დაშორება 5-7 მეტრით მაღლა სხვა სიბრტყეში. სასამართლო ასევე მიუთითებს, რომ ვინაიდან კასატორს არ გაუ-საჩივრებია საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მოსარჩე-ლის სასარგებლოდ ზიანის ანაზღაურების დაკისრების თაობაზე, ამით იგი დაეთანხმა გარემოებას, რომ მისი მხრიდან ადგილი ჰქონ-და მართლსაწინააღმდეგო ბრალეულ ქმედებას, რომელმაც გამო-ინვია ზიანის დადგომა.

18. რაც შეეხება ზიანის ოდენობას, სააპელაციო პალატამ მიუ-თითა, რომ ზემოთ დასახელებული დასაბუთებისა და წარმოდგე-ნილი მტკიცებულებების გათვალისწინებით იგი უნდა განისაზ-ღვროს 27090 აშშ დოლარით.

19. კასატორმა ზემოხსენებული დასაბუთება არ გაიზიარა, ვი-ნაიდან საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სა-მინისტროს 2015 წლის 20 თებერვლის წერილი არ ადასტურებს, რომ კასატორმა მშენებლობა აწარმოა პროექტით დადგენილი სამ-შენებლო კარიდორის მიღმა, არამედ ამ წერილით ირკვევა, რომ თბილისის შემოვლითი სარკინიგზო ხაზის მშენებლობაზე შესაბა-მისი პროექტი შეთანხმებულია და მშენებლობის ნებართვა გაცე-მულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სა-მინისტროს ბრძანებით №1-1/987 11.06.2010 წელი და გაცემულია განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის სანებართვო მოწმო-ბა №150. ამავე პროექტში შეტანილია ცვლილება 2013 წლის 27 მარ-ტის №22/01-06 ბრძანებით, რომლითაც კონსტრუქციულ სქემაში შეტანილ ცვლილებებზე გაცემულია ნებართვა.

20. დადგენილია ასევე, რომ მოსარჩელის ნაკვეთის სიახლოვეს მოქცეულ სამშენებლო დერეფნის ფარგლებში რაიმე დარღვევა არ დაფიქსირებულა და სამშენებლო დერეფნის მონაკვეთზე განთავ-სებული სარკინიგზო ხიდის მშენებლობა განხორციელებულია დამ-კვეთის ანუ მეორე მოპასუხის მიერ სააგენტოში წარდგენილი და შეთანხმებული პროექტის სრული დაცვით.

21. მოსარჩელის მიწის ნაკვეთი არანაკლებ 25 მეტრითაა დაშო-რებული სამშენებლო დერეფანს და განხორციელებული სამუშაოე-ბი არ განეკუთვნება სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედვე-ლობის სააგენტოს საზედამხედველო სფეროს. ამ ტერიტორიაზე სარკინიგზო ხიდის მშენებლობა კასატორის მიერ განხორციელებუ-ლია თბილისის მერიასთან გაფორმებული შეთანხმების საფუძველ-ზე ერთობლივად შემუშავებული პროექტის მიხედვით, რომელიც კონკრეტულად ეხება მშენებარე სარკინიგზო მაგისტრალსა და სო-ფელ პატარა ლ-სთან მისასვლელი მთავარი გზის კვეთას.

22. 2015 წლის 29 იანვრის მეორე მოპასუხის მიერ გაცემული №553

წერილით და 2014 წლის 3 ნოემბრის №079 განცხადებით დასტურდება, რომ განხორციელდა მოსარჩელის კუთვნილი მიწის ნაკვეთის ადგილზე შესწავლა და დათვალიერება, რომლითაც ირკვევა, რომ არსებობს გზა, რომელიც სოფლიდან მიდის ი. ქ-ის მიწის ნაკვეთთან. აღნიშნული დადასტურებულია ასევე საქმეში არსებული ფოტო-სურათებით და სააპელაციო სასამართლოს მითითება, რომ თითქოს და არ არსებობს სხვა ალტერნატიული გზა არასწორია.

23. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ ზიანის მიყენების ფაქტი შეაფასა მეორე მოპასუხის მიერ წარმოდგენილ წერილზე დაყრდნობით, რითაც დაარღვია სსსკ-ის 102-ე, 105-ე მუხლების მოთხოვნები, ვინაიდან მეორე მოპასუხე თავად დაინტერესებული პირია და ყოველთვის მისთვის სასურველ დასკვნას შეადგენს. გარდა ამ შეფასებისა, ზიანთან დაკავშირებით საქმეში არ არის წარმოდგენილი სხვა მტკიცებულება. ქონების შეფასების აქტში მითითებულია, რომ შემცირებულია ფართი და მიწის ნაკვეთს არ გააჩნია მისასვლელი გზა, გარდა სხვა ნაკვეთების გავლით საცალფეხო გზისა. აუდიტორული შეფასებით განისაზღვრა სამუშაოების წარმოებისა და ზიანის მიყენების შემდგომ ნაკვეთის ღირებულება. შეფასებაში აღნიშნულია, რომ ახალი რკინიგზის ხაზის გაყვანამდე მოსარჩელის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი იყო მართკუთხედის ფორმის, რეგისტრირებული მოასფალტებულ გზის მიმდებარედ ერთ სიბრტყეში და კასატორის სამუშაოების შედეგად ჩამოეჭრა 30 კვ.მ, გაუქმებულია საავტომობილო გზა, არ არსებობს ალტერნატიული გზა. ნაკვეთი ჩაიკეტა და დაიკარგა სარგებლობის პერსპექტივა. ამით შემცირდა მისი ღირებულება 30 000 აშშ დოლარიდან 2910 აშშ დოლარამდე და ზიანი შეადგენს 27090 აშშ დოლარს.

24. სააპელაციო სასამართლომ დადგინილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ მოსარჩელემ 2010 წლის 21 მაისის ნასყიდობის ხელშეკრულებით შეიძინა 2000 კვ.მ მიწის ნაკვეთი ქ. თბილისში, სოფელ პატარა ლ-ი. 2014 წლის 29 ივლისს მან 2000 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან გაასხვისა 1000 კვ.მ 20 000 აშშ დოლარად.

25. საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილების 3.2.4 პუნქტში ზუსტად ჩამოაყალიბა ის საფუძველი, რის გამოც კასატორს არ დაეკისრა მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი თანხის გადახდა სრულად. მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი შეფასების აქტის მიხედვით, მას დააკლდა მხოლოდ 30 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რომელიც ჩამოეჭრა სარკინიგზო ხაზის გაყვანის შემდეგ, რომლის ანაზღაურებაზეც კასატორს უარი არ უთქვამს და შესაბამისი ღირებულება დაეკისრა სასამართლოს მხრიდან. შეფასების აქტი არ მიუთითებს იმაზე, რომ ნაკვეთთან მისასვლელი გზის მონყობა შეუძლებელია, პირიქით,

დადგენილია, რომ ნაკვეთს გააჩნია სხვა მისასვლელი გზა, რის შე-სახებაც მოსარჩელეს სასამართლოსათვის არ განუცხადებია. მან, ასევე, არ აცნობა სასამართლოს, რომ სარჩელის შეტანამდე გაას-ხვისა ნაკვეთი, რომლიდანაც თავისუფლად შეძლებდა თავის ტე-რიტორიაზე შესვლას, ამდენად, მოსარჩელემ ჯერ განზრახ გაიუა-რესა მდგომარეობა, შემდგომ კი სარჩელი შეიტანა, რასაც სააპე-ლაციო სასამართლომ ყურადღება არ მიაქცია.

26. საქალაქო სასამართლომ სწორად შეაფასა თავის გადაწყვე-ტილებაში მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი აქტი, მაშინ როცა მი-უთითა, რომ აუდიტორულ საკონსულტაციო კორპორაცია „ინ-ის“ მიერ 2015 წლის 30 აპრილის შედგენილი №1/30 ქონების შეფასე-ბის აქტის მიხედვით გაურკვეველია, თუ რას ეფუძნება აუდიტის დასკვნა მიწის ნაკვეთის ღირებულების შემცირების თაობაზე. ამას-თან, აღნიშნული აქტი არ შეიცავს მითითებას იმის თაობაზე, რომ მოსარჩელეს მიწის ნაკვეთთან მისასვლელი გზის მოწყობა შეუძ-ლებელია. შესაბამისად, არასწორია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა ქონების შეფასების აქტთან დაკავშირებით, როგორც ქონების შეფასების ნაწილში, ასევე საფეხმავლო და ალტერნატი-ული გზის არარსებობასთან დაკავშირებით. თავად მოსარჩელე მხა-რე არ უარყოფს იმას, რომ მის კუთვნილ მიწასთან არსებობს მი-სასვლელი გზა სასოფლო გზის სახით, მაგრამ თვლის რომ იგი შორ მანძილზეა დაშორებული და გარკვეულწილად მოსაწესრიგებელია. აღნიშნულის შესახებ მან სასამართლოში განაცხადა, რაზეც ასევე არ იმსჯელა სააპელაციო სასამართლომ და პირიქით, მიუთითა რომ ალტერნატიული გზა არ არსებობს.

27. კასატორის მოსაზრებით, თუ სასამართლო დაეჭვდებოდა ორი მხარის მტკიცებაში გზის არსებობა-არარსებობასთან დაკავ-შირებით მას თავისუფლად შეეძლო თავისი ინიციატივით, ობიექ-ტური ჭეშმარიტების დასადგენად დაენიშნა ექსპერტიზა ან/და მო-ეხდინა ადგილზე დათვალიერება, რაც არ გააკეთა.

28. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო პალატამ არასწორად არ გაიზიარა 2015 წლის 29 იანვრის მეორე მოპასუხის №553 წე-რილზე 2014 წლის 3 ნოემბრის №079 განცხადება იმ მოტივით, რომ ისინი წარმოადგენს მხარის, დაინტერესებული პირის მიერ შექმნილ დოკუმენტს, მაგრამ გაიზიარა აპელანტის დაკვეთით შესრულე-ბულ აუდიტის დასკვნა, როგორც საქმის შედეგით დაუინტერესე-ბელი პირის მიერ შედგენილი და ამის საფუძველზე მიიჩნია, რომ მოსარჩელემ შეძლო იმ გარემოებათა დადასტურება, რომლებზეც იგი ამყარებდა სასარჩელო და სააპელაციო საჩივრის მოთხოვნებს.

29. ასეთი მსჯელობა არ არის ობიექტური, რადგან მეორე მოპა-სუხემ სააპელაციო სასამართლოს წარუდგინა შესაბამისი დოკუმენ-

ტაცია, რომლითაც დასტურდება, რომ მოსარჩელის კუთვნილი მიწის ნაკვეთი შესწავლილ და დათვალიერებულ იქნა, რის შედეგადაც დადგინდა, რომ არსებობს გზა, რომელიც სოფლიდან მიდის მოსარჩელის მიწის ნაკვეთთან. აქედან გამომდინარე, მესაკუთრეს – მოსარჩელეს ხელი არ ეშლება უძრავი ქონებით სარგებლობაში. აღნიშნული დადასტურებულია, როგორც მეორე მოპასუხის 2014 წლის 17 ნოემბრის №6921 დოკუმენტით, ასევე, შესაბამისი ფოტომასალით. აღნიშნულის საფუძველზეც კასატორის ახსნა-განმარტება სააპელაციო სასამართლომ უკანონოდ არ გაიზიარა. სააპელაციო პალატამ ვერ დაასაბუთა და ვერ გააქარწყლა ის გარემოება, რომ დათვალიერების აქტი სინამდვილეს არ შეეფერება და მხოლოდ მოსაზრება, რომ იგი დაინტერესებული პირის მიერაა შედგენილი, საკმარისი არ არის მტკიცებულების საწინააღმდეგო არგუმენტის დასასაბუთებლად. მით უმეტეს, რომ ეს მტკიცებულება ფოტომასალითაა გამაგრებული, ხოლო რაც შეეხება მხარის მიერ წარმოდგენილ შეფასების აქტს, აქტიდან არ ჩანს, რომ არ არსებობს ალტერნატიული გზა, ხოლო აქტში მითითება რომ მოესპო მოასფალტებული და ალტერნატიული გზა და არ არსებობს საფეხმავლო ბილიკი აშკარად არ შეესაბამება სინამდვილეს. მართალია, მოასფალტებული გზა აღარ არსებობს, მაგრამ საფეხმავლო ბილიკი ყველა ფოტომასალიდან ჩანს და, ამდენად, არსებობს ალტერნატიული გზაც. გარდა ამისა, არსებობს სხვა საავტომობილო გზის მოწყობის შესაძლებლობაც, რაზეც მხარემ თვითონ განაცხადა უარი.

30. კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ ვერ დაასაბუთა, რომ არ არსებობს რაიმე ალტერნატივა და ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე გაიზიარა ნაკვეთის ჩაკეტვის შესახებ მოსარჩელის პოზიცია, რომელმაც უარის თქმის ერთ-ერთ მიზეზად ისიც დაასახელა, რომ მან უკვე შეიძინა სხვა ნაკვეთი და ამ ნაკვეთის მიმართ დაკარგა ინტერესი და ფაქტია, რომ ახლა ცდილობს გამორჩენის მიღებას, თანაც არც ნაკვეთი ეთმობა და 2000 აშშ დოლარად ცდილობს მის შენარჩუნებას, რის შესახებაც მოსამართლის შეკითხვაზე პირველი ინსტანციის სასამართლოში განაცხადა. აქვე ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ მოსარჩელემ 2014 წლის 29 ივლისს 2000 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან გაასხვისა 1000 კვ.მ 20 000 აშშ დოლარად. სარჩელის აღძვრამდე მისთვის ცნობილი იყო, რომ ამ ნაკვეთის გასხვისებით გაიუარესებდა მდგომარეობას და ვეღარ შეძლებდა თავისთვის დატოვებულ ნაკვეთთან მისვლას საავტომობილო გზით, მაგრამ მისი სურვილიც სწორედ ეს იყო და ამას ადასტურებს ასევე პირველი ინსტანციის სასამართლოში მის მიერ კითხვაზე გაცემული ზემოხსენებული პასუხი. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მიწის ნაკვეთი მოსარჩელემ გაასხვისა თავის

ახლო ნათესავზე, ბიძაშვილზე, რაც დაადასტურა პირველი ინსტანციის სასამართლოში. არსებობს საფუძვლიანი ეჭვი იმის შესახებ, რომ მან ეს ნაკვეთი კი არ გაყიდა, არამედ ფორმალურად გადააფორმა ნათესავზე. სხვა შემთხვევაში მას ნაკვეთის გასხვისებისას უნდა დაეტოვებინა (და ყველა ნორმალური ადამიანი ასე მოიქცეოდა) თავის ნაკვეთთან მისასვლელი გზა.

31. სააპელაციო სასამართლო ჩათვალა, რომ საქმის მასალებში არ ასახულა, რა ქმედება ჩაიდინა მეორე მოპასუხემ. არ არსებობს მიზეზობრივი კავშირი ამ მოპასუხის ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის.

32. კასატორმა მიუთითა სსკ-ის 463-ე და 464-ე მუხლებზე და განმარტა, შემოვლითი რეინიგზის პროექტის ფარგლებში სამშენებლო სამუშაოებს მოპასუხეებისა და სს „ბ-ის“ ერთობლივი სანარმოო შორის 2010 წლის 14 ივლისს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ახორციელებდა კონტრაქტორი. ხსენებული ობიექტის მშენებლობის ნებართვა გაცემულია 2010 წლის 11 ივლისს მეორე მოპასუხის სახელზე და კასატორი მოკლებული იყო შესაძლებლობას, პროექტში რაიმე ცვლილება შეეტანა. ამასთან, მშენებლობას ანარმოებდა ერთობლივი სანარმოო მეორე მოპასუხის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე.

33. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 15 ნოემბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო 2019 წლის 13 თებერვლის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით (საკასაციო საჩივარი დასაშვებია, თუ საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას).

სამოტივაციო ნაწილი:

34. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე (საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია, თავისი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა) გასაჩივრებული განჩინების კანონიერებას პალატა სწორედ კასატორის პრეტენზიის ფარგლებში შეამოწმებს. საკასაციო საჩივრის არგუმენტი ორი მიმართულებითაა წარმოდგენილი. კასატორის

ერთ-ერთი არგუმენტით შედავებულია მოსარჩელის კუთვნილი მიწის ნაკვეთის (1000მ²) გაუფასურების თაობაზე გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნა, ხოლო შემდგომი არგუმენტი შეეხება მიწის ნაკვეთის (1000მ²) გაუფასურებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში, უშუალოდ მესაკუთრის (მოსარჩელე) ბრალეულობას.

35. სსსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით დადგენილია და კასატორს სადავოდ არ გაუხდია ფაქტობრივი გარემოებები იმის თაობაზე, რომ:

36. – მოსარჩელეს საკუთრებაში გააჩნდა ქ. თბილისში, სოფელ პატარა ლ-ი მდებარე 2000კვ.მ მიწის ნაკვეთი (სსკ-ის 170-ე მუხლი).

37. – 2014 წლის 29 ივლისს მოსარჩელე – ი. ქ-ემ გაასხვისა მიწის ნაკვეთის ნახევარი – 1000კვ.მ გ. ქ-ეზე და შემძენმა საკუთრების უფლება დაარეგისტრირა საჯარო რეესტრში (სსკ-ის 477-ე, 183-ე მუხლები).

38. – ქ. თბილისში, დიდი ლ., სოფელ პატარა ლ-ი, ქ. თბილისის შემოვლითი სარკინიგზო ხაზის მშენებლობის პროექტის ფარგლებში, სამშენებლო სამუშაოებს ასრულებდა პირველი მოპასუხე და კონტრაქტორი კომპანია 2010 წლის 14 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

39. სარჩელის მოთხოვნა 27090 აშშ დოლარის ოდენობით ზიანის ანაზღაურების შესახებ ეფუძნება იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ ამ განჩინების პ-39-ში მითითებულმა მშენებლობამ გააუარესა მოსარჩელის მდგომარეობა, რაც გამოიხატა იმაში, რომ მშენებლობა გავრცელდა მოსარჩელის კუთვნილი მიწის ნაკვეთის 30კვ.მ ფართობზეც, გარდა ამისა, მიწის ნაკვეთმა დაკარგა მისასვლელი გზა, რის გამოც, გაუფასურდა მიწის ნაკვეთის დარჩენილი ნაწილის (30კვ.მ ფართობის გამოკლებით) ღირებულება (სსკ-ის 992-ე მუხლი; აგრეთვე იხ., სარჩელის ფაქტობრივი გარემოებები).

40. აღსანიშნავია, რომ სარჩელი პირველი ინსტანციის სასამართლოში დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – 900 აშშ დოლარის მოპასუხისათვის დაკისრების ნაწილში. ზიანის ოდენობის განსაზღვრისას პირველი ინსტანციის სასამართლო დაეყრდნო მოსარჩელის კუთვნილი მიწის ნაკვეთის 30კვ.მ ფართობით შემცირების ფაქტობრივ გარემოებას და მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ გაანგარიშებას, რომლის მიხედვით, მითითებულ ადგილას 1კვ.მ მიწის ნაკვეთის ღირებულება განსაზღვრულია 30 აშშ დოლარით (30 აშშ დოლარი

*30კვ.მ). სარჩელის დარჩენილი ნაწილის უარყოფისას სასამართლომ დაუდასტურებლად მიიჩნია მიწის ნაკვეთის დარჩენილი ნაწილის გაუფასურების (ფუნქციური დანიშნულების დაკარგვა) შესახებ მოსარჩელის მითითება (იხ., თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილება, პ-3.2.4) და იმავდროულად, არ გაიზიარა მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ქონების შეფასების შესახებ აუდიტის დასკვნა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გასაჩივრდა მოსარჩელის და მხოლოდ მეორე მოპასუხის მიერ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 19 ივლისის გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სარჩელი მეორე მოპასუხის მიმართ მთლიანად იქნა უარყოფილი, ხოლო პირველი მოპასუხის მიმართ (27090 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი) დაკმაყოფილდა. პირველი მოპასუხის მიმართ სარჩელის დაკმაყოფილებისას სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის მითითება მიწის ნაკვეთის დარჩენილი ნაწილის გაუფასურების (ფუნქციური დანიშნულების დაკარგვა) შესახებ და მხედველობაში მიიღო რა, ის გარემოება, რომ ვინაიდან პირველმა მოპასუხემ არ გაასაჩივრა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებულ ნაწილში, მიიჩნია, რომ პირველი მოპასუხე დაეთანხმა მისი მხრიდან მართლსაწინააღმდეგო ბრალეული ქმედების მოსარჩელის მიმართ განხორციელებას, რამაც მოსარჩელეს მიაყენა ზიანი (იხ., სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება. პ-4.1), ხოლო ზიანის ოდენობა სააპელაციო სასამართლომ განსაზღვრა მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ქონების შეფასების შესახებ აუდიტის დასკვნით, რომელიც პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებით არ იყო საკმარისად დამაჯერებელი (სსსკ-ის მე-3, 102-ე, 105-ე მუხლები).

41. განსახილველ შემთხვევაში, კასატორის მიერ შედავებული სწორედ მოსარჩელის კუთვნილი მიწის ნაკვეთის (1000მ²) გაუფასურების თაობაზე სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნა. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორის მიერ წარმოდგენილია დასაბუთებული პრეტენზია. კონკრეტულ შემთხვევაში, დასაშვებ და დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება და მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან განმარტება.

42. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოსარჩელისათვის ზიანის მიყენების ნაწილში პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწ-

ყვეტილება კასატორს არ გაუსაჩივრებია (იხ., ამ განჩინების 3-41). მაშასადამე, საკასაციო პალატა კასატორის პრეტენზიას შეამომნებს არა ზიანის მიყენების (ფაქტობრივი გარემოება), არამედ ზიანის ოდენობის განსაზღვრის ნაწილში. ზიანის ოდენობად გასაჩივრებული გადანყვეტილებით დადგენილია 27090 აშშ დოლარი.

43. საკასაციო საჩივრის ფარგლებში გასაჩივრებული გადანყვეტილების მართლზომიერების შემომნებისას საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს რამდენიმე გარემოებაზე, რომელიც გამოიკვეთა საკასაციო საჩივრისა და საქმის მასალების შესწავლის შედეგად, და რომელიც არსებით ზეგავლენას ახდენს ქონების ღირებულების შემცირების (ფუნქციური დანიშნულების დაკარგვის) გარემოებასა და ამით, მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანის ოდენობის განსაზღვრაზე:

44. ერთი მხრივ, მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ქონების შეფასების შესახებ აუდიტის დასკვნით მოსარჩელის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ღირებულება რკინიგზის ხაზის გაყვანამდე არსებული მდგომარეობით განისაზღვრა 69 279 ლარით, ხოლო რკინიგზის ხაზის გაყვანის შემდეგ არსებული (დღევანდელი) მდგომარეობით განისაზღვრა 6 720 ლარით. აუდიტმა მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ მიწის ნაკვეთი შემოვლითი რკინიგზის ხაზის გაყვანამდე გეგმაში მართკუთხედი ფორმისა, იგი მდებარეობდა მოასფალტებული სავალი გზის პირას და ერთ სიბრტყეში იყო სავალ გზასთან. მოასფალტებული გზის პარალელურად არსებობდა დაპროექტებული ალტერნატიული გზა, სადავო მიწის ნაკვეთის გვერდითი ფასადის გასწვრივ, სადაც გადის ცენტრალური სასმელი წყალმომარაგების სისტემა და ბუნებრივი აირიც. დღევანდელი მდგომარეობით ქონების შეფასებისას მიწის ნაკვეთს ჩამოეჭრა 30კვ.მ ფართი, მომსპარია და შეუძლებელია როგორც მოასფალტებული ასევე, ალტერნატიული გზით სარგებლობა, არ არსებობს საფეხმავლო მისასვლელი გზა, აღნიშნული მიწის ნაკვეთი ჩაიკეტა, რის გამოც, მიწის ნაკვეთმა დაკარგა სარგებლობის პერსპექტივა. შესაბამისად, აუდიტის დასკვნით რკინიგზის ხაზის გაყვანის შემდეგ არსებული (დღევანდელი) მდგომარეობით მიწის ნაკვეთის ღირებულებაა 6720 ლარი.

45. მეორე მხრივ, 2015 წლის 29 იანვრის მეორე მოპასუხის მიერ გაცემული №553 წერილით და 2014 წლის 3 ნოემბრის №079 განცხადების მიხედვით კი, ირკვევა, რომ დათვალეირებული იქნა მოსარჩელის კუთვნილი მიწის ნაკვეთი, მიმდებარე ტერიტორია და გაირკვა, რომ არსებობს გზა, რომელიც სოფლიდან მიდის მოსარჩელის მიწის ნაკვეთთან.

46. ვინაიდან, სააპელაციო სასამართლო მოსარჩელისათვის მი-

ყენებული ზიანის ოდენობის განსაზღვრისას დაეყრდნო მინის ნაკვეთის არსებული (დღევანდელი) ფუნქციური დანიშნულების დაკარგვას, საკასაციო პალატამ უნდა იმსჯელოს რამდენად წონადი არგუმენტია წარმოდგენილი მინის ნაკვეთის სარგებლობის პერსპექტივასთან (ფუნქციური დანიშნულებით გამოყენება) მიმართებით.

47. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ როგორც წესი, ყოველი კონკრეტული სამოქალაქო საქმის გადაწყვეტა სასამართლოში, დაკავშირებულია გარკვეული ფაქტების დადგენასთან. სადავო ფაქტობრივი გარემოების მტკიცების ტვირთი (სსკ-ის მე-4 და 102-ე მუხლი) ეკისრებათ მოდავე მხარეებს. ფაქტების დადგენის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ სასამართლო იხილავს და წყვეტს მხარეთა შორის წარმოშობილ დავებს, რომლებიც სამართლით რეგულირებული ურთიერთობებიდან წარმოიშობიან. სამართლებრივი ურთიერთობა კი, როგორც ეს ცნობილია, შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტების საფუძველზე. სწორედ მტკიცების ტვირთსა და მის სწორ განაწილებაზე დამოკიდებული დასაბუთებული და კანონიერი გადაწყვეტილების მიღება. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზება უმეტესწილად დამოკიდებულია და გულისხმობს სასამართლოს მიერ დასაბუთებული, მტკიცებულებათა შეჯერების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების მიღებას. მტკიცების ტვირთის როლი განსაკუთრებით ვლინდება სამოქალაქო სამართალწარმოებაში, სადაც მხარეთა ნების ავტონომიას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. შესაძლებელია მხარის მოთხოვნა საფუძვლიანი იყოს, მაგრამ შეუძლებელია მხარემ მიიღოს თავისი სასარგებლო გადაწყვეტილება, თუ ვერ დაამტკიცებს თავის სასარგებლო გარემოებებს საპროცესო სამართლით დადგენილი წესით. ამიტომაც, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს მტკიცების ტვირთის სწორი განაწილება მოდავე მხარეებს შორის. მტკიცებითი საქმიანობის მიზანია სასამართლოს დარწმუნება საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობაში. მტკიცების ტვირთი დამოკიდებულია არა მხარის როლზე პროცესში, არამედ მოთხოვნის საფუძველზე. ფაქტების სუბსუმირება სამართლის ნორმის წინაპირობებთან სასამართლოს პრეროგატივას წარმოადგენს.

48. მოცემულ შემთხვევაში, როგორც სარჩელის ფაბულა, ისე – დადგენილი და მხარეთა შორის უდავო ფაქტები იძლევა დასკვნის საფუძველს, რომ სარჩელის პერსპექტიულობა სწორადაა შემომწმელებული დელიქტური სამართლის დამფუძნებელი ნორმის წანამდგრებთან (სსკ-ის 992-ე მუხლი). დელიქტური ვალდებულებიდან

გამომდინარე მოთხოვნის დაკმაყოფილების წინაპირობების არსებობას საკასაციო პალატა სსკ-ის 992-ე მუხლისა და 408-ე მუხლის პირველი ნაწილის ფარგლებში შეამოწმებს.

49. განსახილველ შემთხვევაში, ფაქტი ზიანის მიყენების, პირველი მოპასუხის ბრალეულობისა და მიზეზშედეგობრიობის შესახებ და მაშასადამე, დელიქტური ვალდებულებების წარმომშობი რამდენიმე გარემოება საკასაციო პალატის შეფასების საგანი არაა (იხ., ამ განჩინების პ-43), საკასაციო პალატა მსჯელობს მხოლოდ ზიანის ოდენობაზე როგორც სსკ-ის 992-ე მუხლის, ასევე 408-ე მუხლის ფარგლებში (მოვალის უშუალო მოქმედებით გამოწვეული ზიანი).

50. ქონების შეფასების შესახებ აუდიტის დასკვნით ზიანის ოდენობა განისაზღვრა იმის მიხედვით, გააჩნია თუ არა სარგებლობის პერსპექტივა მოსარჩელის კუთვნილ მიწის ნაკვეთს არსებული მდგომარეობით. ქონების შეფასებისას აუდიტმა მხედველობაში მიიღო, რომ მიწის ნაკვეთს ჩამოეჭრა 30კვ.მ ფართი. შესაბამისად, აუდიტმა დაასკვნა, რომ მომსპარია და შეუძლებელია როგორც მოასფალტებული, ასევე ალტერნატიული გზით სარგებლობა, არ არსებობს საფეხმავლო მისასვლელი გზა, აღნიშნული მიწის ნაკვეთი ჩაიკეტა.

51. აუდიტის დასკვნის გარდა, საქმეში არსებობს მეორე მოპასუხის მიერ გაცემული №553 წერილი და 2014 წლის 3 ნოემბრის №079 განცხადება, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ დათვალიერებული იქნა მოსარჩელის კუთვნილი მიწის ნაკვეთი, მიმდებარე ტერიტორია და გაირკვა, რომ არსებობს გზა, რომელიც სოფლიდან მიდის მოსარჩელის მიწის ნაკვეთთან.

52. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მტკიცებულებათა შეფასების დროს სასამართლო ხელმძღვანელობს თავისი შინაგანი რწმენით. შინაგანი რწმენა საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვის შედეგად ყალიბდება. მტკიცებულებათა შეფასება არა სპონტანური და ინტუიციური, არამედ სათანადოდ მოტივირებული და დამაჯერებელი უნდა იყოს (შდრ. სუსგ №ას-279-264-17, 21.04.2017წ.) „მტკიცებულებათა შეფასების სტანდარტი მიუთითებს სასამართლოსათვის არა სუბიექტურ მოსაზრებებზე დაყრდნობით მტკიცების საგანში შემავალი გარემოებების დადგენილად მიჩნევაზე, არამედ, მოსამართლის შინაგან რწმენაზე, რომელიც შეჯიბრებითობის ფარგლებში მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ შეფასებაზეა დაფუძნებული) (შდრ: სუს-ს განჩინება №ას-819-767-2017, 20 დეკემბერი, 2017 წელი).

53. განსახილველ შემთხვევაში, ირკვევა, რომ სააპელაციო პა-

ლატის მიერ მხოლოდ აუდიტის დასკვნის საფუძველზეა შეფასებული ზიანის ოდენობა. აუდიტის დასკვნა მინის ნაკვეთის პერსპექტიულობის დაკარგვასთან დაკავშირებით, ძირითადად ემყარება მინის ნაკვეთის 30კვ.მ ფართით შემცირებას და შემცირებული მინის ნაკვეთის მდებარეობას, რამაც აუდიტის მოსაზრებით, ზეგავლენა იქონია მინის ნაკვეთის გამოყენების შესაძლებლობაზე. ამ ვითარებაში, სააპელაციო სასამართლომ ზიანის ოდენობად განსაზღვრა 27090 აშშ დოლარი. სააპელაციო სასამართლომ შეფასების გარეშე დატოვა სხვა გარემოებები, რომელიც უკავშირდება მინის ნაკვეთთან მისასვლელი ალტერნატიული გზის არსებობას, ამგვარი გზის მოძიების ობიექტურ შესაძლებლობას; ამგვარი ალტერნატივის არსებობის შემთხვევაში, ცენტრალური სასამართლო წყალმომარაგების სისტემასთან და ბუნებრივ აირის საკუმუნაციო ქსელთან კავშირის არსებობა-არარსებობის დადგენას ჩასატარებელი სამუშაოების (სავარუდო სამომავლო ხარჯები) ღირებულებას და ა.შ. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საქმეში წარმოდგენილი ქონების შეფასების აქტის მიხედვით, გაურკვეველია რას ეფუძნება აუდიტის დასკვნა, მინის ნაკვეთის ღირებულების მნიშვნელოვნად შემცირების თაობაზე. ამასთან, აღნიშნული აქტი არ შეიცავს მითითებას მასზე, რომ აღნიშნულ მინის ნაკვეთთან მისასვლელი სხვა გზის მოწყობა შეუძლებელია. ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ სასამართლოს სხდომაზე მოპასუხის მიერ მიცემული განმარტებით, იგი თანახმაა მინის ნაკვეთამდე მისასვლელი გზის მოწყობაზეც. აუდიტის დასკვნას იმ ნაწილში, რომ რადგან სადავო მინის ნაკვეთი შემოვლითი რკინიგზის ხაზის გაყვანამდე მდებარეობდა სავალი გზის პირას და ერთ სიბრტყეში იყო სავალ გზასთან, ხოლო სამშენებლო სამუშაოების შედეგად ერთ განზომილებაში არსებული გზა და მინის ნაკვეთი აღმოჩნდა 3-4 მეტრის სიმაღლის სხვაობით სხვადასხვა სიბრტყეში, რაც გავლენას ახდენს მინის ნაკვეთის ფუნქციურ დანიშნულებაზე, საკასაციო პალატა არ იზიარებს დაუსაბუთებლობის გამო.

54. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ამ ნაწილში, კასატორმა წარმოადგინა დასაბუთებული (დასაშვები) საკასაციო პრეტენზია. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ზიანის ოდენობის განსაზღვრის მიზნით, სასამართლოს შეუძლია მიმართოს ამ კოდექსში გათვალისწინებულ ღონისძიებებს, რაც ბუნებრივია, არ ნიშნავს დისპოზიციურობის პრინციპთან წინააღმდეგობას. „სსსკ-ის 162-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, მოსამართლე უფლებამოსილია თავისი ინიციატივით დანიშნოს ექსპერტიზა ისეთ საკითხზე, რომლის განმარტებასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმის გადაწყვეტისთვის და ამ საკითხზე მოსამარ-

თლეს სპეციალური ცოდნა არ გააჩნია“ (მდრ: სუსგ №ას-60-60-2018, 24 ივლისი, 2018 წელი, პ-20). სხვა საქმეში, საკასაციო პრეტენზიაზე მსჯელობისას საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს სრული უფლება ჰქონდა სადავო საკითხის გადასაწყვეტად დაენიშნა ექსპერტიზა თავისი ინიციატივით სსსკ-ის 162-ე და 173-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, რაც განსახილველი დავის გადაწყვეტისათვის იყო აუცილებელი (იხ., სუსგ №ას-867-834-2016, 22 ნოემბერი, 2018 წელი, პ-67).

55. ამასთან, საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს კასატორის იმ პრეტენზიასაც, რომელიც ზიანის მიყენებაში დაზარალებულის ბრალეულობას შეეხება და აღნიშნავს, რომ როგორც საქმის მასალებითაა დადგენილი ქ. თბილისში, დიდი ლ., სოფელ პატარა ლ-ი, ქ. თბილისის შემოვლითი სარკინიგზო ხაზის მშენებლობის პროექტის ფარგლებში, სამშენებლო სამუშაოებს ასრულებდა პირველი მოპასუხე და კონტრაქტორი კომპანია 2010 წლის 14 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

56. როგორც მოსარჩელე აღნიშნავს, მას განზრახული ჰქონდა სახლის აშენება თავის მიწის ნაკვეთზე და დაინტერესებული იყო რაიმე ხელშემშლელი ფაქტორის არსებობის დადგენით, რისთვისაც მან მიმართა მეორე მოპასუხეს. 2013 წლის 18 თებერვალს განცხადების პასუხად მოსარჩელეს ეცნობა, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთი არ წარმოადგენს საჭიროებას თბილისის შემოვლითი რკინიგზის პროექტის განხორციელებისათვის.

57. მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ მოსარჩელემ 2014 წლის 29 ივლისს 2000 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან გაასხვისა 1000 კვ.მ 20 000 აშშ დოლარად გ. ქ-ეზე და შემძენმა საკუთრების უფლება დაარეგისტრირა საჯარო რეესტრში (იხ., ამ განჩინების პ-38).

58. კასატორი საკასაციო პრეტენზიაში აღნიშნავს, რომ სარჩელის აღძვრამდე მოსარჩელისათვის ცნობილი იყო, რომ ამ ნაკვეთის ნაწილის გასხვისებით გაიუარესებდა მდგომარეობას და ვეღარ შეძლებდა თავისთვის დატოვებულ ნაკვეთთან მისვლას საავტომობილო გზით. მიწის ნაკვეთი მოსარჩელემ გაასხვისა თავის ახლო ნათესავზე, ბიძაშვილზე, რაც დაადასტურა პირველი ინსტანციის სასამართლოში. არსებობს საფუძველიანი ეჭვი იმის შესახებ, რომ მან ეს ნაკვეთი კი არ გაყიდა, არამედ ფორმალურად გადააფორმა ნათესავზე. სხვა შემთხვევაში მას ნაკვეთის გასხვისებისას უნდა დაეტოვებინა (და ყველა ნორმალური ადამიანი ასე მოიქცეოდა) თავის ნაკვეთთან მისასვლელი გზა (იხ., საკასაციო პრეტენზია ამ განჩინების პ-32; აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ასევე იხ., მოპასუხეთა შედავება პირველ ინსტანციაში. საკასაციო

პალატას მიაჩნია, რომ ამ განჩინების პპ:45-54-ში მოცემული მსჯელობასთან ერთობლიობაში კასატორის აღნიშნული პრეტენზიაც დასაშვებად (დასაბუთებულად) უნდა იქნეს მიჩნეული, რადგან სააპელაციო პალატას გასაჩივრებულ განჩინებაში არ უმსჯელია ამ გარემოებაზე.

59. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება იურიდიულად დაუსაბუთებელია (სსსკ-ის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილი), აღნიშნული გარემოება კი, სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია.

60. სსსკ-ის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა.

61. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს ამ განჩინების პ. 2-5 მითითებულ სარჩელის ფაქტობრივ გარემოებებზე და მიაჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნის ფაქტობრივი შემადგენლობა (აღწერილობა) სამართლებრივ მონესრიგებას საჭიროებს დელიქტური ვალდებულებებით გათვალისწინებული საფუძვლიდან – სსკ-ის 992-ე მუხლი.

62. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ქონებრივი პასუხისმგებლობის ვალდებულ პირზე დასაკისრებლად საჭიროა, რომ სახეზე იყოს სამართალდარღვევის შემადგენლობა. შემადგენლობის ორგანიზმს ჰქმნის სამართლებრივად ფასეულ სუბიექტურ და ობიექტურ გარემოებათა ერთობლიობა, რომელთა თანაარსებობა მოვალეზე პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველია. ამ შემადგენლობის ელემენტებია: სამართალდარღვევის შედეგად მიყენებული ზიანი; დამრღვევის მართლსაწინააღმდეგო ქმედება; მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის; სამართალდარღვევის ბრალი. (ე.წ. „გენერალური დელიქტი“).

63. განსახილველ შემთხვევაში, ვინაიდან მხარეები არ იმყოფებოდნენ სახელშეკრულებო ურთიერთობაში, სააპელაციო სასამართლომ სწორად იმსჯელა ზიანის წარმოშობაზე 992-ე მუხლის სამართლებრივი საფუძვლით, თუმცა, იმავდროულად, ყურადღების მიღმა დარჩა დაზარალებულის – მოსარჩელის მოქმედების შეფასება, რაც მნიშვნელოვანია ზიანის ოდენობის განსაზღვრისათვის, რადგან, თუ ზიანის წარმოშობას ხელი შეუწყო დაზარალებულის

მოქმედებამაც, მაშინ ზიანის ანაზღაურების მოცულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ უფრო მეტად რომელი მხარის ბრალით არის ზიანი გამონვეული.

64. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს, როგორც ზიანის ოდენობაზე, ისე მხარეთა ბრალეულობის ხარისხზე და ამგვარად განსაზღვროს ვალდებული პირის პირველი მოპასუხის მიერ ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობა.

65. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს იმავე შემადგენლობას.

66. სსსკ-ის 53-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულება ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განანილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მოცემულ საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას უნდა გადაწყვიტოს სასამართლო ხარჯების მხარეთა შორის განანილების საკითხიც.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „ჩ-ის რ-ის 2-ოს ჯგუფის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სოლიდარული პასუხისმგებლობა მიყენებული
ზიანისთვის**

**გადაწყვეტილება
საქართველოს სასჯელით**

№ას-1423-1343-2017

18 ივლისი, 2018 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა**
**შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავიძე**

დავის საგანი: ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. გ. ა-ძე (შემდეგში: მოსარჩელე, შემსრულებელი, დაზარალებული, პირველი აპელანტი ან კასატორი) შპს „პ. ბ-ის“ (შემდეგში: დამკვეთი, პირველი მოპასუხე ან მეორე აპელანტი) დაკვეთით ასრულებდა სამუშაოებს სამშენებლო მოედანზე, რისთვისაც ყოველთვიურად იღებდა ხელფასს – 1 000 ლარს (იხ. ხელშეკრულება).

2. მოსარჩელის მიერ, სამუშაოების შესრულების დროს, კერძოდ, ქ. ფოთში, მდებარე წყლის რეზერვუარის მშენებლობისას, 2015 წლის 9 თებერვალს, ა. კ-ას (შემდეგში: მძღოლი ან მეორე მოპასუხე) მართვის ქვეშე მყოფი სატვირთო ავტომანქანა უკუსვლით მოძრაობის დროს შეეჯახა რკინის ქარხნულ ხარაჩოს, რის გამოც ხარაჩოდან 5 მეტრის სიმაღლიდან გადმოვარდა მოსარჩელე და მიიღო სხეულის დაზიანება. კერძოდ, მარჯვენა წვივის ორივე გოჯის ღია ნამსხვროვანი მოტეხილობა, ფრაგმენტების ცდომით, ტერფის ქვეამოვარდნილობა. მარცხენა ქუსლის ძვლის მოტეხილობა ნახეთქი ჭრილობა მარჯვენა წვივის ლატერალური გოჯის მიდამოში, რომელიც განვითარებულია მკვრივი, ზღაგვი საგნის ზემოქმედების შედეგად, აღნიშნული დაზიანებები სხეულის დაზიანებათა ნაკლებად მძიმე ხარისხს მიეკუთვნება, ჯანმრთელობის ხანგრძლივი მოშლის ნიშნით. მოსარჩელე ამჟამად ეტლით გადაადგილდება (იხ. ექსპერტიზის დასკვნები და სამედიცინო ბარათი).

3. შპს „კ.ჯ.“ (შემდეგში: კონტრაქტორი, მესამე მოპასუხე ან მესამე აპელანტი) აწარმოებდა ქ. ფოთში,, სს „გ.წ. კომპანიის“ (შემდეგში: კომპანია) დაკვეთით წყლის რეზერვუარების მშენებლობას, დამსაქმებლისა და შპს „ჯ.ა.კ-ის“ (შემდეგში: მეოთხე მოპასუ-

ბე, მეოთხე აპელანტი, მყიდველი ან ქვეკონტრაქტორი) მეშვეობით (იხ. ხელშეკრულება).

4. კონტრაქტორსა და ქვეკონტრაქტორს შორის დაიდო ხელშეკრულება, ქ. ფოთში, მდებარე წყლის რეზერვუარის მშენებლობაზე სამუშაოების შესრულების შესახებ. თავის მხრივ, მეოთხე მოპასუხემ სამუშაოების შესრულების მიზნით, გააფორმა მიწის ყიდვისა და შეტანის ხელშეკრულება, ი/მენარმე გ. გ-თან (შემდგენი: მეხუთე მოპასუხე ან გამყიდველი), ხოლო ამ უკანასკნელმა მითითებული ვალდებულების შესასრულებლად გააფორმა ხელშეკრულება მძლოლთან (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების მე-2 პუნქტი), მისივე კუთვნილი სატვირთო მანქანით ზემოხსენებული წყლის რეზერვუარის მშენებლობაზე, მიწის გადაზიდვის თაობაზე (იხ. ხელშეკრულებები).

5. კონტრაქტორსა და ქვეკონტრაქტორს შორის დადებული 2015 წლის 18 იანვრის ხელშეკრულების 3.11 მუხლის თანახმად, ქვეკონტრაქტორი (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების მე-4 პუნქტი) ვალდებული იყო, სამუშაოები ისე დაეგეგმა, რომ ხელი არ შეშლოდა ობიექტზე იმავდროულად მიმდინარე სამუშაოებს და საფრთხე არ შექმნოდათ მუშებს; ამავე ხელშეკრულების 7.5. მუხლის თანახმად, ქვეკონტრაქტორი დანიშნავდა სამონტაჟო ობიექტზე უბედური შემთხვევის აღკვეთის ოფიცერს, რომელიც პასუხისმგებელი იქნებოდა უსაფრთხოებაზე და უბედური შემთხვევის დაცვაზე (იხ. ხელშეკრულება).

6. მეოთხე მოპასუხესა და გამყიდველს შორის 2015 წლის 5 თებერვალს დადებული ხელშეკრულების 4.5.1 მუხლის თანახმად, გამყიდველი ვალდებული იყო, უზრუნველყო ტრანსპორტირების უსაფრთხოება (იხ. ხელშეკრულება, ასევე – წინამდებარე გადაწყვეტილების მე-4 პუნქტი).

7. ქ. ფოთში, მდებარე წყლის რეზერვუარის მშენებლობისას, 2015 წლის 9 თებერვალს მომხდარი შემთხვევის დროს, მოსარჩელის მიერ სამუშაოს წარმოება, საქმის მასალების მიხედვით, მიმდინარეობდა მოქმედი ნორმების შესაბამისად, აღნიშნული სამუშაოს შესრულებაში, რაიმე ნორმების გაუთვალისწინებლობა არ შეიმჩნევა. 2015 წლის 9 თებერვალს, წყლის რეზერვუარის მშენებლობისას სატვირთო ავტომანქანის უკუსვლით მოძრაობისას სამუშაო არ სრულდებოდა მოქმედი ნორმების შესაბამისად. არ იყო გათვალისწინებული СРиП III – 4-80 – „უსაფრთხოების წესები მშენებლობაში“ 2.6 პუნქტში მითითებული მოთხოვნა უნდა გაეთვალისწინებინა კონტრაქტორის წარმომადგენელს, რომელსაც ევალებოდა ობიექტზე უსაფრთხოების წესების დაცვა. არ იყო გათვალისწინებული СРиП III-4-80 – „უსაფრთხოების წესები მშენებლო-

ბაში“ 5.15 პუნქტში მითითებული მოთხოვნები. მძღოლს უნდა გაეთვალისწინებინა აღნიშნული პუნქტის მოთხოვნები (იხ. 2015 წლის 27 თებერვლის №001166115 სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნა).

8. სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 2 მარტის განჩინებით სს „ს. ბ-სა“ და დაზარალებულს, ვ. კ-ს, ს. ა-სა და ლ. ჭ-ქეს (შემდეგში: მოსარჩელის მეუღლე) შორის მორიგება დამტკიცდა, რომლის მიხედვითაც მოპასუხეებმა იკისრეს ვალდებულება, ბანკის წინაშე, მოსარჩელის მეუღლის მიერ შესასრულებელი ვალდებულება – 28 901.12 ლარი, 60 თვის განმავლობაში გადაეხადათ (იხ. განჩინება).

9. მოსარჩელის მეუღლემ, 2015 წლის 5 ივლისს, სესხად აიღო 1 000 ლარი, 2015 წლის 13 მაისს – 600 ლარი, 2015 წლის 20 მაისს – 300 ლარი და 2015 წლის 9 მარტს – 300 ლარი, სულ – 2 200 ლარი.

10. მოსარჩელემ დაზიანების შედეგად პროფესიული შრომის უნარი 60%-ით დაკარგა (იხ. სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა).

11. სარჩელის საფუძვლები

11.1. დაზარალებულმა 2015 წლის 9 ივნისს საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა მოპასუხეების წინააღმდეგ და მათთვის, დაზარალებულის სასარგებლოდ, სოლიდარულად, მიყენებული ზიანის 31 101.12 ლარის, სარჩოს – 1 000 ლარის 2015 წლის 9 ივნისიდან, ყოველთვიურად, მოსარჩელის გამოჯანმრთელებამდე და მორალური ზიანის – 10 000 ლარის დაკისრება მოითხოვა.

11.2. მოსარჩელემ ამ გადაწყვეტილების 1-10 ქვეპუნქტებზე მითითებით განმარტა, რომ 2015 წლის 9 თებერვალს, სამუშაოს შესრულების დროს შემსრულებელი დაშავდა შრომის წესების უხეში დარღვევის გამო. ჯანმრთელობის დაზიანების შემდეგ იგი ვერ იღებს ხელფასს და, შესაბამისად, ვერ იხდის საკრედიტო დავალიანებას. ასევე, მოსარჩელის მკურნალობისათვის, მისი ოჯახის წევრებმა სესხის ხელშეკრულება გააფორმეს. ხელშეკრულებების თანახმად, ობიექტზე უსაფრთხოების წესების დაცვა ყველა მოპასუხეს ევალებოდა, რაც ქმნის მათზე ზიანის სოლიდარულად დაკისრების საფუძველს.

11.3. დაზარალებული მიიჩნევს, რომ მოსარჩელეს სამუშაოს შესრულების დროს მისთვის მიყენებული ჯანმრთელობის დაზიანების გამო მიადგა მორალური ზიანი – 10 000 ლარის ოდენობით.

12. მოპასუხეთა შესაგებლები

12.1. მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს დაუსაბუთებლობისა და უსაფუძვლობის მოტივით.

12.2. პირველმა და მეხუთე მოპასუხეებმა ფორმალური შესაგე-

ბელი წარადგინეს მხოლოდ იმ გარემოებაზე მითითებით, რომ სარჩელში მითითებულ არც ერთ ფაქტობრივ გარემოებასა და მოთხოვნას არ ეთანხმებიან.

12.3. მეორე მოპასუხის განმარტებით, მან დაზარალებულს მკურნალობისათვის განეული ხარჯი – 2 000 ლარი აუნაზღაურა, სხვა ხარჯის განევის დამადასტურებელი მტკიცებულება კი მოსარჩელეს არ წარუდგენია.

12.4. მესამე და მეოთხე მოპასუხებმა მიუთითეს, რომ ისინი არასათანადო მოპასუხეები არიან.

13. ფოთის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნები

13.1. ფოთის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილებით დაზარალებულის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა:

13.1.1. მოპასუხეებს მოსარჩელის სასარგებლოდ სოლიდარულად ზიანის – 13 000 ლარის გადახდა დაეკისრათ;

13.1.2. მოპასუხეებს მოსარჩელის სასარგებლოდ სოლიდარულად მორალური ზიანის 8 000 ლარის გადახდა დაეკისრათ;

13.1.3. დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

13.2. საქალაქო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს შრომის კოდექსის (შემდეგში: სშკ) 35-ე მუხლის პირველი, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 ნაწილებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ) 408-ე მუხლის პირველი ნაწილით, 412-ე, 992-ე მუხლებით, 413-ე მუხლის პირველი ნაწილით და დადგენილად მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში, დამსაქმებლის მიერ არ იყო შექმნილი მაქსიმალურად უსაფრთხო სამუშაო გარემო, რასაც მოჰყვა მოპასუხის ჯანმრთელობის დაზიანება და, შესაბამისად, დამკვეთი ვალდებულია მოსარჩელეს მიყენებული ზიანი აუნაზღაუროს.

13.3. საქალაქო სასამართლოს შეფასებით ამ გადაწყვეტილების 13.2 ქვეპუნქტში დასახელებული მუხლების თანახმად, მოსარჩელის ჯანმრთელობის დაზიანებისას ვალდებულების განსაზღვრისათვის, მხედველობაშია მისაღები პროფესიული შრომის უნარის დაკარგვის ხარისხი. ამასთან, თუ სხეულის დაზიანებით ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად დაზარალებულს წაერთვა შრომის უნარი ან შეუმცირდა იგი, ანდა იზრდება მისი მოთხოვნები, დაზარალებულს უნდა აუნაზღაურდეს ზიანი ყოველთვიური სარჩოს გადახდით იმ ოდენობით, რა ოდენობითაც მოსარჩელე მიიღებდა ხელფასს ზიანის ანაზღაურების მავალდებულებული გარემოება რომ არ დამდგარიყო.

13.4. სასამართლომ განმარტა, რომ მოსარჩელეს არ წარუდგე-

ნია შრომის უნარის დაკარგვის ხარისხის განსაზღვრისათვის რაიმე მტკიცებულება და, შესაბამისად, მისი შრომის უნარის დაკარგვის ხარისხი არ იყო განსაზღვრული. ამ პირობებში, მოსარჩელის სასარგებლოდ სარჩოს სამომავლოდ დაკისრება დაუსაბუთებელი იყო და სარჩელი ამ ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

13.5. სასამართლომ დაასკვნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, დასაკისრებელი ზიანის ოდენობა უნდა განსაზღვრულიყო მოსარჩელის მოთხოვნის შესაბამისად, სარჩელის აღძვრიდან 2015 წლის ივნისის თვიდან, გადაწყვეტილების გამოტანის მომენტიდან, მოსარჩელის მიერ მიუღებელი 13 თვის ხელფასის – 13 000 ლარის ოდენობით, რადგან მოპასუხეთა ქმედებით, მოსარჩელის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის გამო, მოსარჩელე არ მუშაობდა და, შესაბამისად, მან ვერ მიიღო 13 თვის ხელფასი, რაც მოსარჩელისათვის მიყენებული რეალური ზიანია.

13.6. სასამართლომ მიიჩნია, რომ არ უნდა დაკმაყოფილებულიყო მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხეებისათვის, ზიანის სახით, მოსარჩელის საკრედიტო დავალიანების 28 901.12 ლარის და, ასევე, მოსარჩელის ოჯახის წევრების მიერ გაფორმებული სესხის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე, დავალიანების 2 200 ლარის დაკისრების თაობაზე, რადგან, მოვალეს არ შეიძლება დაეკისროს იმის ანაზღაურება, რისი გთვალისწინებაც მას წინასწარ არ შეეძლო. როგორც ზემოთ აღინიშნა, მოსარჩელისათვის მიყენებული რეალური, ამასთან მოვალეებისათვის წინასწარ განსაზღვრული ზიანი 13 თვის მიუღებელი ხელფასი – 13 000 ლარია.

13.7. საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელეს მიადგა ზიანი, რომლის დადგომაშიც მოპასუხეები სოლიდარულად არიან პასუხისმგებელი, კერძოდ, გამოკვეთილი იყო თითოეული მათგანის პასუხისმგებლობა, კერძოდ: პირველმა მოპასუხემ, როგორც დამკვეთმა, ვერ უზრუნველყო შემსრულებლისათვის უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნა, ასევე – კონტრაქტორს, ქვეკონტრაქტორსა და გამყიდველს, ხელშეკრულებით ევალებოდათ სამშენებლო მოედანზე უსაფრთხოების წესების დაცვაზე კონტროლი, ხოლო მძლოლი უსაფრთხოების წესების დარღვევით მართავდა სატვირთო ავტომობილს.

13.8. სასამართლომ განმარტა, რომ მორალური ზიანის დაკისრებისათვის მნიშვნელოვანია ისეთი კრიტერიუმები, როგორიცაა სამართალდამრღვევის ბრალეულობა, დამდგარი ზიანის სიმძიმე, ბრალის ხარისხი და ზიანის მიმყენებლის გადახდისუნარიანობა. სასამართლოს შეფასებით, ამ შემთხვევაში მიყენებული ზიანი მძიმეა. მოსარჩელეს თითქმის 17 თვეა დაკარგული აქვს შრომის უნარი, იგი ეტლით გადაადგილდება, რაც უდავოდ არის დაკავშირებული

ლი, როგორც ფიზიკურ, ასევე – სულიერ ტკივილთან. მოპასუხეების უმრავლესობა გადახდისუნარიანი კომპანიებია. აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ გონივრულად და სამართლიანად მიიჩნია, მოპასუხეებისათვის სოლიდარულად, მორალური ზიანის სახით 8000 ლარის დაკისრება.

14. მოსარჩელის სააპელაციო საჩივრის საფუძვლები

14.1. დაზარალებულმა (პირველმა აპელანტმა) საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა, მისი ნაწილობრივ გაუქმება და სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

14.2. პირველი აპელანტის განმარტებით ზიანის ანაზღაურება მიმართულია დაზარალებულის ქონებრივი სფეროს აღდგენისაკენ ზიანის მიმყენებლის ქონების ხარჯზე. როგორც წესი, ზიანი მოიცავს როგორც ფაქტობრივ ქონებრივ დანაკლისს, ისე მიუღებელ შემოსავალსაც.

14.3. დაზარალებული მიიჩნევს, რომ მოპასუხეებს სოლიდარულად და უპირობოდ უნდა დაეკისროთ ყოველთვიური სარჩოს გადახდა 1000 ლარის ოდენობით მოსარჩელის გამოჯანმრთელებამდე.

14.4. შემსრულებლის მითითებით, სასამართლომ არასწორად განმარტა სსკ-ის 412-ე მუხლი. მოპასუხეებმა იცოდნენ, რომ მოსარჩელე ოჯახის ერთადერთი მარჩენალი იყო, რომლის კმაყოფაზე მეუღლე და სამი არასრულწლოვანი ქალიშვილი იმყოფებოდნენ. მოპასუხეთა მხრიდან დაზარალებულის ყოველგვარი ფინანსური დახმარების გარეშე დატოვება, გამოიწვევდა დამატებით მატერიალურ ზიანს.

15. დამსაქმებლის სააპელაციო საჩივრის საფუძვლები

15.1. დამკვეთმა (პირველმა მოპასუხემ) საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა, მისი ნაწილობრივ გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

15.2. დამკვეთის განმარტებით, სასამართლოს მსჯელობა პირველი მოპასუხის მხრიდან უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფის მოთხოვნის დარღვევაში არის დაუსაბუთებელი და გადაწყვეტილების როგორც ფაქტობრივ ნაწილში, ასევე სამოტივაციო ნაწილში არ არის მითითებული კონკრეტულად რაში გამოიხატა მეორე აპელანტის მხრიდან უსაფრთხო სამუშაო გარემოების უზრუნველყოფის მოთხოვნის დარღვევა.

15.3. პირველმა მოპასუხემ აღნიშნა, რომ სასამართლომ არასწორად დაადგინა ხელფასის ოდენობა და მორალური ზიანის დაკისრების წინაპირობები.

16. კონტრაქტორის სააპელაციო საჩივრის საფუძვლები

16.1. კონტრაქტორმა (მესამე მოპასუხემ) საქალაქო სასამართლოს გადანყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა, მისი ნაწილობრივ გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

16.2. მესამე აპელანტის განმარტებით საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ) 85-ე მუხლის თანახმად, კონტრაქტორი არასათანადო მოპასუხეა. კონტრაქტორი შემთხვევის ადგილზე სამუშაოებს უშუალოდ არ აწარმოებდა, შესაბამისად, უსაფრთხოების საკითხის რეგულირება მის ვალდებულებას არ წარმოადგენდა.

17. ქვეკონტრაქტორის სააპელაციო საჩივრის საფუძვლები

17.1. ქვეკონტრაქტორმა (მეოთხე მოპასუხემ) საქალაქო სასამართლოს გადანყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა, მისი ნაწილობრივ გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

17.2. მეოთხე აპელანტის განმარტებით სარჩელი და მასში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები უდავოდ ადასტურებს, რომ ქვეკონტრაქტორს შემსრულებელზე მიყენებულ ზიანთან არავითარი კავშირი არ აქვს. ამის თაობაზე მეოთხე აპელანტმა მიუთითა თავის შესაგებელში და მოსარჩელესაც არ დაუზუსტებია მოსამზადებელ ეტაპზე სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები, არ მიუთითებია, რომ ქვეკონტრაქტორ კომპანიაში სამშენებლო მოედანზე იყო უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი.

17.3. მეოთხე აპელანტს მიაჩნია, რომ საქმეში წარდგენილი მტკიცებულებებით ცალსახად დასტურდება, რომ მეოთხე აპელანტი საერთოდ არანაირ კავშირში არ არის მომხდარ ფაქტთან და დადგენილია იმ პირთა წრე, ვინც უშუალოდ მიაყენა ზიანი და ვინც უნდა აგოს პასუხი მიზეზ-შედეგობრივი კავშირის გათვალისწინებით. სასამართლომ ზიანის მიყენების ფაქტის დადგენის შემდეგ უნდა დაადგინოს, კონკრეტულად ვისი ბრალით დადგა ზიანი, დაუშვებელია ზიანის ანაზღაურება მოსთხოვო ყველა იმ კომპანიას, ვინც აღნიშნულ ობიექტზე სახელშეკრულებო ურთიერთობით გამოდიოდა შუამავალ კომპანიად. საქმეში წარდგენილი არ არის არც ერთი მტკიცებულება, რომ მეოთხე მოპასუხე რაიმე სამუშაოს ასრულებდა ობიექტზე, როდესაც მოსარჩელე დაშავდა. საქმეში წარდგენილია მტკიცებულება და დადგენილია კონკრეტული პირი, რომლის ქმედების შედეგადაც დადგა საზიანო შედეგი. სასამართლომ საქმის განხილვის დროს დაადგინა ისეთი ფაქტობრივი გარემოებები, რომელზედაც მოსარჩელეს არ მიუთითებდა სარჩელ-

ში ფაქტობრივ გარემოებად, რაც მოქმედი სსსკ-ის შესაბამისად დაუშვებელია.

17.4. მეოთხე აპელანტი მიიჩნევს, რომ სასამართლომ არასწორად გამოიყენა სსკ-ის 992-ე მუხლი, ვინაიდან ის პირია ვალდებულებული აანაზღაუროს ზიანი, ვინც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით ზიანს მიაყენებს.

18. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნები

18.1. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილებით:

18.1.1. პირველი აპელანტის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა;

18.1.2. მეორე აპელანტის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა;

18.1.3. მესამე აპელანტის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა;

18.1.4. მეოთხე აპელანტის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა;

18.1.5. გაუქმდა ფოთის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა დაზარალებულის სარჩელი მძღოლისა და ქვეკონტრაქტორის მიმართ;

18.1.6. გაუქმდა ფოთის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც დაკმაყოფილდა დაზარალებულის სარჩელი დამსაქმებლისა და კონტრაქტორის მიმართ;

18.1.7. დანარჩენ ნაწილში ფოთის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი;

18.1.8. შემსრულებლის სარჩელი მეორე და მეოთხე მოპასუხებების მიმართ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა;

18.1.9. მძღოლსა და ქვეკონტრაქტორს მოსარჩელის სასარგებლოდ 2016 წლის 9 ივნისიდან სოლიდარულად ყოველთვიური სარჩოს, 600 ლარის, გადახდა დაეკისრათ;

18.1.10. დაზარალებულის სარჩელი პირველი და მესამე მოპასუხებების მიმართ არ დაკმაყოფილდა.

18.2. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ამ გადაწყვეტილების 1-10 პუნქტებში დასახელებული ფაქტობრივი გარემოებები, სსკ-ის 992-ე მუხლზე მიუთითა და აღნიშნა, რომ მძღოლი დამკვეთ ან კონტრაქტორ კომპანიაში დასაქმებული არ ყოფილა. მართალია, შსს ფოთის საქალაქო სამმართველოში დაკითხვის დროს მძღოლმა განმარტა, რომ სამუშაოს ასრულებდა კონტრაქ-

ტორის დაკვეთით იმ ტერიტორიაზე, რომელზეც სამუშაოს ასრულებდა დამკვეთი, თუმცა, იქვე აღნიშნა, რომ კონტრაქტორ კომპანიაში სამუშაოდ მიიყვანა ნაცნობმა, რომლისგანაც აღნიშნული შპს მიწას ყიდულობდა. საქმის მასალებით კი დგინდება, რომ მძლოლი სამუშაოს ახორციელებდა არა კონტრაქტორთან, არამედ – მეხუთე მოპასუხესთან (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების მე-4 პუნქტი) დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. მეხუთე მოპასუხესთან მიწის ყიდვისა და შეტანის შესახებ ხელშეკრულება კი ქვეკონტრაქტორს ჰქონდა დადებული. თავის მხრივ, ვეკონტრაქტორს კი ე.წ. ქვეკონტრაქტი გაფორმებული ჰქონდა კონტრაქტორთან. მძლოლის განმარტებით, ის კონტრაქტორთან სახელშეკრულებო ურთიერთობებში არ იმყოფებოდა.

18.3. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ დამკვეთის ან კონტრაქტორის მუშაკს მოსარჩელისათვის ზიანი არ მიუყენებია, დამკვეთს მშენებლობის უსაფრთხოების წესები არ დაურღვევია. სასამართლომ საქმის მასალების თანახმად დადგენილად მიიჩნია, რომ ტერიტორიაზე სასიგნალო მონყობილობა დამონტაჟებული იყო. მოწმე გ. კ-ქმ განმარტა, რომ, მართალია, უშუალოდ ხარაჩოს სასიგნალო შემოღობვა არ ჰქონია, თუმცა, სამშენებლო მოედნის თავსა და ბოლოში 8 მ სიგრძესა და მიწიდან დაახლოებით 20 სმ სიმაღლეზე ჩარჭობილი იყო არმატურის ღეროები, რომლებზეც შემოხვეული იყო ლენტი. იგივე დაადასტურა მოწმე გ. გ-ქმ, რომელმაც მიუთითა, რომ ბაფთებიანი შემოღობვა ჰქონდა თავად ხარაჩოსაც. სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტმა განმარტა, რომ მსგავსი მონყობილობა სასიგნალო შემოღობვის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენდა.

18.4. სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ სასიგნალო შემოღობვა უბედური შემთხვევის პრევენციას ვერ მოახდენდა, ეს კი ნიშნავს, რომ დამდგარ შედეგსა და სამშენებლო მოედანზე სასიგნალო შემოღობვის არსებობა-არარსებობას შორის მიზეზობრივი კავშირი არ არსებობდა და, ამის გამო, დამკვეთის მიმართ მოსარჩელის მოთხოვნა უსაფუძვლოა.

18.5. სააპელაციო სასამართლომ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 28 მარტის №62 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის უსაფრთხოების წესების პირველი მუხლის მეორე პუნქტზე, მეორე მუხლის პირველ პუნქტზე, პირველი მუხლის მე-3 პუნქტსა და პირველი მუხლის მე-4 პუნქტზე დაყრდნობით განმარტა, რომ მშენებლობის უსაფრთხოების წესების დაცვაზე პასუხისმგებელი არის ის, ვინც უშუალოდ ახორციელებს სამშენებლო სამუშაოებს. 2015 წლის 18 იანვრის ხელშეკრულების 3.10 პუნქტის თანახმად,

ქვეკონტრაქტორს ევალუბოდა სამუშაოები დაეგემა ისე, რომ საფრთხე არ შეექმნა მომუშავე პირებისათვის. მისივე ვალდებულებას შეადგენდა სამუშაოს შესასრულებლად აუცილებელი ყველა დროებითი მისასვლელის უზრუნველყოფა. ხელშეკრულების 7.5. პუნქტის თანახმად კი, ქვეკონტრაქტორს უნდა დაენიშნა სამონტაჟო ობიექტზე უბედური შემთხვევის აღკვეთის ოფიცერი, რომელიც პასუხისმგებელი იქნებოდა უსაფრთხოებასა და უბედური შემთხვევისაგან დაცვაზე. სასამართლოს შეფასებით დავალებული სამუშაოს მართებულად შესრულება სწორედ ქვემონარდის ვალდებულება იყო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ავტომობლის მოძრაობის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობაც სწორედ იმ ქვემონარდეს ეკისრებოდა, ვინც შესაბამის სამუშაოს ასრულებდა.

18.6. კონტრაქტორსა და ქვეკონტრაქტორს შორის დადებული ხელშეკრულების 2.2. პუნქტის თანახმად, ქვეკონტრაქტორს სამუშაო უნდა შეესრულებინა კონტრაქტორის, სამუშაოთა მწარმოების მითითების მიხედვით. უდავოა, რომ მესამე აპელანტი (იხ. ამ გადაწყვეტილების მე-3 პუნქტი) მძლოლთან სახელშეკრულებო ურთიერთობებში არ იმყოფებოდა და ამ უკანასკნელის მიერ შესასრულებელ სამუშაოზე ზედამხედველობას ვერ განახორციელებდა. შესაბამისად, ის, რომ მიყენებული ზიანი კონტრაქტორის ქმედებით იყო გამოწვეული, მოსარჩელემ ვერ დაამტკიცა.

18.7. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მართალია, მძლოლი სამუშაოს უშუალოდ მეხუთე მოპასუხესთან დადებული გადაზიდვის ხელშეკრულების საფუძველზე ასრულებდა, თუმცა, მისი მუშაკი არ ყოფილა და მეხუთე მოპასუხეს მძლოლის მიერ შესასრულებელი სამუშაოს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობა არ გააჩნდა. უდავოა, რომ მოსარჩელეს ზიანი უშუალოდ მძლოლმა მიაყენა, ეს უკანასკნელი მოქმედებდა გაუფრთხილებლად, მისი მოქმედება იყო მართლსაწინააღმდეგო და ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის არსებობდა პირდაპირი მიზეზ-შედეგობრივი კავშირი. გარდა უშუალოდ მძლოლის მოქმედებისა, ზიანი გამოწვეული იყო იმითაც, რომ მის სამუშაოს უსაფრთხოების ინჟინერი არ ზედამხედველობდა. თავად მძლოლის განმარტებიდან დგინდება, რომ მისთვის გამოყოფილ მარშრუტზე შესაკეთებელი ტრაქტორი ეყენა და ამ გზით დანიშნულების ადგილას მისვლა შეუძლებელი იყო. სწორედ ამიტომ შეცვალა თვითნებურად მძლოლმა მოძრაობის მიმართულება. სამშენებლო მოედანზე მეორე მოპასუხის საქმიანობაზე ზედამხედველი უსაფრთხოების ინჟინერი რომ ყოფილიყო, იგი მძლოლის მოძრაობის მიმართულებას გააკონტროლებდა და სახიფათო მანევრის ჩატარების უფლებას არ მისცემდა. ცხადია, რომ უბედური შემთხვევა უსაფრთხოების ინჟინრის არარსებობამაც გა-

ნაპირობა.

18.8. ზემოხსენებულიდან გამომდინარე, როგორც მშენებლობის უსაფრთხოების წესების, ასევე მესამე და მეოთხე მოპასუხეებს შორის დადებული ხელშეკრულების 3.10 და 7.5 პუნქტების საფუძველზე, მეორე მოპასუხის (მძღოლის) საქმიანობაზე ზედამხედველი პირის დანიშვნა მეოთხე აპელანტს ევალებოდა. დადგენილია, რომ ეს ვალდებულება ქვეკონტრაქტორმა სანარმომ არ შეასრულა. ამრიგად, მისი მოქმედება, რომელმაც ზიანი გამოიწვია, იყო მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული.

18.9. სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია დაზარალებულის მოთხოვნა საკრედიტო დანესებულებების მიმართ შესასრულებელი ვალდებულების მოწინააღმდეგე მხარისათვის დაკისრების თაობაზე და განმარტა, რომ სს „ს.ბ-ის“ მიმართ შეუსრულებელ ვალდებულებასთან მოწინააღმდეგე მხარის ქმედება კავშირში არიყო. საქმის მასალებით დგინდებოდა, რომ 2015 წლის 9 მარტიდან იმავე წლის 5 ივნისის ჩათვლით მოსარჩელის მეუღლემ – ლ. ჭ-ქემ ლომბარდისაგან ისესხა ჯამში 2 200 ლარი; თუმცა, მოცემულ შემთხვევაში არ დასტურდებოდა არც ის, რომ ეს თანხა, მოსარჩელის გამოჯანმრთელებისთვის იქნა გამოყენებული და არც ის, რომ სესხის აღება ზემოხსენებულმა უბედურმა შემთხვევამ განაპირობა.

18.10. სსკ-ის 408-ე მუხლის პირველ, მე-2 და მე-4 ნაწილებზე მითითებით სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ზიანის ანაზღაურების ნაცვლად კომპენსაციის მიღების მოთხოვნა გამოწვეულია და ამიტომაც სჭირდება მას მნიშვნელოვანი, ე.ი. განსაკუთრებული, საგამონაკლისო საფუძველი. სარჩოს ნაცვლად კომპენსაციის მიღების მოთხოვნის შემთხვევაში, მოსარჩელე ცვლის, როგორც სარჩელის საფუძველს, ე.ი. უთითებს იმ ფაქტორზე გარემოებებს, რომლებიც სარჩოს ნაცვლად კომპენსაციის მიღების უფლებას ანიჭებს, ასევე – სარჩელის საგანს. მნიშვნელოვანია, რომ კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრით მან, შესაძლოა, დავის საგანი არა მარტო შეცვალოს, არამედ – გაზარდოს კიდევ. სსკ-ის 380-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო არ მიიღებს ახალ ფაქტებს, რომლებიც მხარეს შეეძლო წარედგინა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას, მაგრამ არასაპატიო მიზეზით არ წარადგინა. ფაქტები, რომლებიც შემსრულებელს კომპენსაციის მიღების საფუძველად მიაჩნია: მოწინააღმდეგე მხარის სავარაუდო გადახდისუუნარობა და საკრედიტო ვალდებულებების შესრულების აუცილებლობა – არსებობდა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის დროსაც, თუმცა მათზე, როგორც თავისი მოთხოვნის საფუძველზე, მოსარჩელეს არ მიუთითებია და არც ამის საპატიო მიზეზი განუმარტავს.

18.11. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელის სასარგებლოდ ყოველთვიური სარჩოს გადახდა უნდა დაეკისროთ იმათ, ვისაც ზიანის ანაზღაურება ეკისრება. სარჩო კი არის სხვაობა შემსრულებლის ყოველთვიურ შემოსავლებსა და მის მიერ შენარჩუნებული პროფესიული შრომისუნარიანობის ხარისხს შორის. უბედური შემთხვევის შედეგად, პირველმა აპელანტმა პროფესიული შრომის უნარი 60%-ით დაკარგა. ეს კი ნიშნავს, რომ მონინალმდევე მხარემ მას უნდა აუნაზღაუროს სარჩო ყოველ-თვიურად მიუღებელი შემოსავლის 60%-ის ოდენობით.

19. დაზარალების საკასაციო საჩივრის საფუძვლები

19.1. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა დაზარალებულმა, მისი ნაწილობრივ გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღება მოითხოვა, კერძოდ: კასატორის სასარგებლოდ, 2016 წლის 9 ივნისიდან, ყველა მოპასუხეს სოლიდარულად დაეკისროს:

19.1.1. ყოველთვიური სარჩოს (600 ლარის) გადახდა;

19.1.2. მატერიალური ზიანის სახით სს «ს.ბ.-ინგან» აღებული კრედიტის – 28 901.12 ლარის დაფარვა;

19.1.3. მოსარჩელის მეუღლის მიერ სესხად აღებული 2 200 ლარის ანაზღაურება;

19.1.4. ყველა მოპასუხისათვის მორალური ზიანის სახით (8000 ლარი) გადახდა.

19.2. კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანი სამშენებლო მოედანზე უსაფრთხოების წესების დაცვისათვის პასუხისმგებელი პირის არარსებობამაც გამოიწვია, თუმცა, დაასკვნა, რომ ამ ქმედებისთვის პასუხისმგებელი არ არის კონტრაქტორი კომპანია. აღნიშნულს კასატორი არ ეთანხმება და უთითებს საქართველოს მთავრობის 28.03.2007 წ. №62 დადგენილებაზე, რომლის საფუძველზე განმარტავს, რომ მესამე და მეოთხე მოპასუხეებს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე პასუხისმგებელი ინჟინრის დანიშვნა კონტრაქტორის ვალდებულება არ ყოფილა;

19.3. კასატორი მიიჩნევს, რომ მესამე მოპასუხე პასუხისმგებელი იყო წყლის რეზერვუარის მშენებლობის უსაფრთხო გარემოში წარმართვის თაობაზე, რისთვისაც ობიექტზე უსაფრთხოების წესების დაცვაზე ზედამხედველი პირი ჰყავდა დანიშნული. მესამე და მეოთხე მოპასუხეებს შორის დადებული ხელშეკრულების 7.5 მუხლის შეუსრულებლობაზე პასუხისმგებელია ორივე მხარე, რადგან მისი დაუცველობის გამო მოხდა უბედური შემთხვევა;

19.4. კასატორის განმარტებით, დამკვეთი კომპანიის ხელმძღვანელობამ (მონმე გ. გ-ძე) იცოდა, რომ მოსარჩელეს ჰქონდა პრობ-

ლემური სიტუაცია სს „ს. ბ-თან“, რის გამოც ხელფასს იღებდა ხელზე, სხვა ადამიანის სახელზე კუთვნილი თანხის დარიცხვით. ამდენად, მოსარჩელის მიერ სს „ს. ბ-თან“ ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობა (02.03.2015 წ. სამტრედიის რაიონული სასამართლოს განჩინებით დამტკიცებული მორიგება – იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების მე-8 პუნქტი)) დაამძიმა როგორც პირველი მოპასუხის, ასევე სხვა მოპასუხეთა ბრალეულმა ქმედებებმა.

19.5. კასატორის მოსაზრებით, შეფასებას საჭიროებს გარემოება, რომელიც პირის დასაქმების პერიოდს უკავშირდება. დიდი ალბათობით პირი იმუშავებდა თავისი პროფესიით და მიიღებდა იმ შეღავათებს და უპირატესობას, რასაც ანალოგიურ, თანაბარ პირობებში მყოფი მუშაკი. პრეზუმირებულია, რომ მოსარჩელე საპენსიო ასაკამდე იმუშავებდა. ამდენად, მაღალია ალბათობა იმისა, რომ „ბიზნეს ასპარეზზე“ მოპასუხეთა გაქრობის შემთხვევაში, შეუძლებელი გახდება სარჩოს მიღება, რის გამოც კასატორი ერთჯერად კონპენსაციას ითხოვს, თანაც იმ პირობებში, როდესაც მისი და მეუღლის საცხოვრებელი სახლები გადაფორმდა სს „ს.ბ-ის“ სახელზე და ახლო მომავალში მოსალოდნელია დაზარალებულის, ოჯახთან ერთად, გამოსახლების პროცედურის დაწყება.

20. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

20.1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 18 მაისის განჩინებით დაზარალებულის საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი, სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტების საფუძველზე და მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მტკიცებულებათა გაანალიზებისა და საკასაციო საჩივრის სამართლებრივი დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მოსარჩელის საკასაციო განაცხადი ნაწილობრივ დასაბუთებულია და ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

21. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნო-

ბილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულო საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). საკასაციო სასამართლოს შეფასებით, მოსარჩელეს ნაწილობრივ დასაბუთებული შედავება აქვს წარმოდგენილი.

22. დაზარალებული მის მიერ წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით ოთხ ძირითად მოთხოვნას აყენებს, ის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების იმ ნაწილის გაუქმებას ითხოვს, რომლითაც დამკვეთი და კონტრაქტორი პასუხისმგებელ პირთა სიიდან ამოირიცხნენ და მათ არც ყოველთვიური სარჩოს და არც მორალური ზიანის ანაზღაურება დაეკისრათ, ამასთან, კასატორი სს „ს.ბ.ისგან“ აღებული კრედიტისა და მისი მეუღლის მიერ აღებული სესხის ხუთივე მოპასუხისათვის სოლიდარულად დაკისრებას ითხოვს.

23. საკასაციო სასამართლომ არაერთ საქმეში განმარტა: „სასამართლოს უპირველესი ამოცანაა, დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა (ნორმები), რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რისი მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად განხილული ნორმა (ან ნორმები) შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემომნებაც სასამართლოს პრეროგატივაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს, ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი წინამძღვრის (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა გამორიცხავს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას“ (იხ. სუსგ-ები: №ას-973-1208-04; №ას-1529-1443-2012; №ას-664-635-2016).

24. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები სსკ-ის 396-ე, 992-ე, 998-ე, 408.1, 408.2, 409-ე, 413-ე მუხლებსა და მთავრობის დადგენილების პირველი მუხლის მესამე პუნქტიდან გამომდინარეობს.

24.1. საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანია, მძღოლის,

(პირველი მოპასუხე, რომელსაც სააპელაციო წესით არ გაუსაჩივრებია პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება; იხ. ამ გადაწყვეტილების მე-2 პუნქტი), მყიდველისა (კონტრაქტორი; მეოთხე მოპასუხე; იხ. ამ გადაწყვეტილების მე-4 პუნქტი) და ინდმენარმის (გამყიდველი, მე-5 მოპასუხე, რომელსაც სააპელაციო წესით არ გაუსაჩივრებია პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება; იხ. ამ გადაწყვეტილების მე-4 პუნქტი) გარდა, დამკვეთსა (პირველი მოპასუხე; იხ. ამ გადაწყვეტილების პირველი პუნქტი) და კონტრაქტორს (მესამე მოპასუხე; იხ. ამ გადაწყვეტილების მე-3 პუნქტი) ეკისრებათ თუ არა ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება მოსარჩელის სასარგებლოდ. როგორც საქმის მასალებით დასტურდება მოსარჩელე ხელშეკრულებო ურთიერთობაში იმყოფებოდა დამკვეთთან (01.02.2015 წ. ხელშეკრულება), ხელშეკრულების თანახმად დამკვეთი ვალდებული იყო შემსრულებლისათვის სამუშაოს სანარმოებლად აუცილებელი პირობები შეექმნა (იხ. ხელშეკრულების 3.2.2 ქვეპუნქტი), შემსრულებელი კი სამშენებლო მოედანზე დამკვეთის მიერ მითითებულ სხვადასხვა ტექნიკურ და ფიზიკურ სამუშაოებს შეასრულებდა (ხელშეკრულების 2.1 ქვეპუნქტი). მითითებული ხელშეკრულებით დაკისრებული მოვალეობის შესრულებისას მოსარჩელე სამშენებლო მოედანზე განთავსებულ ხარაჩოზე იმყოფებოდა, სწორედ ამ დროს მოხდა შემთხვევა.

24.2. საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად (რომლის საწინააღმდეგო მტკიცებულებაც მოპასუხეებს არ წარუდგენიათ), შემსრულებელი სამუშაოს მოქმედი ნორმების შესაბამისად ახორციელებდა, თუმცა, მძლოლი (მეორე მოპასუხე) მოქმედი ნორმების უგულებელყოფით მოძრაობდა (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 18.7 ქვეპუნქტი), სატვირთო მანქანას მართავდა და უკუსვლით მოძრაობისას ხარაჩოს გამოედო, რის შედეგადაც მოსარჩელე გადმოვარდა ხარაჩოდან და მიღებული დაზიანებით ჯანმრთელობა სერიოზულად შეერყა; შრომის უნარი 60%-ით აქვს დაკარგული, გადაადგილდება ეტლით. ამავე ექსპერტიზის დასკვნაში ნათქვამია, რომ „უსაფრთხოების წესები მშენებლობაში“ 2.6. პუნქტში მითითებული ნორმები დაირღვა, რისი დაცვაც კონტრაქტორს (მესამე მოპასუხეს) ევალებოდა (იხ. ექსპერტიზის დასკვნა). ექსპერტიზის დასკვნითა და 2015 წლის 18 იანვრის ხელშეკრულებით (კონტრაქტორსა და ქვეკონტრაქტორს შორის; იხ. ამ გადაწყვეტილების მე-3 პუნქტი) ირკვევა, რომ სატვირთო მანქანების მუშაობის პროცესისათვის ზედამხედველობა კონტრაქტორის მიერ დანიშნულ ზედამხედველს უნდა გაენია, რასაც განსახილველ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია (ზედამხედველი დანიშნული არ

ყოფილა), აღნიშნული დასტურდება როგორც დაზარალებულის განმარტებით, ასევე – გამოძიების ეტაპზე მოწმეთა დაკითხვის ოქმებითაც.

24.3. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ექსპერტს უფლება არ აქვს დაადგინოს, თუ ვინ შეიძლება იყოს პასუხისმგებელი სამშენებლო სამუშაოების პროცესში განხორციელებულ თუ განსახორციელებელ ამა თუ იმ ქმედებაზე. აღნიშნულ მოსაზრებასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ექსპერტის შეფასების საგანი არ არის პირისათვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაკისრების წინაპირობები, რაც უდავოდ სასამართლოს კომპეტენციაა, არამედ სამშენებლო სამართლის ნორმების დარღვევა-არდარღვევის საკითხის კვლევაა, რაც უთუოდ მოიცავს იმის დადგენას, თუ ვინ რა ქმედება უნდა განახორციელოს მოქმედი სამშენებლო ნორმების, ხელშეკრულებებისა და თავად მონაწილე პირების ახსნა-განმარტებების მიხედვით. სხვაგვარად შეუძლებელია შეფასდეს მომხდარ შემთხვევასთან მოპასუხე პირების კავშირი, ზიანის დადგომაში მათი (მოპასუხეთა) მონაწილეობის ფაქტი და ინტენსივობა. სწორედ ამ მიზნით ინიშნება ექსპერტიზა, რადგან საკითხი სპეციალურ და შესაბამის ცოდნას მოითხოვს.

25. საკასაციო სასამართლო ამ გადაწყვეტილების 24.1-24.3 ქვეპუნქტებში დასახელებული ნორმებისა და ფაქტობრივ-სამართლებრივი შეფასებების საფუძველზე მიიჩნევს, რომ კასატორის მიმართ ზიანის დადგომაში წვლილი დამკვეთსაც (პირველი მოპასუხესაც) და კონტრაქტორსაც (მესამე მოპასუხესაც) მიუძღვით, რადგან ისინი ვალდებული იყვნენ, მოსარჩელის უსაფრთხოება დაეცვათ, რაც მათ არ განუხორციელებიათ. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოპასუხეთა მხრიდან მათზე დაკისრებული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა იმ ზიანის თავიდან აცილება, რაც მოსარჩელეს მიადგა (სსკ-ის 408.2 მუხლი). მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის მოთხოვნა გამომდინარეობს სსკ-ის 992-ე, 998-ე, 408.1, 408.2, 409-ე მუხლებიდან. შესაბამისად, საკასაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხეებისათვის სოლიდარულად, 2016 წლის 9 ივნისიდან, ყოველთვიური სარჩოს – 600 (ექვსასი) ლარის გადახდის დაკისრების ნაწილში დასაბუთებულია და უნდა დაკმაყოფილდეს.

26. რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას მორალური ზიანის დაკისრების ნაწილში, უნდა აღინიშნოს, რომ დაზარალებულმა სარჩელის აღძვრის დროს მოითხოვა მორალური ზიანის საკომპენსაციოდ 10 000 (ათი ათასი) ლარის სოლიდარულად

ყველა მოპასუხისათვის დაკისრება. ფოთის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილებით, ამ ნაწილში სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და ხუთივე მოპასუხეს სოლიდარულად დაეკისრა 8000 (რვა ათასი) ლარის გადახდა. სააპელაციო სამართალწარმოების ეტაპზე დაზარალებულმა გაასაჩივრა მოპასუხეთათვის სოლიდარულად დაკისრებული სარჩოს ოდენობა და პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებული 600 ლარის ნაცვლად, სარჩო მოითხოვა 1000 ლარის ოდენობით (იხ. დაზარალებულის სააპელაციო საჩივარი). სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული ახალი გადაწყვეტილებით დაზარალებულის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 18.1-18.1.10 ქვეპუნქტები), კერძოდ, დაზარალებულის სასარგებლოდ სარჩოს – 600 ლარის გადახდა, 2016 წლის 9 ივნისიდან, სოლიდარულად დაეკისრათ მეორე მოპასუხეს (მძღოლს, რომელსაც სააპელაციო წესით არ გაუსაჩივრებია პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, 4.15 ქვეპუნქტი; იხ. ასევე – წინამდებარე გადაწყვეტილების მე-2 პუნქტი) და მე-4 მოპასუხეს (მყიდველს; იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების მე-3 პუნქტი), ხოლო დაზარალებულის სარჩელი არ დაკმაყოფილდა პირველი მოპასუხის (დამკვეთს; იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების პირველი პუნქტი) და მესამე მოპასუხის (კონტრაქტორის; იხ. ამ გადაწყვეტილების მე-3 პუნქტი) მიმართ. მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ დაზარალებულს (პირველი აპელანტს) პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მიუღებელი შემოსავლისა და მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში (იხ. 4.15 ქვეპუნქტი) არ გაუსაჩივრებია; მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მოსარჩელის მოთხოვნა და ხუთივე მოპასუხეს სოლიდარულად დაეკისრა მორალური ზიანის სახით დაზარალებულისათვის 8000 ლარის ანაზღაურება, შესაბამისად, სააპელაციო წესით, ამ უკანასკნელს (მოსარჩელეს, როგორც პირველ აპელანტს) შეეძლო ედავა მისი მოთხოვნის სრულად 10 000 ლარით (ანუ მოპასუხეთათვის სოლიდარულად დამატებით 2000 ლარის დაკისრების მოთხოვნით) დაკმაყოფილების ნაწილში, თუმცა, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ამ ნაწილში ნაწილობრივ დაკმაყოფილებული მოთხოვნა მისაღებად და დამაკმაყოფილებლად მიიჩნია მოსარჩელემ, ამიტომაც არ გაუსაჩივრებია იგი სააპელაციო წესით. რაც შეეხება საკასაციო ეტაპზე მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში დაზარალებულის მიერ წარმოდგენილ შედავებს, აღნიშნული ეხება მხოლოდ იმ ნაწილს, რომ სოლიდარულად ხუთივე მო-

პასუხეს და არა მხოლოდ მეორე, მეოთხე და მეხუთე მოპასუხეებს უნდა დაეკისროთ მორალური ზიანის – 8000 ლარის ანაზღაურება მოსარჩელის სასარგებლოდ, რაც დასაბუთებულად მიაჩნია საკასაციო სასამართლოს. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილების ნაწილობრივ შეცვლით, პირველ (დამკვეთი – შპს „ბ. ბ. ს.“), მეორე (მძღოლი – ა. კ-ას), მესამე (კონტრაქტორს – შპს „ჯ. ჯ. ას“), მეოთხე (მყიდველს – შპს „ჯ.ა.კ-ს“) და მეხუთე (გამყიდველს – ინდმენარმე გ. გ-ძეს) მოპასუხეებს სოლიდარულად აკისრებს 8000 (რვა ათასი) ლარის გადახდას დაზარალებულის სასარგებლოდ, რაც იმას ნიშნავს, რომ სარჩელი ნაწილობრივ არის დაკმაყოფილებული და მორალური ზიანის დაკისრების ნაწილში უნდა აღსრულდეს იმგვარად, როგორც ეს დაკმაყოფილებული იყო ფოთის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 9 სექტემბრის გადაწყვეტილებით (იხ. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტი).

27. კასატორის მოთხოვნა საბანკო კრედიტისა და მისი მეუღლის მიერ აღებული სესხის მოპასუხეთათვის დაკისრების თაობაზე უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია (სსკ-ის 412-ე მუხლი). ამ ნაწილში საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობასა და დასკვნებს, რაც წინამდებარე გადანყვეტილების 18.9 ქვეპუნქტშია ასახული.

28. სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას, ხოლო, ამავე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც. განსახილველ შემთხვევაში საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შესაბამისად, დაკმაყოფილებული სასარჩელო მოთხოვნის პროპორციული სახელმწიფო ბაჟის გადახდა მოპასუხეს დაეკისრება სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, რადგან მოსარჩელე სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულებისაგან გათავისუფლებულია. ხოლო სახელმწიფო ბაჟის იმ ნაწილის გადახდა, რაც მოპასუხეებმა მოიგეს, მოსარჩელეს მათ სასარგებლოდ დაეკისრება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა ლ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა :

1. გ. ა-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილების ნაწილობრივ შეცვლით (სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და პროცესის ხარჯების განაწილების ნაწილში) მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. გ. ა-ძის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. გ. ა-ძის სასარგებლოდ მოპასუხეებს: შპს „პ.ბ-ს“, შპს „კ.ჯ-ას“, ი/მ გ.გ-ძეს, ი/მ ა.კ-ას და შპს „ჯ.ა.კ-ს“, 2016 წლის 9 ივნისიდან სოლიდარულად დაეკისროთ ყოველთვიური სარჩოს, 600 (ექვსასი) ლარის გადახდა;
5. დანარჩენ ნაწილში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილება უცვლელად დარჩეს;
6. შპს „პ. ბ-ს“, შპს „კ. ჯ-ას“, ი/მ გ. გ-ძეს, ი/მ ა. კ-ას და შპს „ჯ.ა.კ-ს“ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 2 592 (ორიათას ხუთას ოთხმოცდათორმეტი) ლარის გადახდა დაეკისროთ;
7. ი/მ გ. გ-ძეს, ი/მ ა. კ-ას და შპს „ჯ.ა.კ-ს“ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 2 520 (ორიათას ხუთას ოცი) ლარის გადახდა დაეკისროთ;
8. გ. ა-ძეს შპს „პ. ბ-ის“ სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის – 840 ლარის გადახდა დაეკისროს;
9. გ. ა-ძეს შპს „კ. ჯ-ას“ სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის – 840 ლარის გადახდა დაეკისროს;
10. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად
დამღვარი ზიანის ანაზღაურება**

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით**

№ას-434-413-2015

24 დეკემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),
პ. ქათამაძე (მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. შ. ბ-ძის (შემდეგში – დამზღვევი) საკუთრებაში რიცხულ ავტომანქანა „ინფინიტს“ (სახელმწიფო ნომრით ...), რომელიც დაზღვეული იყო სს „ს.კ.ჯ.კ-ში“ (შემდეგში: სადაზღვევო კომპანია, მოსარჩელე), 2013 წლის 10 სექტემბერს შეეჯახა ავტომანქანა „ფორდ ესკორტი“ (სახელმწიფო ნომრით ...), რომელსაც მართავდა ი. ა-ძე (შემდეგში – პირველი მოპასუხე). ავტოსაგზაო შემთხვევა ამ უკანასკნელის ბრალეულობა მოქმედებამ გამოიწვია.

2. სატრანსპორტო საშუალება, რომელსაც შემთხვევის დღეს პირველი მოპასუხე მართავდა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში ბ. ც-ძის (შემდეგში: მეორე მოპასუხე, კასატორი) სახელზე იყო რეგისტრირებული.

3. ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაზიანდა დაზღვეული ავტომანქანა. სადაზღვევო კომპანიამ დამზღვევს აუნაზღაურა ზიანი – 3316.24 აშშ დოლარის ეკვივალენტი ეროვნული ვალუტით – 5511.59 ლარით.

4. სადაზღვევო კომპანიამ სარჩელი აღძრა მოპასუხეთა წინააღმდეგ 5511.59 ლარის დაკისრების მოთხოვნით.

5. მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ, ვინაიდან მან დამზღვევის ნაცვლად აუნაზღაურა დაზარალებულს ზიანი, სსკ-ის 832-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, ის უფლებამოსილი იყო, მოპასუხეებისათვის მის მიერ გადახდილი თანხის დაკისრება მოეთხოვა. ამასთან, მეორე მოპასუხე ვალდებული იყო, პირველ მოპასუხესთან ერთად, სოლიდარულად აენაზღაურებინა მზღვეველის მიერ გადახდილი თანხა, რამდენადაც ავტოსაგზაო შემთხვევის დროიდან სარჩელის აღძვრამდე ავტომანქანა მასზე იყო რეგის-

ტირიებული.

6. პირველმა მოპასუხემ სარჩელი არ ცნო. მან წარადგინა მოთხოვნის წარმოშობის დამაბრკოლებელი შესაგებელი და მიუთითა, რომ ავტოსაგზაო შემთხვევა დამზღვევის ბრალეულმა ქმედებამ გამოიწვია, რასაც ადასტურებს სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს საექსპერტო დასკვნაც. ამასთან, მიუთითა, რომ მან ავტომანქანა მეორე მოპასუხისაგან შეიძინა.

7. მეორე მოპასუხემ სარჩელი არ ცნო. მან წარადგინა მოთხოვნის წარმოშობის დამაბრკოლებელი შესაგებელი და მიუთითა, რომ აღნიშნულ დავაში იგი არასათანადო მოპასუხეა, რამდენადაც სადავო ავტომანქანა 2008 წელს მიჰყიდა პირველ მოპასუხეს. ხელშეკრულება გაფორმდა განვადებით ნასყიდობის ფორმით, რის გამოც აქამდე ამ უკანასკნელს ავტომანქანა საკუთრებაში არ გადაუფორმებია.

8. ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხეებს სოლიდარულად დაეკისრათ 5511.59 ლარის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ.

9. სასამართლომ შეაფასა რა საქმეში არსებული მტკიცებულებები, მიიჩნია, რომ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში სსკ-ის) 316-ე, 317-ე, 832-ე, 992-ე, 999-ე მუხლებიდან გამომდინარე, არსებობდა სადაზღვევო კომპანიის სარჩელის დაკმაყოფილების როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი საფუძველი.

9.1. სასამართლომ არ გაიზიარა პირველი მოპასუხის მტკიცება, რომ ავტოსაგზაო შემთხვევა გამოწვეული იყო არა მისი, არამედ დამზღვევის ბრალით. საქმეში წარდგენილი ავტოსაგზაო შემთხვევის სქემისა და სამართალდარღვევის ოქმის საფუძველზე, რომელიც პირველ მოპასუხეს არ გაუსაჩივრებია და კანონიერ ძალაშია შესული, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ავტოსაგზაო შემთხვევა გამოიწვია ამ უკანასკნელის მიერ საგზაო მოძრაობის წესების დარღვევამ.

9.2. სასამართლომ არ გაიზიარა მეორე მოპასუხის მტკიცება, რომ ავტოსატრანსპორტო საშუალება მას არ ეკუთვნოდა, რადგან ის 2008 წელს პირველ მოპასუხეს მიჰყიდა. სასამართლოს დასკვნით, მეორე მოპასუხემ ამ გარემოების დამადასტურებელი სათანადო მტკიცებულება ვერ წარადგინა.

10. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მოპასუხეებმა სააპელაციო წესით გაასაჩივრეს, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და, ახალი გადაწყვეტილებით, სარჩელის უარყოფის მოთხოვნით, შემდეგ საფუძველებზე

მიითებოთ:

10.1. სასამართლომ უდავოდ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ ავტოსაგზაო შემთხვევა პირველი მოპასუხის მიერ საგზაო მოძრაობის წესების დარღვევამ გამოიწვია და არ შეაფასა ექსპერტიზის დასკვნა, რომლითაც დგინდება, რომ შემთხვევა გამოიწვია დამზღვევის მიერ საგზაო მოძრაობის წესების დარღვევამ. სასამართლომ არც ის გარემოება შეაფასა, რომ სადაზღვევო კომპანია ნებისმიერ შემთხვევაში, დამზღვევის ბრალის მიუხედავად, აუნაზღაურებდა ამ უკანასკნელს ზიანს.

10.2. სასამართლომ არასწორად მიიჩნია დადგენილად, რომ მექანიკური სატრანსპორტო საშუალება, რომელსაც მართავდა პირველი მოპასუხე, მეორე მოპასუხის საკუთრება იყო. ავტოსატრანსპორტო საშუალებას 2007-2008 წლიდან მეორე მოპასუხე აღარც შეხებია, რადგან ის, ზეპირი ხელშეკრულების შესაბამისად, 2008 წელს მიჰყიდა პირველ მოპასუხეს, რომლის გადაფორმება ვერ მოხერხდა ამ უკანასკნელის ბრალეულობით.

10.3. შეთანხმების გაფორმების დროს, „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონში არ იყო ცვლილებები შესული, რის გამოც ავტომანქანაზე საკუთრების უფლების წარმოშობისათვის ვრცელდებოდა მოძრავი ნივთის შეძენისათვის დადგენილი წესები, ზეპირი შეთანხმება ავტომანქანის ნასყიდობის თაობაზე და მფლობელობაში გადაცემა საკმარისი იყო მასზე საკუთრების უფლების წარმოშობისათვის. ამიტომ, პირველი მოპასუხის სამართალდარღვევისათვის მეორე მოპასუხემ პასუხი არ უნდა აგოს.

11. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 18 თებერვლის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

11.1. პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად დაასკვნა დელიქტური ვალდებულებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძვლიანობასთან დაკავშირებით.

11.2. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მეორე მოპასუხის მტკიცება, რომ ავტომანქანა მას აღარ ეკუთვნოდა და მიუთითა შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრის მონაცემებზე, რომელიც ავტომანქანის მეორე მოპასუხისადმი კუთვნილებას ადასტურებდა. ამის საწინააღმდეგო აპელანტმა ვერ დაადასტურა. რაც შეეხებოდა იმას, თუ რამდენად კანონიერი იყო ნასყიდობის ხელშეკრულების ზეპირად დადება 2008 წელს, ამაზე პალატამ არ იმსჯე-

ლა, რადგან მიიჩნია, რომ დავის საგანს სცდებოდა.

11.3. პალატამ მიიჩნია, რომ, სსკ-ის 999-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე, მეორე მოპასუხე, როგორც ავტოსატრანსპორტი საშუალების მესაკუთრე, ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირი იყო (ბრალის გარეშე ზიანი).

11.4. ამასთან, უდავოდ დასტურდებოდა პირველი მოპასუხის მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალებას ფლობა შემთხვევის დღეს, მაგრამ არ დასტურდებდა, რომ ავტომანქანის მესაკუთრე თავად იყო. შესაბამისად, პალატამ მიიჩნია, რომ მეორე მოპასუხისათვის, პირველ მოპასუხესთან ერთად, სოლიდარულად ზიანის ანაზღაურების დაკისრება გამომდინარეობდა როგორც საქმის მასალებიდან, ისე კანონიდან.

11.5. პირველი მოპასუხის მიერ წარდგენილ ექსპერტიზის დასკვნასთან დაკავშირებით, პალატამ მიუთითა, რომ ის საქმეში არსებულ სამართალდარღვევის ოქმს ვერ გააბათილებდა.

12. აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მეორე მოპასუხემ.

12.1. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოება, რომ მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებას 2006 წლის ბოლოდან დღემდე პირველი მოპასუხე ფლობს. მხარეთა ზეპირი შეთანხმების შესაბამისად, ვალი დაიფარა 2008 წლის ბოლოს. კასატორს სატრანსპორტო საშუალებასთან კავშირი არ აქვს გასხვისების დღიდან, მით უმეტეს, ამ ფაქტს ადასტურებს პირველი მოპასუხეც.

12.2. სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა სსკ-ის 999.4 მუხლი, რამდენადაც ნივთის მფლობელობა გადასულია პირველ მოპასუხეზე, როგორც ნამდვილ მესაკუთრეზე, რასაც თავად ავტომანქანის შემძენიც ადასტურებს.

13. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 26 ნოემბრის განჩინებით, საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში სსსკ) 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

14. საკასაციო სასამართლომ საქმის შესწავლისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად გამოიტანა დასკვნა, რომ საჩივარი დასაბუთებულია, შესაბამისად, გადაწყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილში უნდა გაუქმდეს და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელის მოთხოვნა კასატორისათვის სოლიდარული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე, როგორც დაუსაბუთებ-

ლი, უარყოფილ უნდა იქნეს.

15. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორმა სააპელაციო და რაიონული სასამართლოების მიერ მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენებისა და განმარტების კუთხით დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება) წარმოადგინა.

16. მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, მოთხოვნის – მეორე მოპასუხისათვის 5511.59 ლარის სოლიდარულად დაკისრების სამართლებრივი საფუძველია სსკ-ის სსკ-ის 832.1 (თუ დამზღვევს შეუძლია ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნა წაუყენოს მესამე პირს, მაშინ ეს მოთხოვნა გადადის მზღვეველზე, თუკი ის უნაზღაურებს დამზღვევს ზიანს. თუ დამზღვევი უარს იტყვის მესამე პირის მიმართ თავის მოთხოვნაზე ან მისი მოთხოვნის უზრუნველყოფის უფლებაზე, მაშინ მზღვეველი თავისუფლდება ზიანის იმ ოდენობით ანაზღაურების მოვალეობისაგან, რამდენიც მას შეეძლო, მიეღო თავისი ხარჯების ასანაზღაურებლად უფლების განხორციელებასთან ან მოთხოვნის წაყენებასთან დაკავშირებით), 992-ე (პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია, აუნაზღაუროს მას ეს ზიანი), 408.1 (იმ პირმა, რომელიც ვალდებულია, აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება) და 409-ე (თუ ზიანის ანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით შეუძლებელია ან ამისათვის საჭიროა არათანაზომიერად დიდი დანახარჯები, მაშინ კრედიტორს შეიძლება მიეცეს ფულადი ანაზღაურება) მუხლები (შდრ. სუსგ №ას-383-383-2018, 15.05.2018წ).

17. კანონით გათვალისწინებული დელიქტური ვალდებულების წინაპირობებია: მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ზიანი, მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და ზიანს შორის, ზიანის მიმყენებლის ბრალი. პირს ზიანის ანაზღაურება დაეკის-

რება, თუ არსებობს ზემოხსენებული ნორმით გათვალისწინებული ოთხივე წინაპირობა (გენერალური დელიქტი).

18. სანამ შემომდებდა, მოქმედებდა თუ არა კასატორი მართლსაწინააღმდეგოდ და ბრალეულად, უნდა დადგინდეს საერთოდ სახეზეა თუ არა რაიმე მოქმედება, რაც გულხიმობს რაიმე ცნობიერ ან სურვილით მოტივირებულ ქმედებას (რეფლექსები და არაცნობიერი ქმედებები მოქმედების ცნების ქვეშ არ მოიაზრება). მოთხოვნის საფუძველი გამოირიცხება თუ ნორმის პირველივე წინაპირობა არარსებობს.

მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ ავტოსაგზაო შემთხვევისას სატრანსპორტო საშუალებას არ მართავდა მეორე მოპასუხე. იგი საერთოდ არ იმყოფებოდა შემთხვევის ადგილზე, შესაბამისად, საგზაო სატრანსპორტო შემთხვევასთან მიმართებით მეორე მოპასუხის ქმედება არ არსებობს. აქედან გამომდინარე, ამ სამართლებრივი საფუძველით კასატორის პასუხისმგებლობა მოსარჩელის მიმართ გამოირიცხება.

19. ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა დავის გადანყვეტისას იხელმძღვანელეს სსკ-ის 999-ე მუხლითაც. პალატა განმარტავს, რომ ამ ნორმის გამოყენება მიზანშეწონილია მხოლოდ მაშინ, როდესაც ზიანდება ის სამართლებრივი სიკეთე, რომლის დაზიანების თავიდან აცილებაც კანონმდებელს სურდა. ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ საშიშროების ტიპიურმა საფრთხემ, ამ შემთხვევაში ავტომანქანიდან გამომდინარე საფრთხემ, ნორმით დაცული სამართლებრივი სიკეთე დააზიანოს. მოცემულ შემთხვევაში, მართალია, ავტოსაგზაო შემთხვევა იყო ტიპური შედეგი ავტომანქანიდან გამომდინარე საფრთხის რეალიზებისა, მაგრამ სათუთა, განხორციელდა თუ არა ეს საფრთხე დაზარალებულთან მიმართებაში. ასეც რომ იყოს და დაზარალებულის ავტომანქანა მივიჩნიოთ სსკ-ის 999-ე მუხლით დაცულ სიკეთედ, მოთხოვნა კასატორის მიმართ დაკმაყოფილებადი იქნებოდა, თუ მოსარჩელე დაამტკიცებდა: ა) ავტოსაგზაო შემთხვევისას მოპასუხე იყო სატრანსპორტო საშუალების იურიდიული მფლობელი; ბ) დაზღვეული ნივთი დაზიანდა; გ) მზღვეველმა დაზღვეულს ზიანი აუნაზღაურა.

20. განსახილველ შემთხვევაში, კასატორის ძირითადი პრეტენზია ისაა, რომ სადაზღვევო შემთხვევის დროს ის არ წარმოადგენდა სატრანსპორტო საშუალების მფლობელს, შესაბამისად, მას პასუხისმგებლობა ვერ დაეკისრებოდა, ვინაიდან არ იყო შესრულებული სსკ-ის 999-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შედეგის განმაპირობებელი ერთ-ერთი ფაქტობრივი წინამძღვარი, რასაც საკასაციო პალატაც იზიარებს შემდეგ გარემოებათა გამო:

20.1. წინამდებარე გადაწყვეტილებით დადგენილი უდავო ფაქტებითა (იხ. 1-4 პუნქტები) და ორივე მოპასუხის შესაგებლით (იხ. 6-7 პუნქტები), დასტურდება, რომ კასატორს ავტოსაგზაო შემთხვევის დროს ავტომანქანაზე რაიმე უფლება აღარ გააჩნდა, ის არც მესაკუთრე და არც იურიდიული მფლობელი არ იყო, რადგანაც მან 2008 წელს, ნასყიდობის საფუძველზე, საკუთრება გადასცა პირველ მოპასუხეს სსკ-ის 477-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 186-ე მუხლით დადგენილი წესით.

20.2. სააპელაციო პალატის მიერ მეორე მოპასუხის პრეტენზიის უარყოფა, მხოლოდ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში ავტომანქანის კასატორის სახელზე რეგისტრაციის საფუძველით, არასწორია. გასაზიარებელია აპელანტის პრეტენზია, რომ „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9¹ მუხლის მოქმედება, რომელიც ადგენს სატრანსპორტო საშუალებათა სავალდებულო რეგისტრაციას, ვერ გავრცელდება მის მიღებამდე წარმოშობილ ურთიერთობებზე.

20.3. გარდა ამისა, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ კანონის მიზანს წარმოადგენს საავტომობილო ტრანსპორტის სამართლებრივი, ეკონომიკური და ორგანიზაციული საქმიანობის საფუძვლების საჯარო-სამართლებრივი და არა კერძოსამართლებრივი მოწესრიგება. აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა საკასაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ერთგვაროვან სასამართლო პრაქტიკაზე მიუთითებს, რომლის მიხედვით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, რომელიც ადგენს მოძრავ ნივთებზე საკუთრების შექმნის წესს, სატრანსპორტო საშუალებებზე საკუთრების შექმნისათვის სავალდებულოდ არ მიიჩნევს ამ მოძრავი ნივთების შემქმნელ რეგისტრაციას სსიპ შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში. „საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძველები ამომწურავადაა დადგენილი საქართველოს სამოქალაქო კოდექსით, რომელიც ერთმანეთისაგან განასხვავებს მოძრავ და უძრავ ნივთებზე საკუთრების შექმნის სამართლებრივ რეჟიმს. ამავე კოდექსის 186-ე-197-ე მუხლებით განსაზღვრულია რა მოძრავ ნივთებზე საკუთრების შექმნის საფუძველები, ეს წესები თანაბრად ვრცელდება ყველა მოძრავ ნივთზე და იგი არ ადგენს მოძრავ ნივთზე საკუთრების შესაძენად სავალდებულო რეგისტრაციას. რაც შეეხება „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლს, რომელიც ადგენს სატრანსპორტო საშუალებათა სავალდებულო რეგისტრაციას, აღნიშნული მოთხოვნა, არ წარმოადგენს და არ უკავშირდება ნივთზე საკუთრების წარმოშობის საფუძველს“ (იხ. სუსგ №ას-914-954-11, 27.10.2011 წე-

ლი; №ას-658-625-2014, 5.12.2014 წელი, №ას-1184-1129-2013, 26.11.2015 წელი).

21. ამდენად, ის, რომ პირველ მოპასუხეს არ გაუვლია რეგისტრაცია „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ კანონის შესაბამისად, არ ნიშნავს, რომ მას სადავო ავტომანქანაზე საკუთრება არ შეუძენია. როგორც აღინიშნა, ავტოსატრანსპორტო საშუალებების რეგისტრაცია საჯაროსამართლებრივი მოწესრიგების ფარგლებში განსახორციელებელი ვალდებულებაა და დამატებით ნინაპირობას ავტომობილზე საკუთრების უფლების წარმოშობისათვის არ წარმოადგენს. რეგისტრაციის აუცილებლობა მხოლოდ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფას ემსახურება, რაც თავისი არსით ადმინისტრაციული სამართლის სფეროს განეკუთვნება.

22. სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლო ფაქტობრივი გარემოებები სამართლებრივად სწორად არ შეაფასა, რამაც საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების მიღება განაპირობა.

23. სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გატყვევნილი ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გაიღეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას, ხოლო, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც. მითითებული ნორმის მიხედვით, იმ შემთხვევაში, როდესაც საკასაციო სასამართლო გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი ვალდებულია, შეცვალოს სასამართლო ხარჯების განაწილებაც. ამ დროს მხედველობაში მიიღება არა მარტო საკასაციო საჩივრისათვის გადახდილი ბაჟი, არამედ, ის ხარჯებიც, რომლებიც გაიღეს მხარეებმა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებში საქმეთა განხილვისას.

24. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მეორე მოპასუხემ სააპელაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადაიხადა 220.44

ლარი, ხოლო საკასაციო საჩივარზე – 300 ლარი, შესაბამისად, პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელეს, მეორე მოპასუხის სასარგებლოდ, უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 520.44 ლარის ანაზღაურება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, მე-8, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. ბ. ც-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 18 თებერვლის განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ბ. ც-ძის სააპელაციო საჩივარი და უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის 1.1 და 1.2 პუნქტები, მოსარჩელის სასარგებლოდ, მოპასუხე ბ. ც-ძისათვის 5511 ლარის, სახელმწიფო ბაჟის – 166 ლარისა და სარჩელის უზრუნველყოფისათვის გაღებული სახელმწიფო ბაჟის – 150 ლარის დაკისრების თაობაზე.
3. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებულ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
4. სს „ს.კ.ჯ.ჭ-ის“ სარჩელი მოპასუხე ბ. ც-თვის, მოსარჩელის სასარგებლოდ, 5511 ლარის, სახელმწიფო ბაჟის – 166 ლარისა და სარჩელის უზრუნველყოფისათვის გაღებული სახელმწიფო ბაჟის – 150 ლარის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს;
5. სს „ს.კ.ჯ.ჭ-ს“, ბ. ც-ძის სასარგებლოდ, დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე გაღებული სახელმწიფო ბაჟის – 520.44 ლარის გადახდა;
6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
ტელ.: (995 32) 299 82 08
www.supremecourt.ge